[illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76 ) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

## დ ღ ი უ რ ი

— ესტონეთის პარლამენტმა დაამტკიცა სავაჭრო შეთანხმება საბჭოთა კავშირთან
— დაიხურა ინგლისის თემთა პალატის სესია
— გერმანიამ უარი სთქვა სავაჭრო ხელშეკრულების დადებაზე პოლონეთთან
— საბჭოთა კავშირის გენ. კონსული ამხ. მელნიკოვი გამოემგზავრა ხარბინიდან
— საბჭოთა კავშირში გამოემგზავრა ამერიკელ პროფესორთა დელეგაცია
— ინგლისის მემაღაროეთა ფედერაცია მოითხოვს 8 საათის სამუშაო დღის დაუყოვნებლივ გაუქმებას.
— ზეინკლების გაფიცვა ბერლინში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა, 28 ივლისი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 171 (2517)

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა აგვისტოსათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

## საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის დღე

### საკ. კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილება

**მოსკოვი**, 27 ივლისი. მთელი რიგი ადგილობრივი პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების წინადადებით, საკავშირო კომპ. პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა მუშათა მასების ინიციატივით აღძრული საკითხი „ინდუსტრიალიზაციის დღის" ჩატარების შესახებ. ცენტრალურმა კომიტეტმა მიზანშეწონილად აღიარა „ინდუსტრიალიზაციის დღის" გამართვა 6 აგვისტოს, ხოლო იმ ადგილებში, სადაც ეს დღე სამუშაო დღეა ინდუსტრიალიზაციის დღის ჩატარება მოხდეს სხვა დღეს, რომელსაც აირჩევენ პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციები. ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ მუშაობა საწარმოებში ამ დღეს ექვს საათს არ უნდა აღემატებოდეს. დანარჩენი დრო გამოყენებულ უნდა იქნას მუშათა კრებების მოსაწყობად, რომლებზედაც განხილულ უნდა იქნას წარმოების აწევისა და უკეთესი ორგანიზაციის და ინდუსტრიალიზაციის საკითხები. უნდა მოეწყოს აგრეთვე მუშათა ექსკურსიები მეზობელ საწარმოებში. მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე უნდა დაისვას საკითხი 6 აგვისტოს მუშაობით მიღებული თანხების გამოყენების შესახებ. ცენტრალურმა კომიტეტმა მხედველობაში მიიღო მუშათა კრებების მიერ დღემდე წამოყენებული წინადადებანი და ამის მიხედვით მიზანშეწონილად სცნო, რომ ეს თანხები გადაირიცხოს ინდუსტრიალიზაციის განსაკუთრებულ ფონდში, რომელიც უნდა შეიქმნას საკავშირო პროფსაბჭოსთან. ეს ფონდი უნდა დაიხარჯოს თვით მუშათა კრებების და ადგილობრივი პროფესიონალური და საოლქო ორგანიზაციების დადგენილებათა მიხედვით შედგენილი გეგმით, რომელშიაც სათანადო შესწორებებს შეიტანს საკავშირო პროფსაბჭო. ცენტრალურმა კომიტეტმა, მიიღო რა მხედველობაში მუშების მიერ გამოთქმული სურვილები, საჭიროდ სცნო, რომ ეს თანხები დაიხარჯოს ტექნიკური კადრების დამატებით მოსამზადებლად წარმოების მუშების, მუშა-ქალების და პროლეტარული ახალგაზრდობის წრიდან. ამ მიზნით ისინი უნდა გაიგზავნონ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში და ტექნიკუმებში. ეს თანხები უნდა მოხმარდეს აგრეთვე სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და სატრაქტორო რაზმების შექმნას. მუშათა კრებებისა და პროფორგანიზაციების მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელება უნდა ხდებოდეს თვით მუშების მონაწილეობით. ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ სცნო ინდუსტრიალიზაციის დღის ჩატარება სოფლად. საჭიროა ხელმძღვანელობა გაეწიოს გლეხთა მასების ინიციატივას იმ ღონისძიებათა გატარებაში, რომელთა დანიშნულებასაც წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიის განმტკიცება, კოლმეურნეობათა მშენებლობის განვითარება, მონაწილეობა ინდუსტრიალიზაციის სესხის განაწილებაში და სხვ. (ადს).

## პირველი აგვისტო მოახლოვდა

1 აგვისტომდე, რომელიც კომუნისტურ ინტერნაციონალის მიერ გამოცხადებულია საერთაშორისო წითელ დღეთ; ნახევარი კვირე დარჩა. ამავე დროს არ შეიძლება იმის თქმა, რომ მზადება ამ დიდი მნიშვნელობის დღის ჩასატარებლად ყველგან ერთნაირი წარმატებით მიმდინარეობდეს. ბევრ ადგილას საქმეს ჯერ არც კი შესდგომიან. მეორდება ჩვეულებრივი სურათი, რომელსაც ხშირად აქვს ადგილი სხვადასხვა კამპანიების ჩატარების დროს. ორგანიზაციები მხოლოდ მაშინ იწყებენ გაცხოველებულ მუშაობას, როცა დანიშნული დღე კარზეა მომდგარი. ასეთი მდგომარეობა თავის უარყოფით გავლენას ახდენს საქმეზე. კამპანიები ჰკარგავენ თავის ელფერს, ფართო მშრომელი მასები ვერ ღებულობენ მასში მონაწილეობას საჭირო აქტიობით და, ამრიგად, ნაუცბათევად მოწყობილი რევოლიუციონური დღესასწაულები ზოგჯერ ვერ აღწევენ თავის მიზანს.

საერთაშორისო წითელი დღის მნიშვნელობისა და მის ჩასატარებლად მომზადების დაწყებაზე უკვე კარგა ხანია დააყენა საკითხი პარტიამ. ადგილობრივი ორგანიზაციები ბევრ შემთხვევაში სათანადო ყურადღებით არ მოეპყრენ ამ დღის მნიშვნელობას. არიან ისეთი აქტივისტი მუშაკებიც, რომელთაც გარკვეული წარმოდგენა არა აქვთ 1 აგვისტოს დღეზე.

აქედან მთელი თავისი სიმწვავით ისმება საკითხი იმის შესახებ, რომ კამპანიის მომზადებაში ჩამორჩენილი ორგანიზაციები დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქმეს. ჩვენ განკარგულებაში არის მეტად მცირე დრო, რომელიც მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული. არ უნდა დავივიწყოთ, რომ 1 აგვისტოს აქვს არა მარტო საერთაშორისო მნიშვნელობა. ამ დღეს საბჭოთა კავშირის ქალაქისა და სოფლის მშრომელმა მასებმა უნდა შეამოწმონ თავიანთი მიღწევები სოციალისტური აღმშენებლობის ფრონტზე. 1 აგვისტოს დემონსტრაციები და საზეიმო სხდომები არ უნდა წარმოადგენდნენ მშრომელთა კლასობრივ თვითშეგნების მხოლოდ გარეგნულ გამოხატულებას. საჭიროა ამ დღეს მიეცეს, რაც შეიძლება მეტი შინაარსი, მხატვრული დიაგრამებით, ცოცხალი სცენებით და სხვ. ამგვარი საშუალებით ჩვენ უნდა შევამოწმოთ, რამდენად მტკიცეა ფაბრიკა-ქარხნებში შრომის დისციპლინა, როგორ მიმდინარეობს ბრძოლა თვითღირებულების შემცირებისათვის, რა შედეგებს იძლევა ყოველ ცალკე შემთხვევაში სოციალისტური შეჯიბრება, რა მდგომარეობაა ამა თუ იმ თემში ან სოფელში კოლექტივების მოწყობის მხრივ, სწარმოებს თუ არა ღარიბთა შეჯგუფება, ტარდება თუ არა ადგილობრივ მტკიცედ პარტიის ხაზი კულაკობის წინააღმდეგ, როგორ მუშაობენ ყოველი სახის კოოპერატივების განყოფილებანი და სხვადასხვა. ამ საკითხების შემოწმებას დიდი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა სახალხო მეურნეობის განმტკიცებისა და სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელ მასების კიდევ უფრო შემჭიდროებისათვის. ყოველივე ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროლეტარულ სახელმწიფოს თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებისათვის. ჩვენ ვიცით, რომ საერთაშორისო წითელი დღის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს საბჭოთა კავშირის დაცვა იმპერიალისტურ ყაჩაღებისაგან.

1 აგვისტოსათვის გაცხოველებით ემზადებიან კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარები. ეს დღე გადაიქცა უცხოეთის მუშათა მასების დიდი მნიშვნელობის რევოლიუციონურ მამოძრავებელ ფაქტორად. კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტურ პარტიებს ფაშისტური რეაქციის უმძიმეს პირობებში უხდებათ საერთაშორისო წითელი დღის სამზადისის ხელმძღვანელობა. ყველა ქვეყნის ბურჟუაზიული მთავრობები 1 აგვისტოს მოლოდინში გაშმაგებით ნადირობენ რევოლიუციონურ ორგანიზაციებზე. განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენს ამ მხრივ იმ ქვეყნების პოლიცია, სადაც კომუნისტური პარტიები მძლავრ მასიურ ორგანიზაციებს წარმოადგენენ. საფრანგეთის კომუნისტური პარტია ფაქტიურად არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფება, გერმანიის მთავრობა აქედანვე ემუქრება მუშათა კლასს, რომ ის დაუნდობლად გაუსწორდება ყველას, ვინც ამ დღეს დაარღვევს „საზოგადოებრივ მშვიდობიანობას". სჩანს გერმანიის ბურჟუაზია არ კმაყოფილდება მუშების იმ სისხლით, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინად დაიღვარა ბერლინის ქუჩებზე. პოლონეთის კომუნისტური პარტია, უკვე კარგა ხანია კანონს გარეშე არის გამოცხადებული. პილსუდსკის ფაშისტური მთავრობას საერთაშორისო წითელი დღისათვის მზადებასთან დაკავშირებით ახალი საბაბი მიეცა რევოლიუციონურ ორგანიზაციების განადგურებისათვის. და ისიც ენერგიულად შეუდგა საქმეს. ასეთივე მდგომარეობაა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ბურჟუაზიული პრესა დიდი ხანია ამუშავებს საზოგადოებრივ აზრს იმ რეპრესიების გასამართლებლად, რომელიც დღემდე სწარმოებდა მუშათა მოწინავე რაზმების მიმართ და რომელნიც მით უფრო მძაფრ ხასიათს ღებულობენ, რაც უფრო ვუახლოვდებით მსოფლიო კაპიტალიზმისათვის საზარელ დღეს—1 აგვისტოს.

რეაქციის ამ თავზე ხელაღებულ პარპაშობასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღსანიშნავია მენშევიზმის მოღალატეობა საერთაშორისო დღის სამზადისის საქმეში. როგორც ეს მოსალოდნელი იყო, საერთაშორისო მენშევიზმმა არც ამ შემთხვევაში უღალატა მუშათა კლასის მუხანათურ გამცემლობის ტრადიციას. ყველა ქვეყნის რეფორმისტები მხარში უდგანან ბურჟუაზიას საერთაშორისო წითელი დღის წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი, როგორც კაპიტალიზმის ერთგული ფინიები, ყოველ საშუალებას მიმართავენ იმისათვის, რომ დაქსაქსონ მუშათა ძალები, შეანელონ პროლეტარიატის ანტი-მილიტარისტული მოძრაობა და ნიადაგი მოამზადონ საერთაშორისო წითელი დღის ჩასაშლელად. კერძოდ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პრესა იდეურად „ასაბუთებს" და ამართლებს იმ პოლიციურ ზომებს, რომელსაც მიმართავს ბურჟუაზია 1 აგვისტოსათვის სამზადისის აღსაკვეთად. ჯერ კიდევ არ დამცხრალა საყოველთაო აღშფოთება, რომელიც გამოიწვია მთელი ქვეყნის მშრომელ მასებში ჩინეთის მილიტარისტების უკანასკნელ პროვოკაციულ, ბანდიტურ თავდასხმამ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე. საბჭოთა მთავრობამ ამ შემთხვევაშიაც ერთხელ კიდევ ცხადჰყო თავისი გულწრფელობა მშვიდობიანობის დაცვის საქმეში. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო „ფორვერტს"-ი კი, როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც უსირცხვილო ცილისწამებით აღსავსე წერილებს ბეჭდავს საბჭოთა კავშირის „იმპერიალისტური" პოლიტიკის შესახებ.

მიუხედავად ამისა მზადება საერთაშორისო წითელი დღისათვის გაცხოველებით სწარმოებს. კომპარტიის ირგვლივ ირაზმება მუშათა ახალი მასები. საერთაშორისო პროლეტარიატი და მასთან ერთად საბჭოთა კავშირის მშრომელნი 1 აგვისტოს მოახდენენ მძლავრ, მასიურ დემონსტრაციას ომის წინააღმდეგ, ისინი ერთხელ კიდევ მოაგონებენ ომის წყურვილით დაბრმავებულ ბურჟუაზიას და მის მაჩანჩალა სოციალ-დემოკრატიას, რომ ომი იმპერიალისტური—კლასთა შორის ომად გადაიქცევა.

დრო მეტად ცოტა დარჩა. ყველანი დავირაზმოთ კაპიტალისტური ყაჩაღების ასალაგმავად, ყველანი მტკიცედ დავმწკრივდეთ მსოფლიო პროლეტარიატის ერთად-ერთი სამშობლოს—სოციალისტურ საბჭოთა კავშირის დასაცავად საერთაშორისო იმპერიალიზმის მტაცებელთა შემოსევისაგან.

# გადადგა საფრანგეთის პრემიერი პუანკარე

## ხმებია, რომ მუკდენის ხელისუფლება საჭიროდ სთვლის კონფლიქტის მოგვარებას მშვიდობიანი გზით

## საფრანგეთის მთავრობის ფაშისტური ტერორი კომპარტიისა და რევოლ. ორგანიზაციების წინააღმდეგ

## ბურჟუაზიისა და შემთანხმებლების ერთიანი ფრონტი საერთაშ. წითელი დღის ჩასაშლელად

## ნანკინის მთავრობა უკან იხევს

### მუკდენის ხელისუფლება განაგრძობს უკან დახევას

**ვლადივოსტოკი**, 27 ივლისი. აქ მიღებული ცნობების მიხედვით, ხარბინში დაჟინებით ამბობენ, რომ მუკდენის ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის უკანასკნელ ხანებში იმარჯვებს ის მიმდინარეობა, რომელიც მხარს უჭერს საბჭოთა კავშირთან შეთანხმებას, საბჭოთა ნოტის წინადადებათა თანახმად. უიწყებიან აგრეთვე, რომ ჩან სიუე-ლიანი თანდათან ემხრობა კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას. ხარბინში ამბობენ, რომ მუკდენის ხელისუფლების წარმომადგენლებმა უკვე გადასდგეს ნაბიჯი იმისათვის, რომ ამ განზრახვების შესახებ აცნობონ საბჭოთა კავშირს. (ადს)

### ჩინეთს სურს ნიადაგი მოამზადოს მოლაპარაკებისათვის

**შანხაი**, 26 ივლისი. ნანკინის მთავრობის ოფიციალური სააგენტო ჰომინი იუწყება, რომ ჩინეთის ბერლინელმა ელჩმა სახელმწიფო საბჭოს გამოუგზავნა მოხსენება იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც მას ჰქონდა კრესტინსკისთან. კრესტინსკიმ აცნობა ელჩს, რომ, თუმცა საბჭოთა მთავრობა უარყოფითად უცქერის კელოგის პაქტის მონაწილე სახელმწიფოების ყოველგვარ საშუამავლო გამოსვლებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მზადაა დაიწყოს ნანკინის მთავრობასთან უშუალო მოლაპარაკება. ელჩი თავის მოხსენებაში უმატებს—მას აგრძნობინეს, რომ კრესტინსკი დაჟინებით მოითხოვს თავისი მთავრობისაგან დაიწყოს უშუალო მოლაპარაკება ნანკინის მთავრობასთან.

დასასრულ ელჩი ნანკინის მთავრობ. სთხოვს შესაფერ ინსტრუქციებს (ადს).

**ბერლინი**, 26 ივლისი. როგორც რეიტერის სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტი ნანკინიდან მიღებული ცნობების მიხედვით იუწყება, ჩინეთის ბერლინელმა ელჩმა აცნობა თავის მთავრობას, რომ საბჭოთა კავშირის ელჩმა ბერლინში კრესტინსკიმ განუცხადა მას, რომ საბჭოთა მთავრობა წინააღმდეგია კელოგის პაქტის მონაწილე სახელმწიფოების შუამავლობისა და არჩევს ჩინეთთან უშუალო მოლაპარაკების დაწყებას. ამ მიზნით საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი გაემგზავრება ხარბინში, სადაც, ალბად, ახლო მომავალში დაიწყება ჩინეთ-საბჭოთა მოლაპარაკება.

რეიტერის სააგენტოს ცნობას, როგორც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულს, უარჰყოფს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა, აგრეთვე ჩინეთის საელჩო ბერლინში (ადს).

### ვოლფის სააგენტო უარჰყოფს

**ბერლინი**, 26 ივლისი. საღამოს გაზეთები აქვეყნებენ ვოლფის სააგენტოს განცხადებას, რომელიც კატეგორიული ფორმით უარჰყოფს შანხაიდან გადმოცემულ ცნობას იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი რაღაც მოლაპარაკებას აწარმოებდა ჩინეთის ელჩთან ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის მოგვარების საკითხზე (ადს).

### საბჭოთა კავშირის გენერალური კონსული წამოვიდა ხარბინიდან

**ტოკიო**, 26 ივლისი. როგორც „ტოკიო ასახი" იუწყება, საბჭოთა კავშირის გენერალური კონსული მელნიკოვი წავიდა ხარბინიდან (ადს).

### სტიმსონის განცხადება

**ვაშინგტონი**, 26 ივლისი. სახელმწიფო მდივანმა სტიმსონმა პასუხი გასცა ვაშინგტონის პრესის წარმომადგენელთა შეკითხვებზე. მან განაცხადა,—როდესაც ბრიანს ვთხოვე წინადადებით მიემართა საბჭოთა მთავრობისათვის, მსურდა მხოლოდ „დამერაზმა" საზოგადოებრივი აზრი იმის წინააღმდეგ, რომ ორ ქვეყანას ომი დაეწყო, ხოლო იმ საკითხს, თუ ვინ იქნება ინიციატორი, მნიშვნელობას არ ვაძლევთ", სახელმწიფო დეპარტამენტი ამტკიცებს, რომ მას არავითარი ცნობა არა აქვს—შესთავაზა თუ არა ბრიანმა საბჭოთა კავშირს თავისი შუამავლობა. სტიმსონის პირველ განცხადებას ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტი განმარტავს, როგორც მხოლოდ სტიმსონის აზრს კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობის შესახებ სამოსამართლო ან სამედიატორო გარჩევის წესით, და არა როგორც შუამავლობის შეთავაზებას ამ მიზნისათვის.

### იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება

**ტოკიო**, 26 ივლისი. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განუცხადა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს, რომ ის განცხადებანი, რომლებსაც სიდეხარას მიაწერენ, „მხოლოდ სხვადასხვა კომბინაციებს" წარმოადგენენ, რადგან იაპონიის მთავრობა ამჟამად სულ არ ფიქრობს გადადგას რაიმე ნაბიჯი შუამავლობისათვის. (ადს).

### გირინის ჯარის კონცენტრაცია

**ტოკიო**, 26 ივლისი. გაზეთების ცნობით, გირინის ჯარი განაგრძობს თავის მოყრას ჩრდილოეთის მიმართულებით. (ადს).

### ვან ჯუნ-ბაო სიდეხარასთან

**ტოკიო**, 26 ივლისი. ჩინეთის ელჩმა იაპონიაში ვან-ჯუნ-ბაომ ინახულა სიდეხარა და გაუცხადა მას, რომ „ღონისძიებანი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მიმართ, მხოლოდ თავდაცვის მიზნით არის მიღებული".

პასუხად სიდეხარამ განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობის სურვილია კონფლიქტი საჩქაროდ და მშვიდობიანად მოგვარდესო.

### საბჭოთა მოქალაქეების აბუჩად აგდება

**ვლადივოსტოკი**, 27 ივლისი. თანდათან ძლიერდება ჩინეთის ხელისუფლების რეპრესიები საბჭოთა მოქალაქეების მიმართ. საბჭოთა მოსახლეობა პოგრანიჩნაიას სადგურზე ტერორს ქვეშ იმყოფება და ქუჩაში გამოსვლის ეშინია. ჩინეთის პოლიციის სისტემას შეადგენს გაქურდვა, საბჭოთა მოქალაქეების აბუჩად აგდება, იარაღით დამუქრება და დაპატიმრებულთა ცემა-ტყეპა. ჩინელმა ჯარისკაცებმა საჯაროდ გააუპატიურეს 14 წლის ბავში, რკინის გზელის ქალიშვილი. ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა წინადადება მისცეს თეთრგვარდიელებს—შეადგინონ ჩვენს ტერიტორიაზე გადმოსასვლელად დამკვრელი რაზმები, ვითომ პარტიზანული რაზმების სახით. ამისათვის რაზმებში მონაწილეებს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე სამსახური აღუთქვეს.

### მოსახლეობის მობილიზაცია სანგრების სათხრელად

**ბორზია**, 27 ივლისი. მანჯურიიდან დაბრუნებულების გადმოცემით, საზღვრის მახლობელ ზოლში ჩინეთის ხელისუფლებამ გამოაცხადა მოსახლეობის მობილიზაცია სანგრების სათხრელად და ადგილების გასამაგრებლად. მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. ცემა-ტყეპით უმასპინძლდებიან ყველას, ვინც სანგრების თხრაზე უარს იტყვის. იყო შემთხვევები, როდესაც ჩინელები აცხადებდნენ, რომ სურთ საბჭოთა კავშირში გადასახლება (ადს).

## პუანკარეს გადადგომა

**პარიზი**, 26 ივლისი. პუანკარემ ავადმყოფობა მოიმიზეზა და გადადგა. პარლამენტის წრეების აზრით, რესპუბლიკის პრეზიდენტი დუმერგი მთავრობის შედგენას ბრიანს მიანდობს. პუანკარეს გადადგომასთან დაკავშირებით, შესდგა მინისტრთა საბჭოს სხდომა. მთავრობამ დაავალა ბრიანს: დაბეჯითებით მოსთხოვოს პუანკარეს, უკან წაიღოს თავისი გადადგომა (ადს).

## წითელი ფრონტი იმპერიალიზმის წინააღმდეგ

### კომინტერნის დასავლეთ ევროპის ბიუროს მოწოდება

**ბერლინი**, 26 ივლისი. აქ გამოქვეყნდა მოწოდება კომინტერნის დასავლეთ ევროპის ბიუროს, კომპარტიების ბალკანეთის ფედერაციისა და ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის სახელით. მოწოდება მიმართულია ყველა ქვეყნის მუშების, მუშა ქალების, მუშათა ახალგაზრდობის, მშრომელებისა და ჩაგრული ერებისადმი.

მოწოდება აღნიშნავს ომის მწვავე საფრთხეს იმ თავდასხმასთან დაკავშირებით, რომელიც მოაწყო ჩან-კაი-შიმ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე. ჩან-კაი-შის საშუალებით საფრანგეთი, ინგლისი, იაპონია და ამერიკა სცდილობენ ომში ჩაითრიონ საბჭოთა კავშირი. შემდეგ მოწოდება აღნიშნავს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარეობას და იმ საზიზღარ როლს, რომელსაც თამაშობენ იმპერიალისტური ყაჩაღები, აგრეთვე სოციალ-დემოკრატია, რომელიც ყოველგან სოციალფაშიზმად იქცევა, ილაშქრებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ბრალს სდებს მას „წითელ იმპერიალიზმში". მოწოდება აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები და მათი წითელი არმია მტკიცედ დგანან პროლეტარულ სახელმწიფოს და პროლეტარული დიქტატურის სადარაჯოზე.

„ეხლა,—ნათქვამია მოწოდებაში,—საჭიროა დაუყოვნებლივ ამოქმედება. ყოველ ქვეყანაში უნდა მოეწყოს წითელი ფრონტი იმპერიალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, დაირაზმოს ძალები მძლავრი დემონსტრაციებისათვის, განხორციელდეს კონტროლი სამხედრო მრეწველობის ყველა საწარმოზე და დაბრკოლება აღმოეჩინოს საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად გამზადებული იარაღის გაზიდვას და სამხედრო ნაწილების გადაყვანას.

იმპერიალისტური ქვეყნების არმიისა და ფლოტის ჯარისკაცებმა და მეზღვაურებმა უნდა იცოდენ, რომ იმპერიალიზმს სურს გამოიყენოს ისინი მათი ძმების წინააღმდეგ.

დასასრულ, მოწოდება მიმართავს მშრომელთ—მოაწყონ მასიური დემონსტრაციები 1-ლ აგვისტოს რევოლიუციონური ლოზუნგებით. (ადს).

### მემაღაროეთა საერთაშორისო კომიტეტის მოწოდება

**მოსკოვი**, 27 ივლისი. მემაღაროეთა პროპაგანდისა და მოქმედების საერთაშორისო კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მთელი ქვეყნის მემაღაროეებს—იბრძოლონ იმპერიალისტური ომისა და საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მომზადების წინააღმდეგ.

„პირველ აგვისტოს, საერთაშორისო წითელ დღეს,—ნათქვამია მოწოდებაში,—მთელი ქვეყნის მემაღაროეებმა უნდა შეაჩერონ მაღაროები და საბადოები და შესწყვიტონ იქ მუშაობა. ათი და ასი ათასობით გამოდით ქუჩებში. მემაღაროენო! თქვენს ხელშია ენერგიის, სათბობი მასალის, ნედლეულის და სინათლის წყაროები. უთქვენოთ ვერავინ შესძლებს ომს. გამოუცხადეთ პირველ აგვისტოს კაპიტალისტებს, რომ თქვენ ნებას არ მისცემთ მათ გამოგიყენონ იმპერიალისტური ომისათვის და საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის". (ადს).

### ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის სექციები ემზადებიან 1 აგვისტოსათვის

**მოსკოვი**, 27 ივლისი. ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის ცნობებით, ინტერნაციონალის ყველა სექცია ამჟამად მუშაობის ცენტრში სვამს საერთაშორისო წითელი დღის ჩატარებას.

ბრძოლა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დაცვა გერმანული კავშირის მოქმედების მთავარ საგანს შეადგენს. საწარმოებში ეწყობა ომის საწინააღმდეგო კომიტეტები. რაიონებში იმართება 1 აგვისტოს დღისათვის მიძღვნილი კონფერენციები. ომის საწინააღმდეგო კომიტეტებში ებმებიან მუშათა ახალგაზრდობის ფართო ფენები. ცენტრალურმა კომიტეტმა დაგზავნა მითითებანი, რომ იმ შემთხვევაში, თუ 1-ლ აგვისტოს დღეს დემონსტრაციები აიკრძალა, უნდა მოეწყოს არალეგალური გამოსვლები.

საფრანგეთში კამპანია ტარდება 1 აგვისტოს კომიტეტების შექმნით ანტი-მილიტარისტული პროპაგანდის გასაძლიერებლად არმიასა და ქარხნებში. კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა ახალგაზრდა მუშებს—გაიფიცონ 1 აგვისტოს და მონაწილეობა მიიღონ კომიტეტებში. ჯარისკაცებს შორის ეწყობა ისეთივე კომიტეტები, როგორც მუშებს შორის (ადს).

## მშრომელთა პასუხი ჩინელ ხუნხუზებს

### ავიოესკადრილიის ასაგებ ფონდში

**არტემოვსკი**, 27 ივლისი. საერთაშორისო წითელი დღის აღსანიშნავად არტემოვსკის სტალინის სახელობის ქარხნის მუშებმა და მოსამსახურეებმა დაადგინეს იმუშაონ ზედმეტი ორი საათი და მთელი ხელფასი გადასცენ „1 აგვისტოს სახელობის" ავიოესკადრილიის ასაგებ ფონდს (ადს).

**ხარკოვი**, 27 ივლისი. ჩინელი გენერლების პროვოკაციული გამოსვლისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტების მიერ ომის მზადების საპასუხოდ კრასნოზავოდსკის რაიონულმა კრებამ დაადგინა—ააგოს აეროპლანი „კრასნოზავოდეც"-ი და გამოიწვია ხარკოვის, მოსკოვის, ლენინგრადის და სხვა ქალაქების რაიონული პარტორგანიზაციები მონაწილეობა მიიღონ საკავშირო კომპარტიის (ბ) სახელობის ესკადრილიის აგებაში (ადს).

### ილიჩის ანდერძის სადარაჯოზე

**არტემოვსკი**, 27 ივლისი. მუშები და მოსამსახურენი ესალმებიან იმ განაჩენს, რომელიც გამოუტანა ხაბაროვსკის გაერთიანებულმა სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ ჩინეთ-საბჭოთა საზღვარზე სადივერსიო-ტერორისტული აქტების მოხდენის მიზნით გადმოსულ თეთრგვარდიელებს.

„ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენს საზღვრებს შიში არ მოელის,—აცხადებენ მელითონენი.—სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო ყოველთვის სდგას ილიჩის ანდერძის სადარაჯოზე. მხურვალე სალამი შორეულ აღმოსავლეთელ ჩეკისტებს და მათ ძველ ხელმძღვანელს, ჩვენს საყვარელ ამხანაგ მენჟინსკის" (ადს).

### დაჭერილი თევზის ნახევარი აეროპლანის ასაგებად

**ოდესა**, 27 ივლისი. ოდესის ოლქის ორი რაიონის მეთევზეებმა დაადგინეს—გადასდონ სამხედრო აეროპლანის ასაგებად 27 ივლისიდან იმპერიალისტური ომის გამოცხადების დღემდე მათ მიერ მდინარეებში დაჭერილი თევზის ნახევრის ღირებულება (ადს).

## ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

### პროფკავშირების დელეგაცია ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის განახლების დაჩქარების შესახებ

**ლონდონი**, 26 ივლისი. როგორც აღნიშნული იყო, ჰენდერსონი ინახულა მანქანათ და გემთმშენებელი მრეწველობის პროფკავშირთა გაერთიანების დელეგაციამ. დელეგაციამ გადასცა მას რეზოლიუცია, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული მანქანათმშენებელი და სხვა დარგების მუშათა პროფკავშირის აღმასკომთა კონფერენციების მიერ და შეეხება ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის განახლებას.

ჰენდერსონმა აცნობა დელეგაციას, რომ მთავრობამ გადასწყვიტა დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელთან. თუმცა იგი ვერ აღუთქვამს დელეგაციას, რომ ურთიერთობის განახლება მოხდება პარლამენტის სესიის შეწყვეტამდე, მაგრამ მაინც ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ, როგორც კი დაიწყება მოლაპარაკება, მრეწველობის დაინტერესებული დარგები შესძლებენ იკისრონ ვალდებულებები საბჭოთა შეკვეთების შესახებ. პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ჰენდერსონს, როდესაც იგი საბჭოთა შეკვეთების შესრულების შესაძლებლობაზე ლაპარაკობდა, სახეში ჰქონდა საექსპორტო კრედიტების გავრცელება იმ განრიგებებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირთან დაიდება. როგორც ვიცით, ვაჭრობის მინისტრმა გრეხემმა პარლამენტში განაცხადა, რომ მთავრობამ გადასწყვიტა უფლება მისცეს სათათბირო კომიტეტს (ეს კომიტეტი დამტკიცებულ იქნა საექსპორტო კრედიტების შესახებ არსებულ კანონმდებლობის საფუძვლებზე) განიხილოს ის შუამდგომლობანიც, რომელნიც შეეხებიან საბჭოთა კავშირთან დადებულ გარიგებებს. (ადს).

## სარეპარაციო კონფერენცია ჰააგაში შეიკრიბება

**პარიზი**, 26 ივლისი. სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობების მიხედვით, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, იაპონია და ბელგია შეთანხმდნენ, რომ სარეპარაციო საკითხის განსახილველად სახელმწიფოთა კონფერენცია ჰააგაში შეიკრიბოს. წინადადება კონფერენციის ჰააგაში შეკრების შესახებ წამოაყენა ინგლისმა (ადს).

## ზეინკალთა გაფიცვა

**ბერლინი**, 26 ივლისი. მელითონეთა (რეფორმისტული) პროფკავშირების ბერლინის განყოფილების მშენებელ ზეინკალთა სექციის გამგეობის არჩევნებში რევოლიუციონურმა ფრთამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა. სექციის მთელი გამგეობა ამჟამად რევოლიუციონური ფრთის მომხრეებისაგან შესდგება.

არჩევნებთან ერთად კენჭი უყარეს საკითხს იმის შესახებ, რომ გამოცხადდეს ზეინკალთა გაფიცვა ზოგიერთ სხვა დარგშიაც, რაც ერთხმად მიღებულ იქნა. გ[illegible] დაიწყო. მასში მონაწილეობას [illegible] მოს 1.500 ზეინკალი (ადს).

## ფაშისტური ტერორი 1-ლ აგვისტოს წინ

## საფრანგეთში

### ახალი ჩხრეკა-დაპატიმრებანი

**პარიზი**, 26 ივლისი. 25 ივლისს „ლუმანიტე"-ს რედაქცია ხელახლა გაჩხრიკეს. გაჩხრიკეს ცალკე კომუნისტების ბინებიც პარიზსა და გარეუბნებში, აგრეთვე მუშათა კოოპერატივი ობერვილში. „ლიუმანიტე"-ს რედაქციის სადგომის მახლობლად დააპატიმრეს დესენპრე, რომელიც წინადღით დანიშნულ იქნა „ლუმანიტეს" პასუხისმგებელ რედაქტორად, დაპატიმრებული ნოელის ნაცვლად. დესენპრე გადაეცა სამოსამართლო ორგანოებს იმ ბრალდებით, რომ იგი ურჩობისაკენ მოუწოდებდა სამხედრო მოსამსახურეებს.

გაძლიერდა მთავრობის რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ პროვინციაში. გრენობლსა და ტურში გაჩხრიკეს კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების სადგომები. მანში გაჩხრიკეს პარტიისა და პროფკავშირების ცალკე მოღვაწენი. ნიმში დააპატიმრეს გრიუნე, 70 წლის მოხუცი, მუშათა მოძრაობის ვეტერანი და სამხრეთის რაიონის კომუნისტური ჟურნალების რედაქტორი. ქალაქ სომენის (ჩრდილოეთ დეპარტამენტში) კომუნისტი მერი დელვალე ერთი თვით გადააყენეს თანამდებობიდან იმის გამო, რომ მან 14 ივლისს მერიის შენობაზე წითელი დროშა აღმართა.

მუშათა ორგანიზაციები მოუწოდებენ მშრომელთ დაირაზმონ მიუხედავად რეპრესიებისა, შესცვალონ დაპატიმრებულ აქტივისტთა კადრები, მოაწყონ საპროტესტო დემონსტრაციები და გააძლიერონ მზადება საერთაშორისო წითელი დღის—1-ლ აგვისტოს ჩასატარებლად.

„ლუმანიტე" აღნიშნავს, რომ დაპატიმრებულია შრომის უნიტარული რევოლიუციონური კონფედერაციის მთელი სამდივნო. დაპატიმრებულნი არიან სამრეწველო მუშათა, აგრეთვე ფოსტის და ტრანსპორტის მუშაკთა დიდი პროფკავშირების ბელადებიც. საფრანგეთის კომპარტიის სამდივნო, კომუნისტური ორგანიზაციების ყველაზე თვალსაჩინო წევრები და „ლუმანიტე"-ს რედაქციის შემადგენლობის უმრავლესობა საპყრობილეშია, ან არალეგალურად ცხოვრობს. მთავრობა ახალ ტერორისტულ აქტებს ამზადებს.

„ლუმანიტე" სწერს:

„წუწუნის დრო არ არის, საჭიროა მოქმედება".

უნიტარული პროფკავშირები მოუწოდებენ თავიანთ წევრებს 1-ლ აგვისტოს პირველ რიგებში იბრძოლონ რეპრესიებისა და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. (ადს).

## ჩეხო-სლოვაკიაში

### ჩხრეკა კომპარტიის სამდივნოში

**პრაღა**, 26 ივლისი. 24 ივლისს პოლიციამ გაჩხრიკა კომპარტიის სამდივნო, კონფისკაცია უყვეს ელექტრონის აპარატს, რომლის საშუალებითაც არალეგალურ საქარხნო გაზეთებს ბეჭდავდნენ. (ადს).

### კომუნისტების დევნა

**პრაღა**, 26 ივლისი. პოლიციამ გაჩხრიკა კომპარტიის საოლქო ორგანიზაციების სამდივნოების სადგომები პილზენში, აუსიგში და ბრატისლავში. პრაღაში დაპატიმრებული 30 კომუნისტი განთავისუფლეს, მაგრამ ისინი „პასუხისგებაში მისცეს არალეგალურ ნაბეჭდ ნაწარმოებთა გამოცემისა და საიდუმლო საზოგადოებათა მოწყობის" გამო. (ადს).

## საბერძნეთში

### კომპარტიის მუშაკების დაპატიმრება

**ათინა**, 26 ივლისი. საერთაშორისო წითელი დღისათვის მზადებასთან დაკავშირებით, დააპატიმრეს კომპარტიის თვალსაჩინო მუშაკები და 31 ივლისიდან 2 აგვისტომდე აკრძალეს ყოველგვარი კრება, როგორც ღია ცის ქვეშ, ისე დახურულ შენობებში. (ადს).

## პოლონეთში

### დაპატიმრებანი 1-ლ აგვისტოსთან დაკავშირებით

**ვარშავა**, 26 ივლისი. წითელი დღისათვის მზადებასთან დაკავშირებით, ვარშავის მუშათა რაიონებში ტელეგრაფის მავთულებზე გადმოეკიდნათ პლაკატები და დროშები, რომლებიც შეიცავდნენ მოწოდებას 1-ლ აგვისტოს დემონსტრაციის შესახებ. მეხანძრეთა რაზმმა პლაკატები ჩამოიღო.

დასავლეთ ბელორუსიაში მოხდა დაპატიმრებანი. ლოძში გაიმართა მასიური დემონსტრაციები სეიმის კომფრაქციის დეპუტატების როსიაკისა, კრუზალსკისა და გავრონის მეთაურობით და 10.000 მუშას მონაწილეობით. დემონსტრაცია რამდენჯერმე გაჰფანტა პოლიციამ, მაგრამ იგი მაინც 3 საათს გაგრძელდა. პოლიციამ კონფისკაცია უყო დროშებს კომუნისტური წარწერებით და დააპატიმრა მრავალი მონაწილე. (ადს).

## ინგლისის მემაღაროები მოითხოვენ

### 8 საათის სამუშაო დღის დაუყოვნებლივ გაუქმებას

**ლონდონი**, 26 ივლისი. მემაღაროეთა ფედერაციის ბლეკპულის კონფერენციამ დახურულ სხდომებზე, ხანგრძლივი კამათის შემდეგ (კამათმა სამ დღეს გასტანა), ერთხმად მიიღო აღმასკომის ფედერაციის რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს რვა საათის სამუშაო დღის დაუყოვნებლივ გაუქმებას და ავალებს ფედერაციის აღმასკომს მიიღოს საჭირო ზომები ამ კანონის გაუქმების მისაღწევად.

ხელფასის საკითხის შესახებ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს, რომ ინგლისის მომავალ საერთო სატარიფო შეთანხმება დამყარებული იქნას საცხოვრებელ მინიმუმზე და გათვალისწინებულ იქნას გამომუშავებაზე დამოკიდებული ერთნაირი მომატება ყველა კატეგორიის მემაღაროეთათვის.

„მანჩესტერ გარდიენ"-ი ეხება კონფერენციის იმ გადაწყვეტილებას, რომელიც სამუშაო დღის ხანგრძლივობას შეეხება და სწერს:

„რეზოლიუცია შეიძლება ან ყველაფერს ნიშნავდეს ან არაფერს. ის სულ არ არკვევს მდგომარეობას. ეს რეზოლიუცია რამდენიმე თვის წინად იქნა შედგენილი და დღევანდელ მდგომარეობას იგი სრულებით არ შეეფერება" (ადს).

## ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულების პროექტი

**ლონდონი**, 26 ივლისი. რეიტერის სააგენტო კაირიდან იუწყება:

„ეგვიპტეს გაზეთი „ელ-მოკატამ"-ი აცხადებს, რომ ინგლის-ეგვიპტეს ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი: ინგლისის უზენაესი კომისრის ნაცვლად ეგვიპტეში დაინიშნება ელჩი, გაუქმდება კაპიტულიაცია, საკონსულო სასამართლოების ფუნქციები გადაეცემა შერეულ სასამართლოებს, ინგლისი უარს აცხადებს ეგვიპტეში ეროვნულ უმცირესობათა დაცვაზე, ინგლისი კისრულობს დაეხმაროს ეგვიპტეს იმ შემთხვევაში, თუ მას თავს დაესხმიან, და, პირიქით, ეგვიპტე დაეხმარა ინგლისს მასზე თავდასხმის დროს. ინგლისის მთელი ჯარი, რომელიც ამჟამად ეგვიპტეშია, გადაყვანილი იქნება სუეცის არხის ტერიტორიაზე.

გაზეთი დასძენს: მუშათა პარტიის მთავრობა [illegible], რომ ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინოს ეგვიპტეს თავისუფლად არჩეულმა პარლამენტმა".

ეგვიპტეს ნაციონალური პარტია ვაფდი კატეგორიულ პროტესტს აცხადებს მახმუდ-ფაშას მთავრობასთან მოლაპარაკების გამო და მოითხოვს, რომ მოლაპარაკება გაიმართოს მხოლოდ დათხოვნილი პარლამენტის მოწვევის შემდეგ. (ადს).

შენიშვნა: ინგლისის მეფემ შარშან, ამ დღეებში გადამდგარი ინგლისის უზენაესი კომისარის ლოიდის დახმარებით, დაითხოვა პარლამენტი, გააუქმა კონსტიტუცია და ახლად დანიშნულ პრემიერ მახმუდ-ფაშას გადასცა დიქტატორული უფლებები.

ამჟამად ლონდონში იმყოფებიან ეგვიპტეს მთავრობის პრემიერი და გარეშე საქმეთა მინისტრი ინგლის-ეგვიპტეს ხელშეკრულების შესახებ მოსალაპარაკებლად, ლონდონშია ეგვიპტეს მეფე ფუადი.

## საკ. კ. პ. (ბ) ცეკა აზერბეიჯანის პარტორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ*)

**მოსკოვი**, 28 ივლისი. გამოქვეყნებულია ს. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას მოხსენების გამო. დადგენილება აღნიშნავს ა. კ. პ. (ბ) ცეკას პოლიტიკურ და სამეურნეო მიღწევებს და ამავე დროს ხაზს უსვამს, რომ ა. კ. პ. (ბ) ცეკამ ვერ უზრუნველჰყო ორგანიზაციაში პირობები თვითკრიტიკის გასაშლელად და მუშათა ახალი კადრების დასაწინაურებლად და აღსაზრდელად და ვერ დასძლია ამოცანა ფართო მასების მობილიზაციის შესახებ კონკრეტიულ დეფექტებთან საბრძოლველად, რაც უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ჩამორჩებოდა მუშათა მასების აქტივობის ზრდას. ბევრ შემთხვევაში თვითკრიტიკა ატარებდა დეკლარატიულ ხასიათს. ზოგჯერ კი ტარდებოდა თვითკრიტიკის შეზღუდვის პრაქტიკა. გახრწნის ელემენტებთან ბრძოლა არ სწარმოებდა სათანადო გაბედულობით. მეტად სუსტად მიმდინარეობდა მუშების დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოებზე.

ცეკა განსაკუთრებით აღნიშნავს, ნათქვამია დადგენილებაში, რომ აზერბეიჯანის კომპარტიის ზოგიერთ ორგანიზაციებში ხელმძღვანელ ამხანაგების ნაწილს შორის ადგილი ჰქონდა როგორც ყოფა-ცხოვრების გახრწნის, აგრეთვე აშკარა ანტიპარტიულ მოქმედების შემთხვევებს. გამოდის რა აქედან, ცეკას აზერბეიჯანის ორგანიზაციის მდგომარეობა საერთოდ მიაჩნია დამაკმაყოფილებლად, ხოლო ხელმძღვანელობის მდგომარეობა კი არადამაკმაყოფილებლად. ამასთანავე ცეკა ავალებს ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს შემდეგში უზრუნველჰყოს ა.-კ საოლქო კომიტეტის ნამდვილი ხელმძღვანელობა ნაციონალური კომპარტიის ცენტრ. კომიტეტების მიმართ. შემდეგ დადგენილებაში მოყვანილია მთელი რიგი კონკრეტული წინადადებები.

---

*) იბეჭდება შემოკლებით. მიღებულია რადიოთი დილის 3 ნახ. საათზე.

## უკანასკნელი ცნობები

### ამხ. დოვგალევსკი ლონდონში მიემგზავრება

**პარიზი**, 27 ივლისი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში ამხ. დოვგალევსკი მიემგზავრება ლონდონში ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრ ჰენდერსონთან შესახვედრად; შეხვედრა მოხდება ორშაბათს 29 ივლისს (ადს).

### საბჭოთა საზღვრების დაკეტვის შემდეგ

**შანხაი**, 27 ივლისი. ხარბინიდან იტყობინებიან, რომ საბჭოთა საზღვრების დაკეტვამ სერიოზული გავლენა მოახდინა ხარბინის ვაჭრობაზე. ჩინეთის ვაჭრები დიდათ ზარალობენ, ვინაიდან შეუძლებელია ხელშეკრულებების შესრულება. ხარბინში თავი მოიყარა საქონლის და ტვირთის დიდძალმა რაოდენობამ (ადს).

### მთავრობის კოლექტიური თხოვნა გადადგომის შესახებ

**პარიზი**, 27 ივლისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „ვინაიდან პუანკარემ დაჟინებით მოითხოვა განთავისუფლება, მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის პრეზიდენტს დუმერგს მისცა საერთო განცხადება მთელი მთავრობის გადადგომის შესახებ. ალბად, დუმერგი მიანდობს ბრიანს შეადგინოს ახალი კაბინეტი. 11 საათსა და 20 წუთზე დუმერგმა თავისთან მოიწვია სენატის თავმჯდომარე დუმერი (ადს).

### დემონსტრაციების აკრძალვა

**ბერლინი**, 27 ივლისი. ნიურენბერგში პოლიციამ აკრძალა ყოველგვარი დემონსტრაციები 1 აგვისტოს. ბერლინში შესდგა „ანტიფაშისტურ ახალგაზრდა გვარდიის" დამფუძნებელი კრება. „ანტიფაშისტურ ახალგაზრდა გვარდია"-ში უკვე ჩაეწერა 1000-ზე მეტი ახალგაზრდა მუშა (ადს).

### ესტონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დამტკიცება

**რეველი**, 26 ივლისი. პარლამენტმა დაამტკიცა ესტონეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება (ადს).

### პუანკარეს წერილი პრეზიდენტ დუმერგისადმი

**პარიზი**, 27 ივლისი. ჰავასი იუწყება: „მინისტრთა საბჭოს სხდომის შემდეგ ტარდიემ პრესის წარმომადგენლებს აცნობა იმ წერილის შინაარსი, რომელიც პუანკარემ პრეზიდენტ დუმერგს მისწერა. პუანკარე აღნიშნავს თავის წერილში, რომ აუცილებელი ქირურგიული ოპერაციის შემდეგ მას დასჭირდება დასვენება 3 თვის განმავლობაში, რის გამო ვერ შესძლებს სათანადოდ შეასრულოს თავისი მოვალეობა. პუანკარე მწუხარებას გამოსთქვამს, რომ იძულებულია გადადგეს და არწმუნებს დუმერგს თავის ერთგულებაში და პატივისცემაში (ადს).

### აფეთქება ინგლისის კრეისერზე

**ლონდონი**, 27 ივლისი. კუნძულ მალტას რაიონში (ინგლისის ფლოტის ბაზა ხმელთაშუა ზღვაზე) ინგლისურ კრეისერ „დევონშირ"-ზე სამოსწავლო საარტილერიო სროლის დროს მოხდა აფეთქება. დაიღუპა 13 მეზღვაური (ადს).

### ამერიკელი ტურისტების ჯგუფი ბათომში

**ბათომი**, 26 ივლისი. დღეს თბილისიდან ბათომში ჩამოვიდა ამერიკელი ტურისტების ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ამერიკის მრეწველთა დელეგაციის მეთაური პროფესორი გრინი. ჩამოსულები გაეცნობიან აჭარისტანის მრეწველობას, დაათვალიერებენ ქალაქის მიდამოებს და შემდეგ გაემგზავრებიან ყირიმისაკენ. (ადს).

## ანტი-იმპერიალისტური ლიგის კონგრესზე

### კამათი ზანგთა საკითხზე

**მაინის ფრანკფურტი**, 26 ივლისი. ანტიიმპერიალისტური ლიგის სხდომაზე ხუთშაბათს გაგრძელდა კამათი ზანგების საკითხის ირგვლივ.

დელეგატმა ქალმა მერი ადამსმა (ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ზანგთა კონგრესის დელეგატი) გააკრიტიკა ლიგის მუშაობა. იგი ამტკიცებდა, რომ ზანგი მუშები მთლად განკერძოებულნი არიან მუშათა საერთო მოძრაობიდან. ლიგის ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ამ განკერძოების დაძლევა ზანგთა შორის გაძლიერებული მუშაობით.

გალენმა (პროფკავშირთა შორის პროპაგანდის ლიგა ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში) აღნიშნა, რომ საჭიროა ზანგთა პროფკავშირების შექმნა.

### მონობა ინდონეზიაში

ინდონეზიაში არსებული მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა აბდულ სამურმა (ინდონეზიის ნაციონალ-რევოლიუციონური სტუდენტობის წარმომადგენელმა), რომელმაც ვრცელი მასალით დაასურათა კოლონიალური ექსპლოატაცია და ჰოლანდიის იმპერიალიზმის მართვა-გამგეობის მეთოდები იავასა, სუმატრასა და ინდონეზიის სხვა კუნძულებზე. ეგრედწოდებულ „მუშა ხელის დაქირავების ხელშეკრულებათა" სახით იქ ამჟამად ფაქტიურად მონობა არსებობს. დელეგატმა განაცხადა, რომ ჰოლანდიის მთავრობამ მოახერხა ამ კონგრესზედაც კი გამოეგზავნა თავისი აგენტები კონგრესზე დამსწრე ინდონეზიელ რევოლიუციონერებისათვის თვალყურის სადევნებლად. ორატორმა აღნიშნა, რომ მხოლოდ რევოლიუციონური ხელისუფლების შექმნით შეიძლება ჰოლანდიის იმპერიალიზმის დამხობა.

### სანდინოს წერილი

მექსიკის წარმომადგენელმა გონზალესმა წაიკითხა ნიკარაგუას განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის სანდინოს წერილი ანტიიმპერიალისტური კონგრესისადმი. წერილს კონგრესი მქუხარე ტაშით შეხვდა.

### ფლანდრია დამოუკიდებლობას მოითხოვს

ფლამანდიელ ნაციონალისტთა მემარცხენე ფრთის ბელადმა და ბელგიის პარლამენტის დეპუტატმა გერმანსმა მოითხოვა ფლანდრიის სრული და აუცილებელი დამოუკიდებლობა.

კომუნისტმა მორისმა (ბელგიის კომპარტია) გააკრიტიკა ფლამანდიის ნაციონალური მოძრაობა, რომელმაც ვერ შესძლო დაეკავშირებია ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა კლასობრივ ბრძოლასთან.

ანტიიმპერიალისტური ლიგის ჰოლანდიის სექციის წარმომადგენელმა კოხმა წამოაყენა წინადადება—გაეგზავნოს თანაგრძნობის დეპეშა საპყრობილეებში მყოფ და გადასახლებულ მებრძოლთ ინდონეზიის განთავისუფლებისათვის. ეს წინადადება მიღებულ იქნა, რის შემდეგაც კონგრესმა მოისმინა მოხსენებები ინდო-ჩინეთსა და კორეაში არსებული მდგომარეობის შესახებ. (ადს).

## სამხედრო-საზღვაო მეტოქეობის შენელების ცდა

### ალექსანდერი ინგლის-ამერიკის ურთიერთობის შესახებ

**ლონდონი**, 26 ივლისი. თემთა პალატაში საზღვაო მინისტრს ალექსანდერს შეეკითხენ, „მთავრობის უკანასკნელი გადაწყვეტილებანი ინგლისის საზღვაო ძალების რაოდენობის შესახებ იმას ხომ არ მოასწავებს, რომ მთავრობა სრულებით არ სთვლის ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებს ინგლისის შესაძლებელ მტერთა რიცხვში".

ალექსანდერმა უპასუხა, რომ მუშათა პარტიის მთავრობის პოზიცია ამ საკითხში ისეთივეა, როგორიც იყო ბოლდუინის მთავრობის პოზიცია, ეს პოზიცია კი დაახასიათა ჩემბერლენმა 1928 წლის 8 თებერვალს. მან სთქვა, რომ „მზადება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ომისათვის არასოდეს არ წარმოადგენდა და მომავალშიაც არასოდეს არ წარმოადგენს ინგლისის პოლიტიკის საფუძველსო" (ადს).

### „ესალმებიან" მაკდონალდის ჩასვლას

**ვაშინგტონი**, 26 ივლისი. ოფიციალური წრეები აცხადებენ, რომ ისინი „ესალმებიან" მაკდონალდის განზრახვას—ჩამოვიდეს ოქტომბერში ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოსალაპარაკებლად (ადს).

## ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა

● ინგლისის თემთა პალატის სესია დამთავრდა. მორიგი სესია გაიხსნება 29 ოქტომბერს.

● როსტოვში დასრულდა საბჭოთა კავშირში პირველი ავტომატიური სატელეფონო სადგურის მოწყობა 6.000 აბონენტისათვის, (150 მუშაკის მაგიერ სადგურში დღისით მუშაობს 2 მექანიკოსი, ღამით კი—ერთი).

● დონის რკინის გზის სლავიანსკის უბნის თანამშრომელმა ნიკოლოზ მელნიკოვმა 1923 წ. დააგირავა 1922 წ. სესხის ობლიგაცია, რომელსაც 1929 წ. 1-ლ ივლისს ხვდა 25.000 მან. მოგება. სახ. ბანკის სრ. უკრაინის კანტორამ გაზეთებში მოათავსა განცხადება, რომელშიც წინადადებას აძლევს მელნიკოვს გამოცხადდეს მოგების მისაღებად.

## საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილება ინდუსტრიალიზაციის დღის შესახებ

**მოსკოვი**, 27 ივლისი. საკავშირო პროფსაბჭომ პროფესიონალური კავშირების წევრებს მიმართა მოწოდებით—მხარი დაუჭირონ ლენინგრადის მოწინავე პროლეტარიატის და მუშათა სხვა მრავალრიცხოვანი კრებების წინადადებას და ყოველწლიურად მთელს საბჭოთა კავშირში ჩაატარონ ინდუსტრიალიზაციის დღე. საკავშირო პროფსაბჭო, ასრულებს რა პროლეტარების სურვილს, ინდუსტრიალიზაციის დღედ აცხადებს 6 აგვისტოს, როდესაც მუშაობა 6 საათს იწარმოებს, ხოლო დანარჩენი დრო უნდა მოხმარდეს მუშათა კრებებს სამეურნეო მშენებლობის საკითხების განსახილველად.

საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებაში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ იმ ადგილებში, სადაც 6 აგვისტო დასასვენებელ დღედ არის გამოცხადებული, ინდუსტრიალიზაციის დღე უნდა მოეწყოს და ჩატარდეს 6 აგვისტოს.

თუ რომელიმე რაიონში 6 აგვისტო სამუშაო დღეა, მაშინ „ინდუსტრიალიზაციის დღედ" პროფკავშირთა საოლქო და სამაზრო საბჭოები, ამ საკითხის საწარმოებში ფართო განხილვის შემდეგ, აცხადებენ ერთ-ერთ დღეს აგვისტოს ან სექტემბრის განმავლობაში. მუშებისა და მოსამსახურეების ამ დღის ხელფასი გადაიდება ინდუსტრიალიზაციის განსაკუთრებულ ფონდში. პროფკავშირებმა მუშათა კრებებზე უნდა დასვან განსახილველად საკითხი იმის შესახებ, თუ რა მიმართულება უნდა მიეცეს იმ სახსრებს, რომლებიც განსაზღვრული, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებული მიზნებისათვის შეგროვდება ინდუსტრიალიზაციის დღეს. საკავშირო პროფსაბჭო თავის მხრით იძლევა რჩევას, რომ დაგროვილი თანხები მოხმარდეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და სატრაქტორო რაზმების შექმნას, საწარმოს ყველაზე უფრო ნიჭიერი მუშების, მუშა-ქალების და მუშა ახალგაზრდობისაგან ტექნიკური კადრების მომზადებას მათი უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში მივლინებით და შესაფერი სტიპენდიების დანიშვნით. იმ კავშირებმა, რომლებიც თავიანთი მუშაობით სოფელთან არიან დაკავშირებულნი, უნდა მიიღონ ზომები, რომ ინდუსტრიალიზაციის დღე სოფლადაც გავრცელდეს. ამ კავშირებმა გლეხთა მასების ინიციატივა უნდა მიმართონ იქითკენ, რომ მათ ხელი შეუწყონ სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიის განმტკიცებას, კოლექტიური მშენებლობის განვითარებას და ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელებას (ადს).

ბიბლიოთეკა

### ჩრდ. ამერიკის პიონერთა დელეგაცია

**ნიუ-იორკი, 26 ივლისი.** მოსკოვში გამოემგზავრა ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების პიონერთა დელეგაცია. დელეგაციაში შედის მუშების შვიდი ბავში, მათ შორის არიან ზანგი მუშების შვილები. (ადს)

### ინგლისის კოოპერატორები საბჭოთა კავშირში

**ლონდონი, 26 ივლისი.** გემ „სოვეტ სსსრ“-ით გამოემგზავრა ინგლისელ კოოპერატორთა დელეგაცია.

### საზ-ვის „სელხოზსნაბჟენიე“-ს მოწყობა

**მოსკოვი, 27 ივლისი.** საკავშირო სახკომსაბჭომ დაადგინა—მოეწყოს საკავშირო სააქციო საზოგადოება „სელხოზსნაბჟენიე“. „სელხოზსნაბჟენიე“ იმუშავებს სოფლის მეურნეობისათვის საწარმოო საშუალებათა მისაწოდებლად რესპუბლიკანური და საოლქო სააქციო საზოგადოებების ან თავისი განყოფილებებისა და საწყობების მეშვეობით. ასაგებ ფონდს (ადს).

### „ავტოდორ“-ის ლატარიის ტირაჟი

**მოსკოვი, 27 ივლისი.** პირველ აგვისტოს მოხდება „ავტოდორ“-ის ლატარიის ტირაჟი. გამოშვებული იყო 3 მილიონი ბილეთი, აქედან განაღდებულია 98—99 პროც. პირველი ლატარიის წარმატებამ და საზოგადოების ფინანსიური ბაზისის განმტკიცების საჭიროებამ გამოიწვია მეორე ლატარიის მოწყობა. სათანადო გადაწყვეტილება უკვე გამოტანილ იქნა საზოგადოების გაფართოვებული პლენუმის მიერ მოსკოვში (ადს).

### გადაფრენის შედეგები

**მოსკოვი, 27 ივლისი.** სამხედრო-საჰაერო ძალთა გამგეობისაგან მიღებული ცნობებით, ხარკოვში მუშაობა დაამთავრა განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელმაც ჯამი გაუკეთა სამხედრო-საჰაერო ძალთა სკოლების ინსტრუქტორთა გადაფრენას. პირველი ჯილდო მიესაჯა მფრინავთა და ავიატექნიკოსთა №-ის გაერთიანებული სკოლის აეროპლანის ეკიპაჟს, რაზმის მეთაურს ავალიანს და ნაწილის მეთაურს დემიდოვს. მათ სულ 630 ქულა მიიღეს 700 ქულიდან.

მეორე ჯილდო მიესაჯა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო აკადემიის სასწავლო — მებრძოლი ესკადრილიის აეროპლანის ეკიპაჟს და უფროსს კონსტრუქტორ—მფრინავებს შუმოვსა და იუდენიჩს, რომელთაც 612 ქულა მიიღეს.

მესამე ჯილდო მიესაჯა №-ის მფრინავთა სკოლის აეროპლანის ეკიპაჟს, რაზმის მეთაურს პოსპელოვს და ნაწილის მეთაურს გორშკოვს. გადაფრენაში მონაწილეთა შეხვედრა და მათთვის ჯილდოების გადაცემა მოხდა ხარკოვში 25 ივლისს. გადაფრენამ სავსებით დამაკმაყოფილებლად ჩაიარა (ადს).

### მშენებელთა კავშირის ცეკას პრეზ.-დ.-უმის შემადგენლობა

**მოსკოვი, 27 ივლისი.** მშენებელთა კავშირის ც. კ.-ის პრეზიდიუმში შეყვანილ იქნენ ამხ. ერმოლოვი—მოსკოვის განყოფილების თავმჯდომარე და ულანოვი—ჩრდილოეთ-დასავლეთის საოლქო განყოფილების თავმჯდომარე; ხოლო ც. კ.-ის შემადგენლობაში—ამხ. გამანისტოვი (დასავლეთის ოლქი) და ამხ. აბდულ ზატაროვი (ბაშკირთა რესპუბლიკა). ც. კ.-ის შემადგენლობიდან გამორიცხულ იქნენ კავშირის ციმბირის და შორეული აღმოსავლეთის ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელები აბრამოვი, ტიტოვი და კანდიდატი ც. კ.-ის წევრობაზე, ციმბირის ორგანიზაციის მუშაკი ზუბაკინი. პრეზიდიუმში მუშაობისაგან თავისი სურვილით განთავისუფლებულ იქნა ამხ. რუმიანცევი. (ადს).

### შავი ზღვის ესკადრა ბათომში

**ბათომი, 27 ივლისი.** 27 ივლისს ბათომში მოვიდა სასწავლო ცურვაზე გამოსული შავი ზღვის ფლოტის ესკადრა ფლაგმანის გემის „ჩერვონა უკრაინა“-ს მეთაურობით.

შესახვედრად „ჩერვონა უკრაინა“-ს ბაქანზე ავიდნენ აჭარისტანის მთავრობის წევრნი რომელნიც მხურვალედ მიესალმენ წითელ ფლოტელებს და მეთაურთა შემადგენლობას.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს შავი ზღვის საზღვაო ძალების სარდალმა ამხ. ორლოვმა განაცხადა: „შავი ზღვის ფლოტის ესკადრა სამხედრო-სასწავლო მომზადების გეგმით გათვალისწინებული მორიგი ტაქტიკური ვარჯიშობის შესასრულებლად გამოვიდა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ბათომში მოსვლის მიზანია შავი ზღვის ფლოტის პირადი შემადგენლობის მჭიდრო კავშირის განმტკიცება. აჭარისტანის ფართო მშრომელ მასებთან, აგრეთვე პირადი შემადგენლობის მოკლევადიანი შესვენება.

ფლოტის მზადება წელს სრულის წარმატებით მიმდინარეობს. მრავალ დარგში წელს მიღწევები ბევრად მეტია, ვიდრე წარსულ წლებში იყო. სამხედრო მზადების წარმატებით სვლას ბევრად უწყობს ხელს სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ფართოდ გაიშალა შავი ზღვის საზღვაო ძალების გემებსა და ნაწილებს შორის, აგრეთვე შავი და ბალტიის ზღვის ფლოტებს შორის.

პირადი შემადგენლობის პოლიტიკურ-მორალური განწყობილება საუკეთესოა და სავსებით საღი. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარმა ამბებმა შემადგენლობა ბრძოლის სურვილით გამსჭვალა.

ვსარგებლობ რა შემთხვევით, შავი ზღვის საზღვაო ძალთა პირადი შემადგენლობის სახელით მხურვალე სალამს ვუძღვნი წითელ აჭარისტანის მშრომელებს და ვსთხოვ მათ—იქონიონ მტკიცე რწმენა, რომ შავი ზღვის ფლოტი მთავრობის პირველი მოწოდებისთანავე შესძლებს შეასრულოს თავისი მოვალეობა მუშებისა და გლეხების მტერთა ყოველგვარი გამოლაშქრებისაგან ჩვენი შავი ზღვის სანაპიროების დაცვის საქმეში“.

ნაპირზე გადმოსულ წითელ ფლოტელებს მხურვალე შეხვედრა გაუმართეს. დღისით ნავთსადგურში მოხდა მრავალრიცხოვანი მიტინგი, ხოლო საღამოთი საზეიმო სხდომა სახელმწიფო თეატრში და დაახლოვების საღამო, წარმოდგენები და კინო ყველა კლუბებში. ესკადრა ბათომში რამდენისამე დღის დარჩება. ამ ხნის განმავლობაში გაიმართება ექსკურსიები წითელ ფლოტელებთან ერთად. ექსკურსიები ეწვევიან ბოტანიკურ ბაღს და აჭარისტანის სოფლებს გლეხობასთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად (ადს).

### არქეოლოგიური ექსპედიცია სომხეთში

**ერევანი, 26 ივლისი.** ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომლებთან საუბრის დროს მატერიალური კულტურის და ისტორიის სახელმწიფო აკადემიის არქეოლოგიური ექსპედიციის მეთაურმა პროფ. ორბელიმ განაცხადა: „სომხეთში ჩვენს გამგზავრებას სამი მიზანი აქვს: წმინდა სამეცნიერო, საორგანიზაციო და პედაგოგიური.

საგამოკვლევო მუშაობის სფეროში უმთავრესად გვაინტერესებს სომხეთში სასანიდების კულტურის წყაროების გამორკვევა (ეგრედწოდებული საშუალო საუკუნოების კულტურისა მუსულმანურ პერიოდამდე), იმ კულტურის, რომელიც წარმოადგენდა არა მარტო სპარსულ კულტურას, არამედ მაშინდელ სომხეთის, ძველ ალბანეთის სახელმწიფოს და, საერთოდ, კავკასიის კულტურასაც. შემდეგ ჩვენ გვაინტერესებს კავკასიასა და სპარსეთში ხელოვნებისა და კულტურის აღორძინების პრობლემა ეგრედწოდებულ სელჯუკთა ეპოქაში (მე11 და მე-13 საუკ.), როდესაც ქალაქის ცხოვრება არაჩვეულებრივი ინტენსივობით განვითარდა და როდესაც ჩაისახა მთელი რიგი საინტერესო კულტურები. ამ კულტურების ყოფა-ცხოვრებითი და მხატვრული ფორმები გამოხატავდნენ მაშინდელი საზოგადოების კლასობრივად და წოდებრივად და არა ნაციონალურად და რელიგიურად დაყოფას. ამასთან ერთად, ექსპედიცია გამოკვლევებს მოახდენს ალბანიის პრობლემის სფეროშიაც. ეს პრობლემა ბოლო დროს წამოყენებულ იქნა ორბელისა და ტრევერის ნაშრომებში, რაც შედეგად მოჰყვა ძველი დაღესტანისა და ჩრდილოეთ სომხეთის (დიდი ხნის წინად გამქრალი ალბანიის ტერიტორია) ლითონის ნაწარმოებათა შესწავლას.

ორგანიზაციული ხაზით ექსპედიციის მთავარ ამოცანას შეადგენს მატერიალური კულტურის სფეროში მუშაობის შეთანხმება ერთის მხრით, მატერიალური კულტურის ისტორიის სახელმწიფო აკადემიასა, ხოლო მეორეს მხრით, სომხეთის სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებათა შორის.

დასასრულ, პროფ. ორბელმა აღტაცება გამოსთქვა იმ მშენებლობით, რომელიც ამ ჟამად სწარმოებს საბჭოთა სომხეთში და, საერთოდ, კავკასიაში, სადაც ის 12 წლის განმავლობაში არ ყოფილა (ადს).

# 750.000.000 მანეთი საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის

## არ უნდა დარჩეს არც ერთი მშრომელი, რომელიც არ შეიძენს სესხის ობლიგაციებს

## განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სესხის რეალიზაციას მშრომელ გლეხებში

## მოვახდინოთ მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის მობილიზაცია ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის წარმატებით რეალიზაციის უზრუნველსაყოფად

### საკავშირო პროფსაბჭოს მოწოდება

**მოსკოვი, 27 ივლისი.** საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირთა ყველა წევრს მიმართა მოწოდებით ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის შესახებ. პრეზიდიუმი მოუწოდებს საბჭოთა კავშირის მუშა-მოსამსახურეებს—ასესხონ თავიანთ სახელმწიფოს თვიური ხელფასი სოციალიზმის დიადი მშენებლობისათვის და მთელს მსოფლიოში მუშათა ინტერნაციონალური საქმის საბოლოო გამარჯვების დასაჩქარებლად. საკავშირო პროფსაბჭო ავალებს თვითეულ მუშასა და მოსამსახურეს ჩაბან ხელის მოწერაში გლეხობის ფართო მასები. საბჭოთა კავშირის მშრომელთა მოვალეობას შეადგენს არა მარტო შეიძინონ, არამედ შეინარჩუნონ ამ სესხის ობლიგაციები, აგრეთვე წინად შეძენილი სესხების ობლიგაციები (ადს).

### ამხ. ბრიუხანოვის დირექტივები

**მოსკოვი, 27 ივლისი.** საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. ბრიუხანოვმა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის განაღდების შესახებ წერილით მიმართა საფინანსო და საკრედიტო დაწესებულებებისა და შემნახველი სალაროების მუშაკებს. ამ წერილში ამხ. ბრიუხანოვი აღნიშნავს, რომ ახალ სესხზე ხელის მოწერის ჩატარების დროს უნდა გამოვდიოდეთ იქიდან, რომ სესხზე ხელის მომწერნი სახელმწიფოს გრძელვადიან კრედიტორებად გავხადოთ. ხსენებულმა მუშაკებმა უნდა იკისრონ სესხის საკითხების პოპულიარიზატორების როლი. განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა ფინანსიური მუშაკის როლი სოფლად (ადს).

### ამხ. კარახანი სესხის შესახებ

**მოსკოვი, 27 ივლისი.** ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის შესახებ ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ. კარახანმა, სხვათა შორის, განაცხადა:

„ინგლისთან ურთიერთობის გაწყვეტა საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხით უპასუხეს. შორეული აღმოსავლეთის პროვოკაციის საპასუხოდ საბჭოთა კავშირის მშრომელები სტიქიურად შეუდგნენ ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის რეალიზაციას მაშინ, როცა ფაქტიურად სესხი არ არის გამოშვებული. ეს სესხი იმპერიალისტების ანტისაბჭოთა გეგმებისა და ინტრიგების საუკეთესო პასუხი იქნება. (ადს).

### ხელის მოწერა მოსკოვში

**მოსკოვი, 27 ივლისი.** ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელის მოწერა ყოველ დღე მატულობს და განსაკუთრებული აღფრთოვანებით ტარდება. 26 ივლისს მოსკოვის ხუთ რაიონში, არასრული ცნობებით ვადაზე ადრე ხელმოწერით მიღებულია 2 მილიონ მანეთზე მეტი. ნიჟნი-ნოვგოროდის ოლქში ვადაზე ადრე ხელის მოწერა აღწევს 40.000 მანეთს, ტამბოვში აღნიშნულია მრავალი ისეთი შემთხვევა, რომ საფინანსო ორგანოებში ავანსად შეაქვთ თანხები სესხის ობლიგაციების ანგარიშში. ბრიანსკში ხელის მოწერას ერთ დღეს მოემატა 90.000 მანეთი და აღწევს უკვე 390.000 მანეთს. გამოაქვთ გადაწყვეტილებანი პირველი თანხის აგვისტოში შეტანის შესახებ. (ადს).

### საქართველოს პროფსაბჭოს მიმართვა

#### პროფკავშირთა ყველა წევრს, ყველა პროფორგანიზაციას

ძვირფასო ამხანაგებო!

პირველ სექტემბერს იწყება რეალიზაცია ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხისა, რომელიც, საბჭოთა კავშირის ცაკის დადგენილების თანახმად, გამოშვებულია 750 მილიონი მანეთის რაოდენობით 10 წლის ვადით.

სესხი გამოყენებული იქნება ფაბრიკების, ქარხნების, ელექტრო-სადგურების მშენებლობისათვის, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის და სხვ.

ხუთწლიანი გეგმის—დიად სამუშაოთა გეგმის განხორციელება კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისა და ქალაქის და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ გადაჭრილ შეტევაზე გადასვლის პირობებში უაღრესად სერიოზულ პასუხისმგებლობას აკისრებს პროლეტარიატს და ყველა მშრომელს. იგი მოითხოვს პროლეტარიატის მთელი შემოქმედებითი ნიჭის მობილიზაციას იმ უდიდეს სიძნელეთა გადასალახავად, რომელნიც ელობებიან ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის შესანარჩუნებლად, შრომის დისციპლინის განმტკიცებასა, შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასთან ერთად, საჭიროა აგრეთვე უდიდესი მატერიალური სახსრები, რომელნიც გამოყენებულ უნდა იქნან კაპიტალური მშენებლობისათვის ფინანსების მისაწოდებლად, რისთვისაც ჩვენი მთავრობა მიმართავს შინაურ სესხებს.

ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე ფინანსიური დახმარების მოლოდინი ვიქონიოთ კაპიტალისტური სახელმწიფოების მხრივ, მხოლოდ საკუთარი ძალ-ღონით შევძლებთ სამეურნეო ფრონტზე გამარჯვებას.

ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის საერთო ღონისძიებებით უახლოეს დროში უნდა განხორციელდნენ უდიდესი სამეურნეო ამოცანები.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ შეუდგა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციას, რკინის გზების ქსელის და სახოსნო ტრანსპორტის გაფართოვებას და განახლებას, მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებას და მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ყველა ეს ღონისძიება საჭიროა სოციალისტური მშენებლობის დასამთავრებლად, პროლეტარიატის დიქტატურის განსამტკიცებლად.

მუშათა კლასი ერთსულოვნად გამოეხმაურა მთავრობის მოწოდებას—დახმარებოდა მშენებლობას თავისი დანაზოგი თანხებით. ამით მუშათა კლასმა დაამტკიცა, რომ იგი მზად არის დროებით შეზღუდოს თავისი მოთხოვნილებანი სოციალისტური მშენებლობის დაჩქარების მიზნით.

ინდუსტრიალიზაციის პირველ და მეორე სესხებზე ხელმოწერამ გამოააშკარავა, რომ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი ერთსულოვნად უჭერს მხარს საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის სფეროში.

ამ ფაქტით საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ იგი არის სოციალიზმის მშენებლობის აქტიური და უშუალო მონაწილე და ამით ხელს უწყობს სოციალისტური წყობილების დამყარების დაჩქარებას მთელ მსოფლიოში.

პროფორგანიზაციებმა ფართოდ უნდა განუმარტონ მშრომელთ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის მნიშვნელობა, მაგრამ ამავე დროს მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაშვებულ იქნას იძულების მეთოდები. ამიტომ მტკიცედ უნდა შევითვისოთ, რომ სწორი ორგანიზაციული მუშაობით, სწორად დაყენებული აგიტაციითა და პროპაგანდით ჩვენ შევძლებთ იმის განხორციელებას, რომ სესხზე ხელი მოაწეროს მუშა-მოსამსახურეთა 100 პროცენტმა საშუალო თვიური ხელფასის რაოდენობით.

ამასთან ერთად საჭიროა ადგილებზე გაიმართოს ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია წინა სესხების ობლიგაციების შენარჩუნების სასარგებლოდ; უყოყმანოდ უნდა ვებრძოთ კავშირების წევრებს ხელი აიღონ სახელმწიფო სესხების ობლიგაციების გაყიდვაზე, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში დაკმაყოფილდნენ მათი დაგირავებით.

სესხზე ხელისმოწერის პრაქტიკულად ჩატარების დაწყებისას პროფორგანიზაციებმა უნდა მოიწვიონ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები, რომლებზედაც უნდა განმარტონ საერთოდ სახელმწიფო სესხების და, კერძოდ, ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის, მიზნები და მნიშვნელობა.

პროფორგანიზაციებმა კულტურული სამსახური უნდა გაუწიონ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის განაღდების კამპანიას, რისთვისაც კლუბებსა და წითელ კუთხეებში უნდა მოაწყონ ლექციები და საუბრები და გამოუშვან კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები.

პროფორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სესხზე ხელის მოწერას სოფლად. აქ საჭიროა გაიშალოს სათანადო საგიტაციო ახსნა-განმარტებითი მუშაობა სოფლის სამკითხველოების ირგვლივ, საუბრები, სოფლის პროლეტარიატის (მოჯამაგირეების, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების მუშების) კრებები ღარიბ და საშუალო გლეხობასთან ერთად; ამ მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნას სოფლის ინტელიგენცია (მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები და სხვ.).

ამასთან ერთად საჭიროა საწარმოებსა და დაწესებულებებში მოეწყოს სესხის ხელის შემწყობი კომისიები, რომლებმაც ყოველნაირი ზომები უნდა მიიღონ, რათა მაქსიმალური დახმარება გაუწიონ ფინსახკომის ორგანოებს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელის მოწერის ჩატარებაში, აგრეთვე სათანადო სიმაღლეზე დააყენონ საინფორმაციო მუშაობა.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელის მოწერა პროფკავშირის ყოველი წევრის კლასობრივი ვალია.

პროფკავშირის ყოველმა წევრმა თითონ უნდა მოაწეროს ხელი სესხს და აქტიურად შეკრიბოს ხელის მომწერნი თავის ამხანაგებს შორის.

საბჭოთა პროლეტარიატს არაერთი კამპანია ჩაუტარებია წარმატებით, იგი ამ კამპანიასაც ორგანიზაციული წესრიგით ჩაატარებს. ამის საწინდარია მისი კლასობრივი შეგნება და პოლიტიკური სიმწიფე.

არ უნდა დარჩეს პროფკავშირის არც ერთი წევრი, რომელმაც არ შეიძინოს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ობლიგაცია!

გადავდოთ არა ნაკლებ საშუალო თვიური ხელფასისა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხისათვის!!

მესამე სესხზე ხელის მოწერის დროს აუცილებლად შევინარჩუნოთ წინა სესხების ობლიგაციები!

საქართველოს პროფკავშირთა საბჭო.

### საუბარი ამხ. გ. ვაშაძესთან

ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის შესახებ ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარს ამხ. გ. ვაშაძეს, რომელმაც განაცხადა შემდეგი:

სახალხო მეურნეობის განვითარების 5 წლ. გეგმაში სახელმწიფო სესხებს უდიდესი როლი აქვს მიკუთვნებული. ეს გარემოება ნათელს ჰყოფს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვთ ინდუსტრიალიზაციის საქმეში სახელმწიფო სესხებს და განსაკუთრებით ახალ სესხს, რომელიც გამოშვებული იქნება 1 დეკემბერს. ეს სესხი გამოშვებული იქნება 750 მილიონი მანეთის რაოდენობით.

ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის რეალიზაცია უნდა დაწყებულიყო არა უადრეს ახალ საბიუჯეტო წლის დამდეგისა, მაგრამ გარეშე პოლიტიკურმა გართულებებმა—აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარმა ჩინელი მილიტარისტების თავდასხმამ გამოიწვია საბ. კავშირის მრავალ მილიონიან მშრომელთა მასების დაჟინებითი მოთხოვნა სესხის ვადაზე ადრე გამოშვების შესახებ. ამ მოთხოვნას იმეორებდნენ ქალაქებისა და სოფლების მშრომელთა მთელ რიგ მრავალრიცხოვან მიტინგებზე და კრებებზე, სადაც მთავრობის წინაშე აყენებდნენ საკითხს საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის გასაძლიერებლად ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის გამოშვების შესახებ.

დიდ საწარმოო ცენტრების და ნაციონალურ რესპუბლიკების სამრეწველოების მუშა-მოსამსახურეებმა წინასწარ დაიწყეს სესხზე სტიქიური ხელისმოწერა. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში სესხზე ხელის მოწერამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატი იძულებული შეიქნა გამოეცა დეკრეტი სესხის გამოშვების შესახებ და ოფიციალურად გაეხსნა კამპანია.

კამპანიის ვადამდე დაწყებასთან ერთად საფინანსო და საკრედიტო ორგანოები ვალდებულნი არიან ყოველი ღონე იხმარონ, რათა უზრუნველყოფილი იქნეს არა მარტო სესხის წარმატებით რეალიზაცია, არამედ ხელის მომწერათა შორის სესხების მიზნებისა და ამოცანების პოპულიარიზაცია, რადგან უამისოდ შეუძლებელია სახელმწიფო სესხების წარმატება.

სესხის თანხა დიდია. ჩვენი საფინანსო ორგანოები პირველად ატარებენ ასეთ დიდ საკრედიტო ოპერაციას. განსაკუთრებული სიძნელეები გვექნება დასაძლევი სოფლად, სადაც განზრახულია 200 მილიონ მანეთის სესხის გასაღება. ამიტომ მიმდინარე კამპანიაში განსაკუთრებული ყურადღება სოფელს მიექცევა.

როგორც წინა სესხების, ისე ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაცია იწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობის პრინციპზე. საფინანსო ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ, რომ არ ექნეს ადგილი რეალიზაციის აშკარა ან ფარულ იძულების მეთოდებს. ამ მიზნით საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატი მიმდინარე კამპანიაში აწყობს სპეციალურ აპარატს, რომელიც აწარმოებს სესხების შესახებ ცენტრალურ ორგანოების მიერ მოცემულ დირექტივების შესრულების შემოწმებას. ამით აცილებული იქნება თავიდან ყოველგვარი დახინჯება.

მიუხედავად იმისა, რომ სესხის თანხა დიდია, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რეალიზაციის კამპანია წარმატებით გაიშლება და ჩვენ არა თუ დავფარავთ, არამედ გადავაჭარბებთ კიდეც მთავრობის საკონტროლო დავალებას. ამის თავდებია ის დიდი საზოგადოებრივი ენთუზიაზმი, რომელიც მშრომელ მოსახლეობაში გამოიწვია ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ვადამდე გამოშვებამ.

### ფინორგანოების, საკრედიტო დაწესებულებების და შემნახველ სალაროების ყველა მუშაკს

ამხანაგებო! თქვენს წინაშე ამჟამად სდგას ფრიად საპასუხისმგებლო და რესპუბლიკისათვის მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა—ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის განაღდება. ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის განაღდება მორიგი გამოცდაა ჩვენი ადგილობრივი საფინანსო აპარატისათვის. წინად გამოშვებული სესხები მთელ კავკასიაში და განსაკუთრებით ჩვენში—საქართველოში განაღდებული იქნენ დიდის წარმატებით. განსაკუთრებული წარმატებით იქნა განაღდებული ჩვენში ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხი, რომელმაც მოგვცა დავალების 225 პროცენტი. საკონტროლო თანხა მთლიანად იქნა შესრულებული ყველა მაზრებისა და ავტონომიურ რესპუბლიკების მიერ, ხოლო მრავალმა მათგანმა დავალება შეასრულა დიდი გადაჭარბებით. ეს გარემოება იმედს აძლევს ფინ. სახ. კომისარიატს, რომ ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხი წარმატებით იქნება განაღდებული და საფინანსო მუშაკები როგორც წინად, ისე ეხლაც პირნათლად შეასრულებენ დავალებას.

საჭიროდ მიმაჩნია თქვენი განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო სოფლად მუშაობას. თქვენ იცით, რომ სოფლად ჩვენ სრულიად არ მოგვეპოვება ფინაპარატი და როგორც სხვა დავალებათა, ისე სესხის განაღდების ბედიღბალი სოფლად სავსებით მინდობილია თემსაბჭოებსა და სოფლის აქტივზე. ამიტომ თქვენ გმართებთ თემებში მივლინების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ ადგილობრივ მომუშავეთა შერჩევას, მათ მომზადებას, აგიტაციის მეთოდს, სესხის გასაღების ხელმძღვანელი კომისიებისა და კონტრაგენტების რიცხვის იმდენად გადიდებას, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ცოცხალი კავშირი ხელის მომწერლებთან. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ჩატარებულ მუშაობის შემოწმებას, რომ შესაძლო იქნეს შემჩნეულ დეფექტების დაუყოვნებლივ გამოსწორება. მე-4 საგლეხო სესხისა და ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის რეალიზაციის კამპანია არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად ყველა ჩვენს მაზრებში. გლეხობასთან საუბრების დროს ირკვევა, რომ ჩვენი გლეხობა ჯერ კიდევ კარგად ვერ იცნობს ჩვენი სახელმწიფო კრედიტის მიზნებსა და ამოცანებს. იგი არ იცნობს სესხის პირობებს და რეალურად არ ხედავს მის სარგებლიანობას, რაც მოწმობს იმას, რომ ახსნა-განმარტებითი მუშაობა სოფლად სუსტად არის დაყენებული, ხოლო სარეალიზაციო კამპანიის ჩატარების შემდეგ ობლიგაციების მქონებლების მიმართ არავითარ მზრუნველობას არ აქვს ადგილი.

ჯერ-ჯერობით სოფლად ჩვენ არა გვყავს ობლიგაციების მქონებელთა საკმაო რაოდენობა. წინად გამოშვებულ სესხთა ობლიგაციები შეძენილი აქვს გლეხობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს. ეს აიხსნება არა იმით, რომ გლეხობას არ სურს ან არ შეუძლია სესხის შეძენა, არამედ აიხსნება უმთავრესად იმით, რომ საგიტაციო მუშაობა სოფლად სუსტად იყო დაყენებული, რომ აქამდე ვერ შევძელით მათი საკმაოდ დაინტერესება და ვერ მოვახდინეთ მათზე საჭირო მორალური ზეგავლენა.

ამხანაგებო! თქვენ იცით, რომ სახელმწიფო კრედიტს თანდათან მეტი მნიშვნელობა ეძლევა. სახელმწიფო სესხების შემოსავალ თანდათან მეტ ადგილს იჭერს სახელმწიფო ბიუჯეტში და ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარება საგრძნობლად არის დამოკიდებული სახელმწიფო კრედიტების წარმატებაზე, ამიტომ თქვენი ვალია პირნათლად შეასრულოთ მოვალეობა, გამოიჩინოთ მეტი აქტივობა და ხელი შეუწყოთ მთავრობას სახელმწიფო კრედიტების განმტკიცებაში.

საქ. ფინანსთა სახ. კომისარი:
გ. ვაშაძე.

### წინასწარი ხელის მოწერა წარმატებით ვითარდება

ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის გამოშვებამ თბილისის მშრომელ მოსახლეობაში დიდი ინტერესი გამოიწვია. წარმოება-დაწესებულებებში ეწყობა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები, რომლებზედაც გამოაქვთ გადაწყვეტილებები სესხზე კოლექტიურად ხელის მოწერის შესახებ.

—:—

თბილისის დეპოს სავაგონო პარკის უჯრედმა დაადგინა ხელი მოაწეროს სესხს ერთი თვის ხელფასის რაოდენობით. ხელის მოწერა სესხზე უკვე დაწყებულია.

—:—

შესდგა რკ. გზის მთავარ სამასალო საწყობის, სათბობ მასალების საწყობის და საპასალო სახელოსნოს კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დიდძალი უპარტიო თანამშრომლები დაესწრნენ. კრებამ მოისმინა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის გამოშვების შესახებ და ერთხმად დაადგინა ხელი მოაწეროს სესხზე ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

—:—

თბილისის აღმასკომის კომუჯრედის დახურულმა კრებამ კომკავშირელებთან ერთად გამოიტანა დადგენილება ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხზე ხელის მოწერის შესახებ თვე-ნახევრის ხელფასის რაოდენობით.

—:—

გაზ. „ახალი სოფელი“-ს თანამშრომლები ხელს ვაწერთ ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის ობლიგაციებზე შემდეგი რაოდენობით: არ. გიორგაძე—250 მანეთი, ზ. ბარათაშვილი—250 მან., გ. ძაბილაშვილი—250 მან., ს. ნატროშვილი—250 მან., ქუჩიშვილი—200 მ., აღნიაშვილი—200 მან., ხახუტაშვილი—200 მან., ტატიშვილი—200 მან., ებრალიძე—200 მან., მანგუაშვილი—100 მან., ცაგურია—100 მან., რამიშვილი—100 მან., ჯაფოშვილი—100 მან. დანარჩენი მუშა-მოსამსახურეები ობლიგაციების შესაძენად ვსდებთ თვიურ ხელფასს და ვიწვევთ გაზეთ „ენიკენდი“-ს, „პროლეტარი“-ს, რედაქციების, საქართველოს გლეხთა სასახლის და ცენტრალური გლეხკომის მუშა-მოსამსახურეებს.

—:—

გაზეთ „კომუნისტი“-ს, „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს და „მოლოდოი ლენინეც“-ის გამომცემლობათა მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებამ მოისმინა ამხ. აკ. ქუნიას მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის შესახებ.

მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა დანიშნულ ვადამდე არ გაყიდოს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციები, ხელი მოაწეროს მესამე სესხზე ერთი თვის ხელფასის რაოდენობით და ობლიგაციის ღირებულების გადახდა დაიწყოს აგვისტოიდან. ხელის მოწერის დაჩქარებით ჩამოსაყალიბებლად არჩეული იქნა დამხმარე კომისია 5 კაცის შემადგენლობით.

—:—

სავაგონო სამქროს მუშების კრებამ დაადგინა არ დარჩეს არც ერთი მუშა ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხზე ხელმოუწერელი და პირველსავე დღეს 101 კაცმა ხელი მოაწერა 17.420 მანეთის ობლიგაციებზე. საშუალოდ თითოეულ კაცზე მოდის 170 მანეთი.

—:—

მშენებელთა პროფკავშირის ცენტრალურმა გამგეობამ და თანამშრომლებმა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელი მოაწერეს ერთი თვის ხელფასის რაოდენობით და გამოიწვიეს ყველა პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობათა თანამშრომლები.

—:—

ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის თანამშრომლების ნაწილმა ხელი მოაწერა 14.000 მანეთის ობლიგაციებზე. ხელის მოწერა გრძელდება.

—:—

26 ივლისს შესდგა რკ. გზის მეორე უბნის მცველი რაზმის, დაცვის შტაბის თანამშრომელთა და სამოსწავლო ოცეულის რაზმელთა გაერთიანებული კრება. კრებამ მოისმინა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის შესახებ, რომელსაც აღფრთოვანებით შეხვდნენ დამსწრე რაზმელები. აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღო 16 ამხანაგმა, რომლებიც აღნიშნავდნენ სესხის მნიშვნელობას და მოითხოვდნენ მის რეალიზაციის ხელის შეწყობას.

დასასრულ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ მცველი რაზმის თანამშრომლები აღფრთოვანებით ეგებებიან ინდუსტრ. მესამე სესხის გამოშვებას და ყველანი ერთსულოვნად აწერენ ხელს თითო თვის ხელფასის რაოდენობით. მასთან ერთად კრება იწვევს დაცვის ყველა რაიონებს; პირველს, მესამეს და მეოთხეს და ქალაქის მილიციას. რკინის გზის დაცვის შტაბისა და მეორე რაიონში, წინასწარ გამოანგარიშებით ნავარაუდევია ობლიგაციების შეძენა—ოცდა ხუთმეტი ათასი მანეთის რაოდენობით.

—:—

### ერთი თვის ხელფასი სესხის შესაძენად

გაზეთ „კომუნისტის“ თანამშრომლები: ნ. კიკნაძე, გ. კვარაცხელია, აკ. ქუნია, ვ. წულაძე, სტ. ელიაძე, ვ. ნანუაშვილი; კ. ჩარკვიანი, რ. გვეტაძე; აკ. გობრონიძე, ვ. წულუკიძე, გ. გიორგაძე, შ. ბუაჩიძე; ილ. ალელაძე; ო. გაგუა, თ. ვანიძე; ან. ქელენჯერიძე, თ. მღებრიშვილი, ან. პარკაძე, ტ. ტყემალაძე, შ. გამყრელიძე; ელ. ხუციშვილი, თ. კუნჭულია; ს. ნაკაიძე; ვ. ეგნატაშვილი, სამ. ხვიჩია, გ. კიკნაძე; მ. კინწურაშვილი, ალ. ქაჯაია, ნ. სადოვნიკოვა, ს. გვასალია, ე. მღებრიშვილი, ნ. იტრიევი, ან. შადური; ე. მელიქიანი; ალ. გვინჩიძე, დ. ორჯონიკიძე და ს. შანშიაშვილი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელს აწერენ ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

### სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობი ა.-კ. ცენტრალური კომისია

სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობ ა.-კ. ცენტრალურ კომისიაში არჩეული არიან: ამხ. შ. ელიავა (თავმჯდომარე), მ. გუსეინოვი, ა. ნაზარეტიანი, გენკინი, კუზნეცოვი, იონოვი, ხუმარიანი, ლაქტიონოვი, ბაგიროვი და ჩხენკელი.

### საჩვენებელი უბნები

საჩვენებელ საგიტაციო-სარეალიზაციო კამპანიის ჩასატარებლად გამოყოფილია უბნები, სადაც საგიტაციო კამპანიის ჩატარებენ საკავშირო და ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახკომისარიატები. საჩვენებელ უბნებად გამოყოფილია: ბათომის, ლაგოდეხის, სალიანის, ლენქორანის და კამარლუს რაიონები.

### პურის დასამზადებელ რაიონებში

ა.-კ. ფინანსთა სახკომისარიატის ცნობით ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის კამპანიაში უმთავრესი ყურადღება მიექცევა პურის დასამზადებელ რაიონებს, სადაც წლის განმავლობაში გასაღებულ უნდა იქნეს 1.200.000 მანეთის სესხის ობლიგაცია.

### სოციალისტური შეჯიბრება სესხის რეალიზაციაში

სესხის დამხმარე ა.-კ. ცენტრალური კომისიას განზრახული აქვს ცალკე წარმოება-დაწესებულებათა, ქალაქების, სოფლების, რაიონების და მაზრებს შორის მოაწყოს სესხის რეალიზაციის სოციალისტური შეჯიბრება.

### ამიერ-კავკასიაში გასაღებული იქნება 30 მილიონ მანეთის სესხი

სესხის რეალიზაციის დამხმარე ა.-კ. კომისიის მიერ დამტკიცებულია სესხის რეალიზაციის წინასწარი გეგმა, რომლის მიხედვით მთელ ამიერ-კავკასიაში გასაღებული უნდა იქნეს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის 30 მილიონი მანეთის ობლიგაცია. აქედან აზერბეიჯანში—14.500.000 მანეთის (მათ შორის 3.500.000 მან. გასაღებულ უნდა იქნეს გლეხობას შორის). საქართველოში—12 მილიონი მანეთის (გლეხობას შორის გასაღებულ უნდა იქნეს 2.400.000 მანეთის), ხოლო სომხეთში—3.500.000 მან. (გლეხობას შორის გასაღებულ უნდა იქნეს 1.100.000 მანეთის) ობლიგაცია.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მე-7 მოწვევის
**მე-5 პლენუმი**
გაიხსნება
**ა. წ. 5 აგვისტოს საღამოს 6 ს. მუშათა სასახლის დიდ დარბაზში.**
პლენუმზე დასწრება სავალდებულოა ს.პ.კ.ს. ყველა წევრებისა და კანდიდატებისათვის, კავშირების ც. გ. მუშაკთათვის და ქალ. თბილისის ყველა ფაბქარხადგილკომების თავმჯდომარეთათვის.
ს.პ.კ.ს. პრეზიდიუმი

# ომი და სოციალ-დემოკრატია

(საერთაშორისო წითელი დღის გამო)

გასულ წელს გერმანიაში გამოვიდა ღირსშესანიშნავი დოკუმენტების კრებული *). წელს ეს კრებული გადაითარგმნა რუსულ ენაზე. ეს წიგნი მით არის შესანიშნავი, რომ ის მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ახასიათებს გერმანიის სოც.-დემოკრატიას, როგორც კაპიტალის მოკავშირეს და მუშათა კლასის ინტერესების გამყიდველს. ამ დოკუმენტების მკითხველის ყურადღებას იპყრობს განსაკუთრებით სამი უმთავრესი საკითხი: 1) სოც.-დემოკრატია, როგორც ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანი 1914—1918 წ. იმპერიალისტური ომის, 2) სოც.-დემოკრატია, როგორც ჯალათი რევოლიუციონერების და რევოლიუციის და 3) სოც.-დემოკრატია, როგორც თავდადებული „ჩინოვნიკი“ კაპიტალისტური სტაბილიზაციის სამსახურში. რაც უფრო ვეცნობით სოც. დემოკრატიის საზიზღარ როლს ამ უკანასკნელი ხუთმეტი წლის განმავლობაში, მით უფრო ნათელი ხდება ის როლი, რომელიც მან უნდა ითამაშოს მომავალში. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ზემო დასახელებული წიგნი დღეს, როდესაც მსოფლიო კაპიტალიზმი ხელმეორედ ემზადება კაცობრიობის განმანადგურებელი ომისათვის, როდესაც სოც.-დემოკრატია კაპიტალთან ხელი-ხელ ჩაკიდებული განადგურებას და დალუპვას უქადის არა მარტო კაპიტალისტურ ქვეყნების მშრომელ მასას, არამედ საკავშირო რესპუბლიკების პროლეტარულ დიქტატურასაც.

რაზე მეტყველებენ ფაქტიბი, რომელიც უხვად არის შეგროვილი ამ წიგნში და რომლის მთლად გამოაშკარავება შესაძლებელი იქნება გერმანიაში პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ?

### სოციალ-დემოკრატია — ომის ორგანიზატორი

1907 წ. მეორე ინტერნაციონალის კონგრესზე შტუტგარტში მიღებულ იქნა ვრცელი მანიფესტი. ეს მანიფესტი დაადასტურა ამავე ინტერნაციონალის ბაზელის კონგრესმა 1912 წელს. აი, როგორ განსაზღვრავს ეს მანიფესტი სოც.-დემოკრატიის ამოცანას იმპერიალისტური ომის დროს: თუ ომი მაინც დაიწყო „ჩვენი მოვალეობაა ვიბრძოლოთ ამ ომის დაჩქარებით დასაბოლოვებლად და ვიხმაროთ ყოველივე ღონისძიება ომის მიერ გამოწვეული ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისის გამოსაყენებლად ხალხის ასამოძრავებლად და მით დავაჩქაროთ კაპიტალისტური კლასობრივი ბატონობის დალუპვა.

ამნაირად იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა მეორე ინტერნაციონალის შტუტგარტის და ბაზელის დადგენილებების დედა ძარღვს წარმოადგენს. ფაქტიურად კი, სოციალ-დემოკრატია სანაგვეზე ისვრიდა მეორე ინტერნაციონალის რეზოლიუციებს და კაპიტალთან ხელი-ხელ ჩაკიდებული უმზადებდა სისხლის აბანოს მსოფლიო პროლეტარიატს. ეს რომ ასე ყოფილა ამაზე მოგვითხრობს გერმანიის სამხედრო სამინისტროს ცნობა 31 ივლისის 1914 წ., საღამოს 8 საათის თარიღით. აი, რა სწერია ამ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტში: „სარწმუნო წყაროებიდან გვეცნობა, ატყობინებს თავის დაწესებულებებს სამხედრო სამინისტრო, რომ სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება დაიჭიროს თავი ისე, როგორც ეს შეშვენის ყველა გერმანელს არსებულ პირობებში“.

რასაკვირველია „ყველა გერმანელის“ სახელწოდებით სამხედრო სამინისტროს მხედველობაში ყავს იმპერიალისტური სულისკვეთებით გაჟღენთილი გერმანელი კაპიტალისტები. ამრიგად გამოდის, რომ გერმანიის სოც.-დემოკრატიამ უკვე მისცა თანხმობა გერმანიის კაპიტალისტებს მთლიანი ფრონტის შექმნის შესახებ იმპერიალისტური ომის დაწყებამდე. კიდევ მეტი. როგორც მოწმობს ჩვენება გერმანიის სოც.-დემოკრატის ე. კუტტნერის, სოც.-დემოკრატიის დეპუტატებმა და ამავე პარტიის პარტიულ პრესის რედაქტორებმა ომისათვის სათანადო მზადება დაიწყეს ივლისის ბოლო რიცხვებში. სოც.-დემოკრატები ამგვარი სათაურით ათავსებენ წერილებს გაზეთებში: „ომი აუცილებელია“, „თუ გვინდა ჩვენ გავიმარჯვოთ? პასუხი შეიძლება იყოს ერთი: კი!“ გერმანიამ უნდა გაიმარჯვოს, გერმანიის კაპიტალისტებმა უნდა ალაგმონ სხვა სახელმწიფოების კაპიტალისტები—ასეთია ლოზუნგი სოც.-დემოკრატიის 1914 წ. ივლისში, ე. ი. იმპერიალისტური ომის დაწყებამდი.

თუ როგორ განვითარდებოდა და როგორ სახეს მიიღებდა ეს ლოზუნგი ომის დაწყების შემდეგ ეს სულ იოლი წარმოსადგენია.

„ჩვენ არ დავტოვებთ სამშობლოს საფრთხის დროს დახმარების აღმოუჩენლად“ აცხადებს ამაყად გერმანიის სოც.-დემოკრატიის რეიხსტაგის ფრაქცია 1914 წ. 4 აგვისტოს. „ვხელმძღვანელობთ რა ამ პრინციპებით ჩვენ ხმას ვაძლევთ საჭირო სამხედრო კრედიტებს“ დასძენს არა უფრო ნაკლები სიამაყით ფრაქციის განცხადება.

გერმანიის სოც. დემოკრატიის რეიხსტაგის ფრაქციის პრეზიდიუმი უსაზღვროთ აღშფოთებულია იმ გარემოებით, რომ ლიბკნეხტმა სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ მისცა ხმა. პრეზიდიუმი მუქარით აცხადებს, რომ ფრაქცია ლიბკნეხტის ამგვარ საქციელს სათანადო „ყურადღებას“ მიაქცევს.

როგორც შემდეგში დავინახავთ სოც.-დემოკრატიამ მართლაც განსაკუთრებული „ყურადღება“ მიაქცია, როგორც კ. ლიბკნეხტს, ისე, რ. ლუქსემბურგს და სხვა რევოლიუციონერების მოქმედებას.

ომის დაწყებასთან ერთად იწყება პერიოდი გერმანიის სოც.-დემოკრატიის აშკარად გამოსვლის იმპერიალისტური ომის დასაცავად. პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად ომის სასარგებლოთ ისინი იმუშავებენ ახალ თეორიებს, კ. კაუცკი ერთ თავის წერილში (იხ. „ნეიე ცეიტ“ № 8, 1914.) უარყოფს და სისულელეთ აცხადებს მთელ თავის შეხედულებას ინტერნაციონალის შესახებ. ის სწერს: „ჩვენ შევცდით, როდესაც ვფიქრობდით, რომ ინტერნაციონალს შეუძლია უზრუნველყოს ომის დროს მსოფლიო სოციალისტური პროლეტარიატის მთლიანი პოზიცია“... „ინტერნაციონალი არ არის ნამდვილი საშუალება ომის დროს. ის არსებითად მშვიდობიანობის დროის იარაღია“.

კაუცკის და მის ამხანაგებს ვერ შეუგნიათ, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ არ უნდა შეიგნონ, რომ მეორე ინტერნაციონალი გადაიცვალა არა იმიტომ, რომ ის გამოუსადეგარი იარაღი იყო ომის დროს, არამედ იმიტომ, რომ ის განუკურნავად დაავადებული აღმოჩნდა ოპორტუნისტული სენით. ყველასათვის აშკარა არის, რომ ნამდვილ მსოფლიო მუშათა კლასის რევოლიუციონურ სოლიდარობის ორგანიზაციას (მე-3 ინტერნაციონალს) მსოფლიო ომის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი (ციმერვალდი, კინტალი) და არა მშვიდობიანობის დროს. გროშსაც არ უდრის ამგვარი ინტერნაციონალის ფასი, რომელმაც დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა იმ დროს, როდესაც ომის თავიდან ასაცილებლად და მსოფლიო სამოქალაქო ომის გამოსაცხადებლად უაღრესად, ვიდრე სხვა დროს, საჭირო არის საერთაშორისო პროლეტარიატის შეკავშირება. ეს კ. კაუცკის არ აინტერესებს. მას სურს თეორიულად დაასაბუთოს გერმანიის რკინის გზის მუშების პროფკავშირის ორგანოს შოვინისტური განცხადება:

„გერმანიის და ავსტრიის ჯარების შეუდარებელ სიმამაცეზე იმსხვრევა წყეული გეგმები სისხლიანი მეფის (რომელმაც წყალს გაატანა მიცემული სიტყვა და ერთგულება) და მისი მოკავშირეების, არიან ისინი ცბიერი იაპონელები, ვერაგი ბრიტანელები, მკვეხარა ფრანგები, ცრუპენტელა ბელგიელები, უმადური ბურები ანდა ნახევრად ველური ინდოელები, თურქოსები, ზუავები, ზანგები თუ სხვა ნეხვი“. იშვიათად რომელიმე კაპიტალისტურ პრესას ასეთ ფორმებში განემარტოს რომ მე-2 ინტერნაციონალი არის ნეხვის ორგანიზაცია. ამ შემთხვევაში სოც.-დემოკრატიამ დაამყარა მსოფლიო რეკორდი. „ძირს ყველა უშნო ერები, გაუმარჯოს გერმანიის ერს“—აი გერმანიის სოც.-დემოკრატიის და რეფორმისტული პროფბიუროკრატების ლოზუნგი იმპერიალისტური ომის დროს. ამ ლოზუნგით გამოდიოდნენ გერმანიის კაპიტალისტებიც 1914—1918 წ..

გერმანიის სოც.-დემოკრატიას ისე, როგორც გერმანიის კაპიტალისტებს სრულებით არ ამოძრავებდა სამშობლოს დაცვის სურვილი. მათ უფრო ფართო მიზანი ჰქონდათ. ისინი მთლიანი ფრონტით სცდილობდნენ აი ამ უვარგის ერების დაპყრობას და გერმანიის კაპიტალის ბატონობის ასპარეზის გაფართოვებას. ეს რომ ასეა, ამას გერმანიის ცნობილი სოც.-დემოკრატი შეიდემანი აღიარებს რეიხსტაგში 5 აპრილს 1916 წ., ის ამბობს: „მხოლოდ პოლიტიკურ ბალღებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ საზღვარზე დასმული სამნები ხელშეუხებელი დარჩებიან“-ო. რადგან სოც.-დემოკრატია ბავშვებისაგან არ შესდგება, ამიტომ მას ეპატიება გადალახვა თავისი ქვეყნის საზღვრების და შეჭრა რომელიმე ქვეყანაში. ამ აზრს ადგა გერმანიის სოციალ.-დემოკრატია არა მარტო ომის პირველ პერიოდში, არამედ მაშინაც, როდესაც გერმანიას ჩაყლაპვას უქადდენ სხვა ქვეყნის ვერაგები. 1918 წ. 9 აგვისტოს „ინტერნაციონალის კორესპონდენცია“ ხაზს უსვამს რომ „ზავი მხოლოდ მაშინ იქნება მოსალოდნელი, თუ გერმანია გაიმარჯვებს, და თუ არა, მაშინ რაიმე ზავზე ფიქრიც შეუძლებელია“-ო.

ამგვარ აზრს იცავდა სხვა ქვეყნის სოც.-დემოკრატიაც. აი, რას ამბობს ვანდერველდე ერთ თავის მოხსენებაში 1917 წ. 18 აპრილს: „მე მოვედი დღეს, რომ ვილაპარაკო ომზე და ომისათვის. როგორც ინტერნაციონალისტი და ზავის სოციალისტური მეგობარი, მე ვიცავ ომს ბოლომდე. მე ვგრძნობ აღშფოთებას ყველა ერთგვარ მოაზროვნეთა წინააღმდეგ, რომლებსაც უნდათ ჩამოაგდონ ზავი. ოხ, არა! დანაშაულობას შედეგათ უნდა მოჰყვეს დასჯა“. ვანდერველდე მოითხოვს დასჯას გერმანიის კაპიტალისტების, ე. ი. ის მოითხოვს დასჯას გერმანიის სოც.-დემოკრატიის.

ამავე გერმანიის კაპიტალისტების და სოც.-დემოკრატების დასჯას მოითხოვენ საფრანგეთის სოციალისტებიც. აი რას ეუბნება მუშებს 15 აპრილის 1916 წ. „სოციალისტების“ ერთ-ერთი ბელადი ალბერტ ტომა: „ხვალ გამარჯვების შემდეგ, თქვენ, ისე როგორც ჩვენ, უნდა გადავწყვიტოთ უდიდესი საკითხები. ხვალ, როდესაც ელზას-ლორენი თავისი ფაბრიკებით და ქარხნებით, თავისი მაღაროებით და მადნეულობით დაუბრუნდება საფრანგეთს, თქვენ უნდა გამართოთ ბჭობა იმაზე, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს ახალი წყარო, რომელიც მოანიჭებს ბედნიერ განვითარებას ჩვენს ნაციონალურ მეურნეობას“.

აი, სწორედ ამგვარი ბედნიერი კაპიტალისტური განვითარებისათვის იბრძოდა გერმანიის სოც.-დემოკრატია და ამგვარი ბედნიერი განვითარებისათვის მოითხოვდა ვანდერველდე უცხო სახელმწიფოების განადგურებას და დასჯას. არც ერთ მათგანს არ უნდოდა შეემჩნია, რომ ისინი „სჯიდენ“, სისხლის მორევში ახრჩობდენ არა რუსეთის მეფეს, გერმანიის იმპერატორს, საფრანგეთის და სხვ. ბურჟუაზიას, არამედ ამავე ქვეყნების მუშათა კლასს.

მსოფლიო სოც.-დემოკრატია და მისი მაჩანჩალები ამგვარადვე შეეცდებიან მუშების მოტყუებას მოსალოდნელ ომის დროსაც. ისტორია განმეორდება მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საერთაშორისო მუშათა კლასმა უკვე გამოსცადა სოც.-დემოკრატიული პარტიის მოტყუებისა და ვერაგობის პოლიტიკა.

### სოც.-დემოკრატია — რევოლიუციონური მოძრაობის ჯალათი

ეხლა დაუგდოთ ყური გერმანიის ჯენერალს —გრენერს. ის იძლევა როგორც გერმანიის სოც.-დემოკრატიის, ისე მისი ხელმძღვანელების საუკეთესო დახასიათებას. „მე არ ვიცი,—ამბობს გენერალი,—რომ სოც.-დემოკრატიას როდესმე ზიანი მიეყენებინოს ქვეყნის (იგულისხმება—კაპიტალიზმის დ. დ.) დაცვისათვის. პირიქით, მე ბატონ ებერტში ყოველთვის ვპოულობდი თავდაცვის საკითხების მთლიანად გაგებას“. გერმანიის მეორე სოც.-დემოკრატს გაზეს იგივე გენერალი ასე ახასიათებს: „გაზემ დამაჯერა, რომ ის ყოველივე ღონისძიებას იხმარს პირველი მაისის გაფიცვების თავიდან ასაცილებლად“. 1) „მე მინდა კიდევ ხაზი გაუსვა,—განაგრძობს გენერალი,—რომ შთაბეჭდილება, რომელიც დასტოვა ჩემზე გაზემ, არაფრით არ მომაგონებს რევოლიუციონურ ხელმძღვანელს“... „გაზე წარმოადგენს ყველაფერს, რაც გნებავთ, მაგრამ არა რევოლიუციონურ ხელმძღვანელს“—ისევე, როგორც სხვა წევრი სოც.-დემოკრატიული პარტიის—დაუმატებთ ჩვენ.

აი როგორ უყურებს გერმანიის სოც.-დემოკრატიის ცნობილი ხელმძღვანელი მუშების გაფიცვებს: „პურის ულუფის შემცირების გამო,—სწერს ებერტი თავის შვილს,—ამ უკანასკნელ დღეებში აქ დაიწყო რაღაც უაზრო გაფიცვები. ასეთი სულელური ხულიგნობა არ ემსახურება ზავის საქმეს, არამედ ადიდებს მტრის საომარ ძლიერებას“.

ასე გაიგო სოც.-დემოკრატიამ მეორე ინტერნაციონალის კონგრესის მანიფესტის შინაარსი. არც ერთი გაფიცვა ომის წინააღმდეგ, რადგანაც ეს არის ხულიგნობა, არც ერთი გაფიცვა ზავის ჩამოსაგდებად, არავითარი ცდა მსოფლიო ომის სამოქალაქო ომად გარდასაქმნელად, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება გერმანიის ძლიერების განმტკიცებას დედამიწის ზურგზე.

რომ ეს აზრი კიდევ უფრო ნათელი გახდეს, მოუსმინოთ ნოსკეს. „როდესაც დაიწყო რევოლიუცია,—ლაპარაკია 1918 წ. რევოლიუციაზე გერმანიაში,—როდესაც უწესრიგობის გამო აჯანყდა ფლოტი და ქ. კილში გაისმა სროლა,—საზღვაო სამინისტრო სწუხდა არა იმისათვის, რომ შეიძლებოდა რევოლიუციას ეფეთქა, არამედ იმისათვის, რომ გაფიცულთა დახვრეტას შეეძლო გამოეწვია კილში დოკერების აჯანყება. სწორედ ებერტმა ურჩია სამინისტროს გავეგზავნე მე კილში, რადგანაც მე, მეზღვაურებთან ჩემი კარგი დამოკიდებულების მეოხებით, შემეძლო მუშების გამოსვლების საფრთხე თავიდან ამეშორებია, როგორც იცით, მე მაშინ გავემგზავრე კილში, მაგრამ დამხვდა იქ არა გაფიცულები, არამედ 30.000 „აჯანყებული“ .. „მე მთელი სერიოზულობით შესაძლებლად ვსცანი ორი დღის განმავლობაში ჩამექრო კილის მოძრაობა. მე მაშინ კიდევ ვიმყოფებოდი იმ შთაბეჭდილების გავლენის ქვეშ, რომ უბედურება შეგვემთხვა მხოლოდ კილში და შევეცადე ის ჩანასახშივე ჩამეხრჩო“.

ნოსკეს ამგვარი საზიზღარი განცხადების შემდეგ სრულიად ბუნებრივათ გვეჩვენება ებერტის თანხმობა იმის შესახებ, რომ გენერალ გრენერს გაენადგურებია 24 დეკემბერს 1918 წ. აჯანყებული მატროსების დივიზია ისე, როგორც ნოსკემ გაანადგურა ჩანასახშივე, მატროსების აჯანყება. აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე განსხვავება სოც.-დემოკრატს და რეაქციონურ გენერალს შორის არ არსებობს.

სოც.-დემოკრატია არ ზოგავდა არც ფულს და არც ენერგიას, რათა გაენადგურებია მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა. ის გაოკეცებულ სისასტიკეს იჩენდა ამ მოძრაობის ხელმძღვანელების წინააღმდეგაც. აი, რას ამბობს გეზელი: „ბრძანება ლიუქსემბურგის სიკვდილის შესახებ არსებობდა, საჩუქარიც განსაზღვრული იყო. იყო ნათქვამი: ვინც მოიყვანს ლიბკნეხტს და ლიუქსემბურგს ცოცხალს ან მკვდარს, მიიღებს 100.000 მარკას. რეიხსტაგში ფული ნაშოვნი იყო. „ედენის“ სასტუმრო ჩვენს გარეშე პირდებოდა აგრეთვე 100.000 მარკას“.

როდესაც გაიგო ნოსკემ ლიუქსემბურგის და ლიბკნეხტის ვერაგულად მოკვლა, მან ღიმილით განაცხადა: „მე მეჯავრება ყოველგვარი სიკვდილი, მაგრამ სრულიად უბრალოდ აღელდენ ლიბკნეხტის და ლიუქსემბურგის სიკვდილით ის ადამიანები, რომლებიც ამგვარივე საოცარ შემთხვევებში გვაკვირვებენ თავიანთი მხიარული სიმშვიდით“. იუდა არ მალავს თავის აღფრთოვანებას, ან რატომ უნდა დამალოს თავისი საზიზღარი მკვლელობა, რადგანაც ამგვარ მკვლელობას მასიური ხასიათი ჰქონდა და აქვს სოც.-დემოკრატიის სამეფოში.

ერიხ კუტტნერი, ყოფილი რედაქტორი სოც.-დემოკრატიის გაზეთი „ფორვერტს“-ის, თავისი ხელით ჰკლავს უიარაღო ჯარის კაცს. კუტტნერი უყვირის მას: „მე შენ გიცნობ, შენ სპარტაკელი ხარ“. როგორც სჩანს სრულიად საკმარისია ბოლშევიკობა, რომ გახდე სოც.-დემოკრატიის ტყვიის მსხვერპლი. ებერტმა 1918 წ. განაცხადა, რომ ისინი გინდენბურგთან ერთად „შეკავშირდენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად“. ამას შემდეგ ტყუილად ჰგონია ნოსკეს, რომ მხოლოდ მარტო მან დაიმსახურა—„სისხლიანი ძაღლის“ სახელწოდება. ნოსკემ ვეიმერის პარტიის ყრილობაზე შემდეგი გულახდილობით შეაფასა თავისი მოქმედება: „მე შევუდექი საქმეს, თუმცა ვიცოდი, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში წყევლა-კრულვით მომიხსენიებდნენ, როგორც გასისხლიანებულ ძაღლს. მოვალეობის მტკიცე შეგნებით შევასრულე მე ეს საქმე. მაშინ მე ვუთხარი ჩემს თავს: ვინმემ ხომ უნდა გააკეთოს ეს საქმე, მაგრამ ამასთანავე კარგად ვიცი, თუ რას ნიშნავს ეს ჩემთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ მე გასისხლიანებული ძაღლის კვალს გავავლებ გერმანიის რევოლიუციაში“.

ნოსკეს ტყუილად ჰგონია, რომ ამ საქმეში მხოლოდ ის მარტოდ სდგას. არა მას გვერდს უმშვენებს გერმანიის სოც.-დემოკრატია. კიდევ მეტი. მას გვერდს უმშვენებს ბოლშევიზმთან და რევოლიუციონური მუშების წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა ჯურის სოც.-დემოკრატია. ეს დღეს საიდუმლოებას არ წარმოადგენს.

### სოც.-დემოკრატია როგორც თავდადებული „ჩინოვნიკი“ კაპიტალისტური სტაბილიზაციის სამსახურში

კ. კაუცკი თეორიულად „ასაბუთებს“ ბურჟუაზიულ პარტიებთან კოალიციის აუცილებლობას. კ. მარქსის ის შესანიშნავი აზრი, რომ „კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოების შორის იმყოფება ერთის მეორედ რევოლიუციონურად გარდაქმნის პერიოდი. ამ პერიოდს აგრეთვე შეესაბამება პოლიტიკურად გარდამავალი პერიოდი, რომლის სახელმწიფო არ შეიძლება იყოს სხვა რაიმე, თუ არა პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურა“—მარქსის ეს შესანიშნავი აზრი კაუცკიმ შესცვალა შემდეგნაირად: „წმინდა ბურჟუაზიულ და წმინდა პროლეტარულ დემოკრატიულ სახელმწ. შორის იმყოფება ერთის მეორედ გარდაქმნის პერიოდი. ამას შეესაბამება აგრეთვე პოლიტიკური გარდამავალი პერიოდი, რომლის მთავრობა, როგორც კანონი მიიღებს კოალიციონური მთავრობის ფორმას“. *)

აქ, როგორც ვხედავთ კ. კაუცკიმ მოიპარა მარქსის სიტყვა „რევოლიუციონურად“ გარდაქმნის პერიოდი, — ერთის მხრივ, და სიტყვა „პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურა“ შეცვალა „კოალიციონური მთავრობით“, მეორე მხრივ. ისე, როგორც სხვა კითხვებში, აქაც კ. კაუცკიმ ამოაცალა მარქსიზმს სული და გული, რის შედეგათ მიიღო სოც.-დემოკრატიის თეორია კოალიციონურ მთავრობის შესახებ.

ბურჟუაზიულ პარტიებთან შეკავშირების აზრი უაღრესად პოპულიარულია სოც. დემოკრატიის პარტიის რიგებში. აი, რას ამბობს ჰილფერდინგი ამის შესახებ კილის პარტიულ ყრილობაზე: ჩვენს პარტიაში ეხლა ვერავინ ადგება და იტყვის, რომ ის არის პრინციპიალური მოწინააღმდეგე კოალიციონური პოლიტიკისა.

რატომ უნდა გაწყვიტოს სოც.-დემოკრატიამ ბურჟუაზიასთან კავშირი? ნუ თუ სოც. დემოკრატიისათვის სასარგებლო იქნება კაპიტალისტებთან კავშირის უარყოფა? რასაკვირველია, არა. ამის დამტკიცება შეიძლება შემდეგი ფაქტებით: სოც.-დემოკრატიის პარტიის მოლარის განცხადების თანახმად 1924 წ. შემოდგომაზე რეიხსტაგში არჩევნების წინ სოც.-დემოკრატიულ პარტიას მიუღია საჩუქრად ცნობილი კაპიტალისტის ბარმატის გამოგზავნილი 20.000 მარკის ჩეკი; 1924 წ. მე-II ინტერნაციონალის კონფერენციის დროს სოციალისტური პარტიის დელეგატებს ამავე ბარმატმა გადაუხადა შესანიშნავი ბანკეტი. ომის დროს ამავე ბარმატმა თავის ხელში დაუთმო მე-II ინტერნაციონალის მდივანს — გიუისმანს სპეციალური კაბინეტი, სოც.- დემოკრატი გეილმანი იყო წევრი, ამავე ბარმატის შემდეგი წარმოების „ზედამხედველი საბჭოში“: „ეიზენმანგეს“, „ხრამოს“ და ოთხი აქციონერი ბანკის. უამრავი ამგვარი მაგალითების მოყვანა შეიძლება. მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ ამით დავკმაყოფილდებით.

საერთოდ სოც.-დემოკრატიის კოალიციონურ პოლიტიკის გაგების საკითხში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოც.- დემოკრატიის შეხედულებას კაპიტალისტურ წარმოებაზე. „ფორვერტს“-ის, 5 ნოემბრის 1920 წ. ფურცლებზე ჩვენ ვკითხულობთ, რომ მსხვილ აქციონერულ საზოგადოებებიდან ისე, როგორც პარკიდან შეიძლება გამოფრინდეს პეპელას ნაცვლად სოციალისტური მეურნეობა. რაკი ეს ასეა, ამიტომ „ფორვერტსი“ მოუწოდებს პარტიის წევრებს და მუშების ფართე ფენებს ხელი არ შეუშალონ მსხვილ კაპიტალისტურ გაერთიანებებს, ამ უდიდეს წამოწყებას სოციალიზმის მშენებლობის დარგში.

გერმანიის სოც.-დემოკრატიის ცენტრალური პარტიული ორგანო 1923 წ. 8 ოქტომბრის ნომერში ხაზგასმით მოუწოდებს პროფკავშირებს, რომ მოიხმარონ მთელი თავისი ავტორიტეტი და გავლენა მუშათა კლასზე, წარმოებებში ზედმეტი მუშაობის შემოსაღებათ. სოც.-დემოკრატია კი პირდება თავის მხრივ, რომ ის გამოიყენებს მთელ თავის მორალურ ავტორიტეტს, რომ მიღწეულ იქნას შრომის მეტი ინტენსივობა და მეტი ნაყოფიერება ყველგან, სადაც ამას მოითხოვს გერმანიის მეურნეობა. სოც.-დემოკრატია მხარს უჭერს სამუშაო დღის გადიდებას, ის ყოველივე ღონისძიებას ხმარობს გააძლიეროს და გაზარდოს გერმანიის კაპიტალის ბატონობა. ყველგან და ყოველ საკითხში ის მხარში უდგია, ისე როგორც სხვა ქვეყნის სოც.-დემოკრატია, თავის ნაციონალურ ბურჟუაზიას.

გერმანიის სამთამადნო მრეწველობის გაზეთი სწერს: გინდენბურგი, ებერტი, მოხუცი კაიზერი — ეს სამეული, რომელიც შეადგენს გერმანიის დიდებასო. გაზეთი უდიდეს შეცდომას უშვებს, როდესაც მარტო ებერტს მოიხსენიებს, რადგანაც კაპიტალისტური გერმანიის დაცვა-გამაგრებისათვის იბრძოდა არა მარტო ებერტი, არამედ მთელი მისი ამხანაგები. დიდი ღვაწლი მიუძღვის სოც.-დემოკრატიას კაპიტალისტური სახელმწიფოს გამაგრებაში და დიდია მისი „მოღვაწეობა“ მუშათა მოძრაობის განადგურების საქმეში. ამას მაგდებურგის პროცესით შეურაცხყოფილი შეიდემანიც დაგვიდასტურებს: „ჩვენ რომ მაშინ არ შევსულიყავით საგაფიცვო კომიტეტებში, ეხლა სასამართლოს არ შეეძლებოდა აქ სხდომის გამართვა. 1918 წ. ჩვენ თავიდან ავიცილეთ რუსული წესწყობილების დამყარების საფრთხე. ჩვენ რომ არ შევსულიყავით საგაფიცვო კომიტეტებში ეხლა არ გამოიცემოდა აგრეთვე ის გაზეთები, რომლებიც ასე თავისუფლად გვაგინებენ ჩვენ. ის, რაც გავაკეთეთ ჩვენ, გავაკეთეთ ჩვენი სამშობლოს სიყვარულის გამო“.

ყოველგან და ყოველთვის, როდესაც სოც.-დემოკრატია მოექცა რევოლიუციონური მოძრაობის სათავეში, მან დახცა და მიწასთან გაასწორა მუშათა გამოსვლები. ამით ამაყობს შეიდემანი.

საერთაშორისო პროლეტარიატი განსაკუთრებული ყურადღებით გადაათვალიერებს 1 აგვისტოს ისტორიის ფურცლებს და ახდის ნიღაბს სოც.-დემოკრატიის ხუთმეტი წლის ვერაგობას, ღალატს.

დავ. დოლიძე.

---

*) „გერმანიის სოციალდემოკრატია კაპიტალთან თოთხმეტი წლის კავშირი“.

1) უნებლიედ მაგონდება ამ წლის პირველი მაისის სისხლიანი დღეები ბერლინში.

*) კ. კაუცკი—პროლეტარული რევოლიუცია და მისი პროგრამა, 1922 წ. გვ. 106

# სოციალისტური შეჯიბრება

## თვალსაჩინო ხელსაწყოთა ინსტიტუტის სახელოსნოში გასულ წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება დაეცა 20 პროცენტით

### პატარა წარმოება—დიდი ზარალი

თვალსაჩინო ხელსაწყოთა ინსტიტუტი თბილისის ალმასკომის სკოლებს, აძლევს სახელო ავეჯეულს და ფიზიკურ, ქიმიურ ხელსაწყოებს. ინსტიტუტს აქვს საწარმოო და აწარმოებს აგრეთვე სავაჭრო ოპერაციებს. ინსტიტუტის საქმიანობის რევიზიის დროს აღმოჩნდა, რომ იქ ადგილი ჰქონია მთელ რიგ უარყოფით მოვლენებს. ინსტიტუტის სალაროდან სრულიად უსაბუთოდ იცემოდა თანხები სესხად. მაგალითად;—თანამშრომლებს ადმინისტრაციასთან ერთად სასადილოში დაუხარჯავთ 80 მანეთი, რომელიც გაიცა სალაროდან. საერთოდ სალარო ერთ პირს უნდა ჰქონდეს ჩაბარებული, ინსტიტუტში კი ბარია ორს: გამგესა და სამეურნეო ნაწილის უფროსს. 1927—28 საბიუჯეტო წელში გაცემულ საქვეანგარიშო თანხებზე ჯერაც ანგარიშები წარმოდგენილი არ არის და ზოგ საქვეანგარიშო პირმა არც კი იცის თუ მასზე ირიცხება გაუმართლებელი თანხები. 1925 წელში გაუციათ საკომისიო საქონელი, მაგრამ ჯერაც კომისიონერებისაგან საფასური დაბრუნებული არ არის. ზოგი მათგანი უკვე უიმედო მოვალეებს წარმოადგენენ.—მაგალითად; მე-2 სამრეწველო ტეხნიკუმი 188—86 კაპ. (რომელიც უკვე არ არსებობს), ბათომის ბიოლოგიური სადგური 779—51 კაპ. საკომისიოთ იყო გაცემული 1925 წლიდან. ეს სადგური უკვე არ არსებობს და მისი არსებობის დროსაც არავის მოუთხოვია აღნიშნული დავალიანება, ვიღაც მოქალაქე ავეტისოვზე ირიცხება 892—10 კაპ. და სხვა. მასალების შენახვას არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება—ინახებოდა წვიმიან ადგილებში და ლპებოდა. შეკვეთების შესრულებას აგვიანდება 3—4 თვე, რის გამო შეკვეთას უკან იბრუნებდენ.

აღსანიშნავია აგრეთვე ერთი გარემოება—1927—28 საბიუჯეტო წელში ინსტიტუტს მიუღია შეკვეთა არმიის სახლისაგან. მათ შორის დადებულ ხელშეკრულების მიხედვით, ინსტიტუტს 7 ოქტომბრისათვის უნდა ჩაებარებინა 460 ცალი სკამი, თითო 14 მანეთად, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ უკანასკნელს უნდა ეკისრა დროზე ჩაუბარებლობით გამოწვეული ზარალი. ინსტიტუტს თავის მხრივ შეკვეთა შესასრულებლად გაუცია შინამრეწველებზე, თითო სკამი 12 მან. 50 კაპეიკად, მაგრამ შინამრეწველებთან სათანადო საგარანტიო ხელშეკრულება არ დაუდვია. შინამრეწველებმა შეკვეთა დროზე ვერ შეასრულეს. ინსტიტუტმა კი ასეთი უთავბოლობით ეს 690 მოგებაც დაკარგა და 61 მანეთი თავისი საკუთარი თანხაც იზარალა. აღსანიშნავია ის, რომ შეკვეთა დაბოლოს ცუდათ იქნა მაინც შესრულებული, რის გამო არმიის სახლმა ჩაბარებულ შეკვეთის ან-შში, 10 პროც. დააკლო. ამრიგად, ასეთი უთავბოლო ოპერაციით ინსტიტუტმა იზარალა სულ 1.395 მანეთი.

გაწეულია სრულიად უყაირათოდ და უკანონო ხარჯები, ერთი წლის განმავლობაში 1.314—72 კაპ., გაცემულია ნისიად ნივთები დაახლოებით 12.000 მანეთამდე. მიუხედავად იმისა, რომ აქ შედის დიდი ნაწილი 1925—26 წელში ნისიად გაცემულ ნივთებისა, გასანაღდებლად მაინც ზომები მიღებული არ არის. ეს იმ დროს, როდესაც თვით ინსტიტუტი უკიდურეს ფინანსიურ კრიზისს განიცდის და დაახლოებით 4—5 ათას მანეთამდე სავაჭრო ფირმებზე გაცემული ვექსილები პროტესტებშია წასული. ადმინისტრატიული სამეურნეო მუშაკების ხელფასშიც გადახარჯულია — 1 172 მან. 18 კაპ. აგრეთვე გაწეულია ხარჯთაღრიცხვაში გაუთვალისწინებლად ხარჯები მივლინებებზე, ისე, რომ ორ ნახევარ მუშაზე ჯამაგირის რაოდენობასთან შეფარდებით მოდის ერთი ადმინისტრატორი.

1927—28 წლის განმავლობაში ინსტიტუტის დეფიციტი უდრის 3.123 მან. 76 კაპეიკს. საწარმოო პროგრამის შეუსრულებლობა კი— 10.310—96 კაპ. 1928—29 წლის პირველ 5 თვის განმავლობაში წარმოების ფაქტიური ზარალი უდრის 2.921 მან. 89 კაპ. საწარმოო პროგრამის შეუსრულებლობა კი ამავე 5 თვის განმავლობაში 3.310. სამუშაოს გაცდენა 1927—28 წელში უდრიდა 405 კაც-დღეს, აქედან მცირე ნაწილი ანაზღაურებულია ადმინისტრაციისა და დამზღვევ სალაროს მიერ. 1928—29 წლის 5 თვის განმავლობაში კი უდრის 279 კაც-დღეს. თუ გასულ წელს გაცდენა ერთ მუშაზე თვეში მოდიოდა 3 ნახ. დღე, წელს მოდის 4 ნახ. დღე. **პროდუქციის გამომუშავებაც შედარებით 1927—28 წელთან დაცემულია 20 პროცენტით.** ეს იმ დროს, როდესაც მუშების ხელფასი წელს მომატებულია 9.8 პროცენტით. ეს მოვლენა მიეწერება შრომის დისციპლინის სისუსტეს, მუშების გაცდენას, სტანდარტის უქონლობას, შეკვეთების შემთხვევითობას — რაც მომუშავეებს ფარულ გაცდენაზე ხელს უწყობდა, ნედლი მასალის მოუმარაგებლობას. ადმინისტრაციის სრულ დაუდევრობას და სხ.

ასეთივე უთავბოლობაა კომერციულ დარგშიაც. სავაჭრო გეგმა შეუსრულებელია 24,8 პროცენტით, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან გამოწერილ საქონლის 60,9 პროცენტი გაუსაღებელია, რაც მიეწერება იმას, რომ ასეთივე საგნებით ვაჭრობს სახელგამიც, რომელიც მომხმარებლებს უფრო იაფად აწვდის ნივთებს, ვიდრე ინსტიტუტი.

ინსტიტუტს უშუალოდ ხელმძღვანელობას უწევს თბილისის ალმასკომის განათლების განყოფილება. ამ უკანასკნელს ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით ინსტიტუტთან დაუარსებიათ მუდმივი კოლეგია, რომელმაც ნაცვლად ხარჯების შემცირებისა გაადიდა ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები. მაგ. ახალი თანამშრომლების დანიშვნა, ჯამაგირის მომატება და აგრეთვე თვით კოლეგიის წევრთათვის გასამრჯელოს სახით ჰონორარის მიცემა. აგრეთვე უნდა აღინიშნოს თბილისის ალმასკომის განათლების განყოფილება (არ ვიცით რა მიზნით) ინსტიტუტს უგზავნიდა ისეთ ცირკულიარებს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სამოსწავლო სკოლებს შეეხებოდა და არა სახელოსნო ინსტიტუტს.

ყოველივე ამან გამოიწვია უყაირათობა და უთავბოლობა, რამაც პატარა საწარმოო ერთეულს, სადაც დაბანდებულია მაქსიმალურად არა უმეტეს 76 ათასი მანეთისა, საკმაოდ დიდი ზარალი მიაყენა. ამ საქმეში დამნაშავეებს სასტიკი პასუხი უნდა მოვთხოვოთ.

ვალ. მარგალიტაძე.

### შეჯიბრების მიღწევები და ნაკლოვანებანი

(მიათურა, ამხ. სტალინის სახელობის მაღაროები)

შეჯიბრების გამოცხადებას მაღაროს და ქარხნის მუშები სიხარულით და შეგნებით შეხვდნენ. თვითეული მუშა მთელი ენერგიით ცდილობს, რაც შეიძლება დატვირთოს სამუშაო საათები და მეტი ნაყოფიერება შექმნას იმდენად, რამდენადაც ამას ხელს უწყობს სამუშაო პირობები და ხელსაწყოები.

შრომის ნაყოფიერება მაღაროებში გაიზარდა დაახლოებით 8 პროცენტით. გამოღებული მარგანეცის ხარისხიც საგრძნობლად გაუმჯობესდა, რამაც ხელი შეუწყო ქარხნის მუშაობასაც. ქარხანა № 85 შეჯიბრებამდე ოცხვის დროს კარგავდა 50 პროც., დღეს კარგავს მხოლოდ 35 პროცენტს. სამუშაო დღის გაცდენამაც არა საპატიო მიზეზით იკლო. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული ქარხმაღარკომის მიერ. სისტემატიური ხასიათი აქვს მუშებში თათბირების მოწყობას, ახსნა-განმარტებების მიცემას, საუბრებს ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხებზე და სხვა.

საწარმოო თათბირების მუშაობა საკმაო შინაარსიანი და საქმიანია. თათბირებზე შემოდის წარმოებისათვის სასარგებლო მუშათა მრავალი წინადადებანი, ხდება ზარმაცი, ლოთი, სიმულიანტი და შრომის დისციპლინის დამრღვევი მუშების გამოქვეყნება და გაკიცხვა, რაც ხელს უწყობს დისციპლინის გამტკიცებას. რომ სამუშაო პირობებს ხელი არ შეეშალა ნაყოფიერების ზრდისათვის, გახსნილ იქნა ახალი უფრო მდიდარი მაღაროები. № 85 ქარხნიდან რკ. გზის ბაქანამდე დაგებულ იქნა რკინის გზა; სადაც ქვა იზიდება ვაგონეტკებით, რომელიც ურმებით გადმოზიდვასთან შედარებით დღეში 200 მანეთის ეკონომიას იძლევა. დაბალი ადმინისტრატიული პერსონალი საკმაოდ ენერგიულ მუშაობას აწარმოებს, მხოლოდ ადგილობრივი ზოგიერთი მაღალი ადმინისტრაციას ემჩნევა მაჩაჩალობა. მას არ სურს გაამწვავოს დამოკიდებულება შრომის დისციპლინის დამრღვევ მუშებთან და ცდილობს ეს საქმე შემოახვიოს ქარხმაღარკომს. საწარმოო თათბირების მუშაობაშიც მათი მონაწილეობაც არ სჩანს; არ სწარმოებს დღეების გამცდენელთა სწორი აღრიცხვა (ხშირად ხელოვნურადაც იფარება ასეთები), საწარმოო თათბირების წინადადებების შესრულება სუსტია, თუ არის და არავინ იცის ამ საქმეში ზარალი მოგვცა თუ სარგებელი ან და რამდენი. საერთოდ მაღალი ადმინისტრაციის მონაწილეობა შეჯიბრებაში თითქმის უმნიშვნელოა.

მუშაობას ხელს უშლის: სამუშაო იარაღების შენახვის მოუწესრიგებლობა, არ არის საკმაო რაოდენობით ცხენები, რის გამოც მოჭრილი ქვა მაღაროს პირში იყრება და თხოულობს ორმაგ შრომას და ხარჯს და სამუშაო იარაღების ნაკლებობა (რკინის „შმუტები"-ს ნაცვლად ქვის მოსატეხად ზოგჯერ ხის უბრალო სოლებს ხმარობენ). ვაგონეტებიც ძალიან ცოტაა და რაც არის ისიც უვარგისია. № 85 ქარხნიდან ქვის გადმოსაზიდი ვაგონეტები ისეთებია, რომ ორი კაცი ნახევარ საათში ვერ აძრუნებს ადგილიდან. ამაში დროც იკარგება, მუშების ცდებიან და იღლებიან უსარგებლოდ.

საჭიროა აღნიშნულ ნაკლოვანებათა დროზე გამოსწორება და ისეთი სამუშაო პირობების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის გაუმჯობესებას და მისი თვითღირებულების გაიაფებას.

ა. გოფიძე.

### ჩვენი მიღწევები

(სალიანდაგო დარგის მე-6 უბანი)

სალიანდაგო დარგის მე-6 უბანში სოციალისტური შეჯიბრების წარმატებით ჩატარებას ხელს უშლიდა მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზები; უბნის ნაწილები დაქსაქსულია სხვადასხვა ადგილას. უბანს აქვს 11 ერთმეორესთან დამოკიდებული სამუშაოები, სახელოსნოები, მათი კანტორები და სხვა. ყველა ამ ნაწილებში, დღიდან სოციალისტური შეჯიბრების გამოცხადებისა გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს შრომის ნაყოფიერების ასაწევად. ამან უკვე გამოიღო თავის ნაყოფი. თუ წინად სამუშაოს გაცდენა თვეში უდრიდა ერთ დღეს, და ორ სამ საათს, დღეს გაცდენა სრულებით არ არის. წინად ცალეული შპალის გამოცვლა ჯდებოდა ორი მანეთი და 52 კაპ. დღეს ჯდება 1 მან. 32 კაპ. მომავალში დაყვანილი უნდა იქნეს 1 მან. და 20 კაპეიკამდე. გორის რაიონში სილის და ხრეშის დამზადება ჯდებოდა პირველად 16 მან. 80 კაპ. ეხლა მისი ფასი დაყვანილია 11 მანეთამდე. სააღმშენებლოს სამუშაოების ღირებულება შემცირდა 15 პროცენტით. კიდევ უნდა შემცირდეს 5 პროცენტით. ნაწილობრივ აღმოფხვრილია ბიუროკრატიზმიც. სწარმოებს ნაშენებისა და ხიდების მდგომარეობის აღრიცხვა, რაც ხელს შეუწყობს მატარებლის ნორმალურ მიმოსვლას.

ტეხნიკური ცნობები და ანგარიშები თავის დროზე ეგზავნება უმაღლეს ორგანოებს. მუშათა საბინაო პირობებიც გაუმჯობესდა. მომავალში ამ საქმეში მიზიდული იქნება მცხოვრებლებიც.

წინად ლიანდაგის შეკეთება ვერ სწარმოებდა საფუძვლიანად; შეკეთების შემდეგ ძლიერ ჩქარა ფართოვდებოდა და მრუდდებოდა. დღეს ასეთებს ადგილი არა აქვს.

ასეთი მიღწევები აქვს რკინის გზის სალიანდაგო დარგის მე-6 უბანს სოციალისტური შეჯიბრებაში.

სილვა.

### განგებ ხელს გვიშლიან

(ტყიბული)

სადგურ ტყიბულის რკინის გზის ზოგიერთი თანამშრომელი ტყიბულის მაღაროების სხვათა შორის უყურებს და ნაცვლად ხელის შეწყობისა, ხელს უშლის წარმოებას.

მასალების გადაზიდვ-გადმოზიდვა ძველსა და ახალ მაღაროებში ხდება ავტოდრეზინით, რომელზედაც მომუშავეთ დაქირავებულია რკინის გზის შოფერი. სადგურის უფროსი მოვალეა თავის დროზე მისცეს დრეზინას გზა, რომ არ შეფერხდეს წარმოება, მაგრამ ძალიან ხშირად სადგურის უფროსი მთელ საათობით აჩერებს დრეზინას. ეს კი იწვევს ზოგიერთ სამუშაოს შეჩერებას და სამუშაო დროს გაცდენას.

21 ივნისს, ძველ მაღაროდან უნდა გაეტანათ „რუდმეტალტორგი"-სათვის გასაგზავნი რკინებით დატვირთული ვაგონი. ამ დღეს სპეციალური მატარებელი ნახშირით დატვირთული, ვაგონების წასაღებათ ავიდა მაღაროებში 8 ნახ. საათზე. (ჩვეულებრივ მატარებელი 4 და 5 საათზე ადის), მმართველობამ მოსთხოვა 10 წუთით მატარებლის შეჩერება, მაგრამ სადგურის უფროსმა ჟინიანობით არ ინება მატარებლის შეჩერება იმ დროს, როდესაც მაღაროებიდან წამოღებული ნახშირით დატვირთული ვაგონები 5 საათამდე იდგა შესავალ ისრებთან, ვაგონი კი გაუგზავნელი დარჩა და წარმოებამ გასაჩერებელი გადაიხადა. ასეთ შემთხვევებს ხშირად აქვს ადგილი. საჭიროა სად. ტყიბულის ზოგიერთ თანამშრომლებმა შეიგნონ, რომ ისინი ვალდებული არიან ხელი შეუწყონ წარმოებას.

წურბილა.

# საქ. სახკომსაბჭოში

### მოსავლიანობის ასაწევად

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა მოსავლიანობის აწევის მასალების შესაგროვებლად საჭირო სახსარი — 14.315 მან. გაიღოს თავის 1929—30 წ. ხარჯთაღრიცხვით.

### ხევსურეთში სკოლებისა და საავადმყოფოების აგების კომიტეტი

ხევსურეთში სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობისათვის ხელმძღვანელობის გაწევის მიზნით დაარსებულ იქნა კომისია ამხ. მარ. ორახელაშვილის (თავმჯდომარის, ქ. ქაცარავას (თავ. მოადგ.), ფრანგულიანის, ფანცხავას, კამარაულის, ვაშლევიჩის და არქიტექტორ კალაშნიკოვის შემადგენლობით

### სას.-სამ. ბანკის ქუთაისის განყ. გაუქმება

წინადადება მიეცა სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობას გააუქმოს ბანკის ქუთაისის განყოფილება ა.-წ. ოქტომბრის 1-დან.

### ტურისტულ ექსპედიციის მოწყობა

საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებას მიეცა 3.200 მან. მიმდინარე წელში ტურისტულ ექსპედიციის მოსაწყობად. წინადადება მიეცა განათლების სახ. კომისარიატს გეოგრაფიულ საზოგადოების ტურისტულ განყოფილებისათვის დახმარების აღმოსაჩენად საჭირო სახსარი შეიტანოს 1929—30 წ. ხარჯთაღრიცხვაში.

# საერთაშორისო წითელი დღესათვის

### საშეფო საზოგადოება აწყობს მასიურ გასვლას სოფლებში

დღეიდან საშეფო საზოგადოება იწყებს წარმოებებიდან მუშათა ჯგუფების დაგზავნას ყველა საშეფო სოფლებში. მუშათა ჯგუფებმა სოფლებში უნდა ჩაატარონ საერთაშორისო ანტი-იმპერიალისტური დღე—1-ლი აგვისტო. სოფლებში გასაგზავნ მუშებს შორის საშეფო საზოგადოებამ ჩაატარა ჯგუფური მეცადინეობა, მათი მომზადების მიზნით.

მუშათა ჯგუფებს აგზავნიან საშეფო საზოგადოების ცალკე უჯრედები, სულ გაიგზავნება 140-მდე [illegible], რომლებიც კამპანიას ჩაატარებენ 147 საშეფო სოფელში.

კამპანიის ჩატარებისას მუშათა ჯგუფები გლეხებს აუხსნიან საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას, შემოდგომის თესვის კამპანიის მნიშვნელობას, ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის მიზნებს, საერთაშორისო წითელი დღის ამოცანებს და სხვა.

სოფლებში გაგზავნილი მუშები უკან დაბრუნდებიან 4 აგვისტომდე.

# თაფარავანის ჰიდრო-ელსადგურის აგება

ელექტროფიკაციის 5 წლიანი გეგმით გათვალისწინებულია ახალი მძლავრი ჰიდრო-ელსადგურის აგება საქართველოში. ასეთი სადგურის ასაგებათ სპეციალისტების მიერ დასახული იყო ორი ადგილი—სოფ. მექვენას რაიონი (რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში) და თაფარავანის ტბა ჯავახეთში (ახალქალაქის მაზრა). ვინაიდან მექვენაში მძლავრი ჰიდრო-ელსადგურის ასაგებად საჭირო იყო მდ. ცხენისწყალისა და რიონის შეერთება არხით, რაც გააძვირებდა სადგურის მშენებლობას, ამიტომ ახალი სადგურის ასაგებ ადგილათ ამორჩეულ იქნა თაფარავანის ტბა.

თაფარავანის ტბაზე ჰიდრო-ელსადგურის აგების საკითხი პირველად დასმულ იქნა ამ ორი წლის წინათ. იმ ხანებშივე ადგილობრივ გაიგზავნენ სპეციალისტები, რომლებმაც მოახდინეს თაფარავანის ტბის რაიონის ჰიდრო-გეოლოგიური და მეტეოროლოგიური შესწავლა.

ამ რამდენიმე თვის წინად საკავშირო ს.მ.უ.ს. ელექტრონის მთავარ მმართველობაში დასმული იყო საკითხი საქართველოში ახალი მძლავრი ჰიდრო-ელსადგურის აშენების შესახებ. ელექტრონის მთავარ მმართველობამ მიზანშეწონილად სცნო ახალი სადგურის აგება თაფარავანის ტბაზე და წინადადება მისცა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დააჩქაროს აღნიშნული სადგურის სააღმშენებლო პროექტის დამუშავება; სააღმშენებლო სამუშაოების დასაწყებად საჭირო თანხები გათვალისწინებულ უნდა იქნეს მომავალი საბიუჯეტო წლის საკონტროლო ციფრებში.

პროექტის დამუშავებისათვის საჭირო მასალებისა და ცნობების შესაკრებათ და სადგურის ასაგები ადგილის ადგილობრივად დასათვალიერებლად თბილისიდან გაემგზავრენ ს.მ.უ.ს. თავმჯდომარის მოადგილე ინჟ. ბ. ჭიჭინაძე და ინჟ. ა. ჩიქოვანი. მათთან ერთად სადგურის ასაგებ რაიონს დაათვალიერებენ აგრეთვე სხვა სპეციალისტებიც.

თაფარავანის ჰიდროელსადგურის ძალოვნება განსაზღვრულია 100.000 ცხ. ძალით.

# რა ხდება ადგილებზე

### ქუთაისის პირველი საოლქო კონფერენციის დახურვა

**ქუთაისი,** 26 ივლისი. დაიხურა პროფკავშირთა ქუთაისის პირველი საოლქო კონფერენცია. დაესწრო 201 დელეგატი. დღის წესრიგში შეტანილი იყო შემდეგი საკითხები: საქართველოს პროფსაბჭოს მოხსენება, ს.მ.უ. საბჭოს მოხსენება ხუთწლიანი გეგმის შესახებ, საოლქო საბჭოს არჩევნები და სხვ.

მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათში ორატორები აღნიშნავდნენ პროფკავშირების სუსტ მონაწილეობას ხუთწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრების დამუშავებაში და თვითკრიტიკის სუსტად გაშლას. მცირე ყურადღება ექცევა ჯავშნის საკითხს. შეგირდები მიმაგრებულნი არ არიან სათანადო ოსტატებთან. კონფერენციამ აღნიშნა, რომ სუსტი ხელმძღვანელობა ეწევა ქვედა საფეხურის პროფორგანიზაციებს და არ არსებობს ცოცხალი კავშირი. სოციალისტური შეჯიბრება სუსტად არის გაშლილი. ზოგიერთ საწარმოში არ ხდება საწარმოო თათბირების მიღწევათა აღრიცხვა. მცირე ყურადღება ექცევა მუშების დაწინაურებას. ზოგიერთ საწარმოში არ არის დაჯილდოვების ფონდები. ადმინისტრაცია და ინჟენერ-ტეხნიკოსთა პერსონალი საკმაო ყურადღებას არ აქცევს საწარმოო თათბირებს. მუშების წინადადებებს ხშირად არ ანხორციელებენ.

კონფერენციამ გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი გამომჟღავნებული დეფექტების აღმოსაფხვრელად და დაადგინა—გაფართოებულ იქნას საწარმოო კომისიების ქსელი, გამოიყოს საწარმოებში, სადაც ეს საჭიროა, დროებითი საკონტროლო კომისიები და ყველა საწარმოში შემოღებულ იქნას მუშათა დაჯილდოების ფონდები. (ადს).

### სათესლე ფონდი

**ქუთაისი,** 26 ივლისი. სათესლე ფონდის საკითხი, რომელიც ცხოველ გამოხმაურებას პოულობს სოფლად, პრაქტიკულად გადაიჭრა. კოლმეურნეობებთან მოეწყო მეთესლეობის მეურნეობანი, რომელთა საერთო სივრცე 70 ჰექტარს უდრის. ხოლო მომავალი წლიდან განზრახულია მეთესლეობის მეურნეობათა სივრცე გაფართოებულ იქნას 200 ჰექტარამდე, უმთავრესად მაზრის კოლექტიურ მეურნეობებთან. (ადს).

### მოჯამაგირეთა დაზღვევა

**ქუთაისი,** 26 ივლისი. მუშაობა მოჯამაგირეთა დასაზღვევად ქუთაისის მაზრაში აპრილის პირველი რიცხვებიდან დაიწყო. ჯერჯერობით დაზღვეულია 300 მოჯამაგირე. მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის განზრახულია დაზღვეულ იქნას მაზრაში მცხოვრები ყველა მოჯამაგირე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი დამქირავებელი ურჩევს მოჯამაგირეებს, თავს ნუ იზღვევთ, რადგან დაზღვევა უსარგებლოაო, მოჯამაგირეები მაინც დიდი ხალისით იზღვევენ თავს. (ადს).

### რიონჰესის მშენებლობა

**ქუთაისი,** 26 ივლისი. ამჟამად რიონი ადიდებულია. ეს ხელს უშლის მეორე რიგის კაშხალის აგებას.

სწარმოებს მუშაობა გვირაბების გასაყვანად. გვირაბის № 1-ის ქვემო მხრიდან გაყვანილია 654 მეტრი, ხოლო ზემო მხრიდან—290 მეტრი. ამავე დროს სწარმოებს გვირაბის გაფართოება სრულ პროფილამდე და მისი ბეტონით მოგება. ბეტონით მოგება დამთავრებულია 100 მეტრზე.

გვირაბის № 2-ის ქვემო მხრიდან გაყვანილია 360 მეტრი, ზემო მხრიდან—დაახლოებით 100 მეტრი.

მთავრობის იმ დადგენილებასთან დაკავშირებით, რომ აგებულ იქნას სრული სიმძლავრის ჰიდროსადგური ფერო-მარგანეცის მრეწველობის საჭიროებისათვის, რიონჰესი ამჟამად აწარმოებს მოსამზადებელ მუშაობას საგენერატორო სადგურის ასაგებად. (ადს).

### ტელეფონის ქსელის გადაკეთება ქუთაისში

**ქუთაისი,** 26 ივლისი. ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორამ ცენტრიდან მიიღო დამტკიცებული ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქის ტელ. ქსელის გადაკეთების შესახებ. ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ქსელის გადაკეთებას დასჭირდება 100.000 მანეთი. 25.000 მანეთს იძლევა ქუთაისის ალმასკომი, ხოლო დანარჩენ თანხას—ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი. მუშაობას ამ დღეებში შეუდგებიან. ახალი გაუმჯობესებული ქსელი მოეწყობა 600 აბონენტისათვის. მუშაობა ისე იწარმოებს, რომ ხელს არ შეუშლის ტელეფონების ნორმალურ მოქმედებას. (ადს).

### გეოლოგიურ-საგამოკვლეო სამუშაოთა დათვალიერება თაფარავანის ჰიდროელსადგურზე

**ახალქალაქი,** 27 ივლისი. 26 ივლისს ახალქალაქში ჩამოვიდა საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ინჟენერი ჭიჭინაძე. მასთან ერთად ჩამოვიდა ტეხნიკური კომისია, რომელმაც უნდა დაათვალიეროს თაფარავანის ჰიდროელსადგურის საგამოკვლეო და გეოლოგიური სამუშაოები. კ/ მისი აში მონაწილეობას იღებენ: საბჭ. კამშ. ს.მ.უ. საბჭოს „გლაველექტრო"-ს ელექტრო-სადგურების განყოფილების უფროსის მოადგილე ინჟენერი კამენეცკი, ლენინგრადის ჰიდროლოგიური ინსტიტუტის პროფესორი გლუშკოვი, საბჭოთა კავშირის გეოლოგიური კომიტეტიდან პროფესორი რიაბინინი და თაფარავანჰესის პროექტის შემდეგ ბიუროს უფროსი ტეხნიკური პერსონალი. კომისიამ გადასინჯა თაფარავანჰესის ყველა ვარიანტი, დაათვალიერა გეოლოგიურ-საგამოკვლევო სამუშაოები, რომლებსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სახელმწ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დოცენტი გაბუნია. თაფარავანჰესის ტეხნიკური კომისია ახალქალაქში დაახლოებით სამ დღეს დარჩება. (ადს).

# ცემენტის ქარხანა კასპში

საქართველოში (გორის მაზრა, სოფ. კასპის მახლობლად) მრავლად მოიპოვება ე. წ. მერგელი, საიდანაც ცემენტს ამზადებენ.

სად. კასპის ახლოს, იმ ადგილას, სადაც დაგროვილია მერგელი, შენდება ცემენტის ქარხანა.

უკვე ჩაეყარა საძირკველი მიწის ქვეშა შენობებს, სადაც იწარმოებს მერგელის გადამუშავება ქვანახშირის საშუალებით. დაწყებულია მომავალი ქარხნის მთავარი კორპუსის აგება.

აგებულია შენობები მუშებისათვის და ტეხნიკური პერსონალისათვის.

მერგელის ბუდობები მდებარეობენ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ქარხნიდან ორი ვერსის დაშორებით, სოფ. ქსოვრის ახლო. ამ ადგილიდან ქარხანამდე გაყვანილი იქნება საჰაერო გზა, რომლის საშუალებითაც იწარმოებს მერგელის გადატანა ქარხანამდე. საჭირო მოწყობილობა საჰაერო გზისათვის უკვე მიღებულია საზღვარგარეთიდან.

მომავალი ქარხანა იმუშავებს ტყიბულის ქვა-ნახშირის საშუალებით. ცდებმა დაამტკიცეს, რომ ეს ქვა-ნახშირი სავსებით გამოსადეგია ქარხნისათვის.

მერგელის მარაგი ძალიან დიდია. გეოლოგების გამოანგარიშებით, მერგელის მარაგი ეყოფა ქარხანას 200 წლის განმავლობაში.

ქარხანა შესძლებს წლიურად 700.000 ბოჭკა ცემენტის გამოშვებას.



ქარხნის მთავარი კორპუსი და ქვა-ნახშირის (მიწისქვეშა) განყოფილება.

# საქართველოს დარაიონება

25 ივლისს შესდგა საქ. ცაკთან არსებულ საქართველოს დარაიონების ცენტრალურ კომისიის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კომისიამ განიხილა და დაამტკიცა თბილისის ოლქის 12 რაიონად და 85 სასოფლო საბჭოთ დაყოფის პროექტი. კომისიის დადგენილებით გორის მაზრის ძეგვის თემი მთელი თავისი ტერიტორიით და დასახლებული ადგილებით შემოერთებულია თბილისის ოლქთან და როგორც სასოფლო საბჭო დაექვემდებარა მცხეთის რაიონს. კახეთის მაზრიდან თბილისის ოლქს შემოუერთდა ყოფ. ჩილაურ-კაკაბეთის თემი, რომელიც დაექვემდებარა გარე-კახეთის რაიონს. გარე კახეთის რაიონის ცენტრი სართიჭალიდან გადატანილია სოფელ საგარეჯოში.

გარდა ამისა მარტყოფის სასოფლო საბჭო მიეწერა თბილისის რაიონს.

ადგილებზე დარაიონების ჩასატარებლად გამოყოფილი იქნა კომისია ამხ. დ. ქუჩულორიას (თავმჯდომარე), ორჯონიკიძის და ბარამიძის შემადგენლობით. ამ კომისიას დაევალა გაემგზავროს ადგილებზე და ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით გამოიმუშაოს საქართველოს დარაიონების საბოლოო პროექტი.

საოლქო და სარაიონო აღმასკომების და სასოფლო საბჭოების დებულებათა პროექტების გამოსამუშავებლად გამოყოფილ იქნა კომისია ამხ. დ. ქუჩულორიას (თავმჯდომარე), გავაშელის, ორჯონიკიძის, [illegible] და რიყამაძის შემადგენლობით. კომისიას დაევალა პროექტების დამუშავება დაამთავროს 15 სექტემბრისათვის. პროექტების განსახილველად მოწვეული იქნება ყველა დაინტერესებულ ცენტრალურ ორგანოების წარმომადგენელთა თათბირი.

კომისიამ საჭიროდ სცნო ოლქებისა და მაზრების სქემატიურ რუკის შედგენა, რისთვისაც გადასდო 1.500 მანეთი; საჭიროთაა ცნობილი აგრეთვე საოლქო და სარაიონო აღმასკომების და სასოფლო საბჭოების დებულებათა გამოცემა, რა მიზნისთვისაც გადადებულია 2.000 მანეთი.

გარდა ამისა კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ დარაიონების საბოლოოდ დამტკიცების შემდეგ გამოიცეს ბროშიურა „საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფა", ამ ბროშიურის გამოსაცემად გადადებული იქნა 4.000 მანეთი.

# პიონერთა შეკრებისათვის

### პიონერთა სრულიად საკავშირო შეკრების პროგრამა

პიონერთა სრულიად საკავშირო შეკრების ცენტრალურმა შტაბმა განიხილა პიონერთა სრულიად საკავშირო კონფერენციის და ბავშვთა სრულიად საკავშირო მიტინგის მუშაობის წესი.

18 აგვისტოს „დინამო"-ს სტადიონზე (მოსკოვში) მოეწყობა ბავშვთა სრულიად საკავშირო მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ შეკრების დელეგაციები, მოსკოვის პიონერები და ბავშვები და მუშებისა და წითელ-არმიელთა წარმომადგენელნი. საბჭოთა კავშირის ყველა რადიო-სადგურმა სამსახური უნდა გაუწიოს მიტინგს. ბავშვებისათვის მოწყობილი იქნება რადიო-გადმოცემის მოსმენა ჯგუფობით.

შესავალ სიტყვას მიტინგზე წარმოსთქვამს ახალგაზრდა პიონერთა ცენტრალურ ბიუროს თავმჯდომარე ამხ. სევერიანოვა. შემდეგ მთავრობის მოხსენებით (ბავშვთა მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში) გამოვა ამხ. რიკოვი.

რუსეთის და უკრაინის პიონერთა პატაკის შემდეგ, საბჭოთა კავშირის თავდაცვის და მასში ბავშვების მონაწილეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. ვოროშილოვი. შემდეგ გამოვლენ უცხოელი პიონერები. პატაკით წარსდგებიან ბელორუსიის, ამიერ-კავკასიის, შუა აზიის და უზბეკისტანის პიონერები. დასასრულ მიტინგს მიესალმება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. წარმომადგენელი.

20 აგვისტოს (მოსკოვში) დაიწყება პიონერთა საკავშირო კონფერენცია.

კონფერენციის სხდომებს შორის მოეწყობა სხვადასხვა გასართობები: სიმღერები, თამაში, ცეკვა და სხ.

სრულიად საკავშირო კონფერენციასთან ერთად მოხდება ჯგუფური კონფერენცია-თათბირები ისეთი საკითხების შესახებ, როგორიც არის: კულტურული ხუთწლიანი გეგმა (ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენება), სკოლის გარეშე მუშაობა და პიონერების ამოცანები (ამხ. მლინიკის მოხსენება), სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა (ამხ. კოციანოვსკის მოხსენება), მთავრობის მუშაობა ბავშვებისა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში (ამხ. სემაშკოს მოხსენება), ბავშვთა ეკონომიურ-უფლებრივი მდგომარეობის დაცვა (ამხ. უგლანოვის მოხსენება), საბავშვო პრესის ამოცანები (ამხ. ხალატოვის მოხსენება), „როგორ უნდა იმუშაოს პიონერ-რაზმმა" (ამხ. სოკოლოვის მოხსენება).

შეკრების ცენტრალურმა შტაბმა გადასწყვიტა დააჯილდოვოს პიონერთა სპარტაკიადის მონაწილენი. შტაბი სთხოვს ყველა პროფორგანიზაციას ამ მიზნისთვის თანხების გაღებას.

### პროფკავშირების მონაწილეობა შეკრებაში

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენება პიონერთა შეკრების შესახებ და დაადგინა წინადადება მისცეს კავშირების ცენტრ. გამგეობებს ჩაატარონ კლუბებში და საწარმოებში საანგარიშო მოხსენებები პიონერ-ორგანიზაციებს შორის მუშ ობაზე.

პიონერთა შეკრების დღეს (18 აგვისტოს) უნდა დაუკავშირდეს კლუბებში საბავშვო მოედნების და ოთახების გახსნა, რომლებსაც უნდა მიენიჭოს პიონერთა შეკრების სახელწოდება.

პიონერთა შეკრების დღეს მუშათა კლუბებში გაიმართება სპეციალური საბავშვო საღამოები მოხსენებებით და მხატვრული პროგრამით. კავშირების ცენტრალურ გამგეობებს დაევალათ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ სტუმარ ბავშვებს თბილისის წარმოებების გაცნობაში. ამასთანავე კავშირების ცენტრ. გამგ. შეძლებისდაგვარად თავთავიანთ კულტფონდიდან პიონერ-ორგანიზაციების დასახმარებლად უნდა გაიღონ სპეციალური თანხები.

წინადადება მიეცა რკინისგზელთა, მშენებელთა, მეტყევეთა, საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა და კომუნალურ მუშაკთა კავშირებს პიონერ-ორგანიზაციების შეკრების ხელმძღვანელობის განკარგულებაში გადასცენ თავიანთი სამხედრო ორკესტრები.

# ექსკურსია ავჭალის ბანაკში

დღეს პროფკავშირის საექსკურსიო ბიურო აწყობს მასიურ ექსკურსიას ავჭალის ბანაკში. ექსკურსიაში ღებულობს მონაწილეობას — 2.000 კაცი

ექსკურსანტები ავჭალის ბანაკში გასამგზავრებლად თავს იყრიან თბილისის სადგურზე დილის 7 ნახ. საათზე ორკესტრებით და პლაკატებით. მატარებელი გავა ავჭალისაკენ — სრულ 8 ნახ. საათზე.

ბანაკისაკენ ექსკურსანტები გაემგზავრებიან წყალსადენიდან. ბანაკის დიდ მოედანზე ექსკურსანტებს შეეგებებიან № დივიზიის სარდლობა და წითელი არმიელები. აქვე გაიმართება მიტინგი, რომელზედაც დივიზიის მეთაური ამხ. ვ. გიორგაძე გააკეთებს მოხსენებას დივიზიის მდგომარეობაზე და მის საბრძოლო მზადებაზე.

მოხსენების შემდეგ მოსმენილი იქნება მისასალმებელი სიტყვები, რის შემდეგაც მუშებს გაუმასპინძლდებიან საუზმით.

საუზმის შემდეგ ექსკურსანტები ინახულებენ ქიმიურ ქალაქს, სადაც ნაჩვენები იქნება რამდენიმე მომენტი ქიმიური ომიდან. აქ ექსკურსანტები გაეცნობიან სხვადასხვა გაზების თვისებებს და მათ მოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე.

შემდეგ ექსკურსანტები დაიყოფიან ჯგუფებად და გაეცნობიან ბანაკს და არმიელთა ყოფა-ცხოვრებას.

ნასადილევს ბანაკად გაიმართება ფიზკულტურნიკების გამოსვლა და მხატვრული საღამო მუშებისა და წითელ არმიელების მონაწილეობით.

მუშები გადასცემენ არმიელებს სხვადასხვა საჩუქრებს, ლიტერატურას, რვეულებს.

ექსკურსანტები დაბრუნდებიან უკან საღამოს 8 საათზე სპეციალური მატარებლით.

—

ავჭალის ბანაკის გარდა დღეს ეწყობა ექსკურსიები მანგლისში, კოჯორში, ბორჯომში, გორში და სხვ..

ავიაქიმი აწყობს თავის წევრების ექსკურსიას ბანაკების და წითელი ყაზარმის დასათვალიერებლად. ავიაქიმის ადგილობრივი ორგანიზაციები ინახულებენ წითელი ჯარის ნაწილებს და ჩაატარებენ წითელ არმიელებთან ერთად შეჯიბრებებს, სროლაში.

### პარტიული თათბირი თეატრის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის აგიტპროპ განყოფილების მიერ მოწვეული ამიერ-კავკასიის თათბირი თეატრის შესახებ გაიხსნება ხელოვანთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. № 13) ორშაბათს, 29 ივლისს, საღამოს 6 ს.

თათბირის დღის წესრიგი:

1) პარტიის თეატრალური პოლიტიკის პრინციპები;
2) თეატრალური მუშაობის მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში;
3) მუშათა თვითმოქმედი თეატრი;
4) თეატრალური კრიტიკა.

სამშაბათს, 30 ივლისს, საღამოს სრულ 7 საათზე, წითელი არმიის სახლში (რუსთაველის პრ. № 10) შესდგება მუშკორებისა და სამხკორების გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში სდგას: 1) საერთაშორისო წითელი დღე და 2) მორიგი გაწვევა წითელ ჯარში.
ჩვენი გაზეთის მუშკორთა დასწრება აუცილებელია

# ხორჯურდაინ ჯაიასტან

I

არ გაგვიგია, როდის გავცდით საქართველოს ფარგლებს, არ გაუღვიძებივართ.

მატარებელმა, რომლის ერთ-ერთ ვაგონით თბილისიდან სომხეთში მიემგზავრებოდნენ აზერბეიჯანელი და ქართველი მწერლები, გაიარა მდ. ბერდუჯისაგან გაჭრილი, მაღალი კლდოვანი ხეობა და დაღლილი მგზავრის ამოსვლემით შეჩერდა იქ, სადაც თავიანთ კალთები დაუფენიათ ბზობადისა და ბამბაკის ქედებს.

ჩამოსასვლელად გამზადებული სტუმრები წამოიშალნენ. მოწვევებულმა ხალხმა, მუსიკის გუგუნმა და მქუხარე ტაშმა შეაჩერა მათი პირველი ნაბიჯი.

— თქვენ ეწვიეთ მსოფლიო და სამოქალაქო ომებით განადგურებულ სომხეთს. დღეს იგი წარსულის ნანგრევებზე აშენებს სოციალისტურ მეურნეობას, დღე თქვენმა ბოლომდე განამტკიცოს მეზობელ ერთვნებათა სოლიდარობა და ძმური თანამშრომლობა, რომელიც საფუძვლად უდევს ახალი სომხეთის აღმშენებლობას.

ამ სიტყვებით მიესალმნენ აზ. და საქ. მწერალთა დელეგაციებს სომხეთის მთავრობის წარმომადგენელი ამხ. ეგიაზაროვი და თბილისელ პროლეტარული მწერლების ძველი მეგობარი პროლეტარული პოეტი ალაზანი.

— ძმური სალამი საბჭოთა სომხეთს აზერბეიჯანელ და ქართველ მწერლებისაგან, დღევანდელი შეხვედრა სომხეთის მიწაზე იქნეს პირველი ქვა სამივე ერის საბჭოთა მწერლებს შორის ინტერნაციონალური ძმობის სამარადისოდ.

დახლოვებით ეს მისალმება წარმოძღვანილ წინ ქართველ-აზერბეიჯანელ მწერალთა დელეგაციის თავმჯდომარეებმა გრ. რობაქიძემ და ა. ახვერდოვმა სტუმარ-მასპინძელთა ვიცვლივ ხელის ჩამორთმევებს.

— სადა ხართ, ხალხნო, ამდენი ხანი? ორი დღეა გელოდებით—გვეუბნება ჩვენი კარგი ნაცნობი პოეტი ვშტუნი. მართლაც, ჩვენ დავაგვიანეთ. თურმე, ორი დღეა გვიცდიდნენ [illegible] სად. კარაკლისში, საიდანაც დილიჟანზე გველით უნდა გავმგზავრებულიყავით ერევანში.

მასპინძლებმა მიგვიწვიეს მისანიკოვის სახელობის დასასვენებელ სახლში.

ლორი-ბამბაკის მაზრა ულამაზესი კუთხეა მთელ სომხეთში, ხოლო კარაკლისი ულამაზესი აგარაკი ამ კუთხეში. იშვიათი დილაა. ულრუბლო ფირუზი ცა, ბამბაკის ქედებიდან მზისგან გამოტყორცნილი სხივებით გამოფიტული ახლო მდებარე მთის მწვერვალები. ტყის სიმწვანეში ჩაძირული მდელო ბადნოფარულია ცვარით, რომელსაც ჯერ კიდევ არ აბრჭყვიალებს მზის შუქი. სადი ჰაერი, [illegible] და გაშლილი ხეხილის ყვავილების [illegible] გულდებოდით, დასასვენებელი სახლის [illegible] პატარა მდინარე. მის ანკარა ზეჟებს გა[illegible] ხელპირზე დადებული მტვერი და [illegible] ჩამოკიდებული სომძოჯ ვაგო[illegible] ჰაერის.

[illegible] სიამოვნება გალვიძებული [illegible] ყონსუა ტყეების სურნელებით. ჩვენ [illegible] განვაცადეთ სოფეე ამ ლამაზი [illegible] მიგვიწვიეს დასასვენებელ სახლის [illegible] დარბაზში გაშლილ სუფრაზე. გამ[illegible] ყვავილების სიტკბო-სურნელოვანი ქა[illegible] თაფლი და პისივე მინდვრების მცე [illegible] სინიყიერე—პური, ყველი და [illegible] იყო ჩვენ მიერ სომხეთის მიწაზე მი[illegible] პირველი პურმარილობა. [illegible] ჩვენ შევსვით ერთი სადღეგრძელო: [illegible] სომხეთის მშრომელ გლე[illegible], რომლის შრომის ნაყოფით გვიმასპინძლდებოდა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი.

❋ ❋

მზე უკვე მთებს გადაღმა იყო გადასული, როცა შევუდექით ტყიან ლანდშაფტზე მიმავალ გზას. პირველად დამტბრცა კარაკლისში დაბანაკებულმა წითელ არმიელებმა, მათმა მომღიმარმა სახეებმა გავგრძნობინეს იმ მიდამოების ცხოველმყოფელობა ადამიანის ორგანიზმზე.

სამხედრო ბანაკს იქით თავდება უკვე კარაკლისი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კარაკლისისთვის იწყება ახალი ისტორია. წინათ იგი ორი-სამი მდიდარის დასასვენებელი აგარაკი იყო. ეხლა იგი არა მარტო მუშათა აგარაკია, არამედ სამაზრო ცენტრიც. ამიტომ დღეს კარაკლისი შედეგია, როგორც აგარაკი და როგორც სამაზრო ქალაქი. ახლახან აგეიდეულა ერთი დიდი სასტუმრო, მრავალი საბჭოთა შენობა, რამდენიმე მუშათა სახლი, გაყვანილია წყალსადენი, შენდება დიდი საავადმყოფო და სხვ. ქალაქის ნებისმიერი აქვს გეგმიანი ხასიათი. წინასწარ გათვალისწინებულია, თუ სად რა უნდა გაკეთდეს. სამი-ოთხი წლის შემდეგ კარაკლისი ულკე შესანიშნავი კალაქი იქნება.

❋ ❋

უკან მოვიტოვეთ დუხაბორების სოფლები, რომლებიც თავიანთ ტიპით განირჩევიან სომხური სოფლებისაგან. მათი სოფლები მიწის ზედაპირზე (და არა მიწაში) გაშენებული სახლებია, გარედან კირით შელესილი. ორ წყებათ დამშვენებულ სახლებს შუაზე სქრის ქუჩა. სახლებს დაქანებული სახურავი აქვს, ზოგან კი ბრტყელი. ფართო ფანჯრები შეღებილი ლარებით. აივნები ჩუქურთმიანი ხის მოაჯირებით, ფანჯრის თაროებზე შემოდებული ყვავილიანი ქოთნები სოფელს აძლევენ მხიარულ გარეგნობას. განირჩევიან თვით მცხოვრებლებიც, რომლებიც ტანადობა და ძლიერი გარეგნობა ახასიათებთ. მზისა და მთის ჰაერისაგან სახე დამწვარი აქვთ. მათ სლავიანურ წარმოშობას ამჟღავნებს ტანისამოსი, ქერა თმა და ჩაცმულობა. მათი მოძრაობა, სახის არა სწორი ნაკვთები, წვრილი და პატარა თვალები მოკლებულია ადგილობრივი მკვიდრი სომხების სიმკვრიცხლეს, ცოცხალ გამომეტყველებას, საკვირველია, რომ რევოლუციას ცვლილება არ შეუტანია მათ ჩაცმულობაში. ისევ ჩექმებში ჩატანილი შავი ფაფუკა შარვალი, კაფტანი და ქუდი (აუცილებლად კაზიროკით). ქალები კი ძველებურად ატარებენ სუფთა ღია ფერის ჩითის ტანისამოსს, მოკაზმულს (აუცილებლად წინსაფარით). არაა დიდი დაკვირვება საჭირო, რომ შემთხვევითი ვავლის დროსაც შემჩნიო: დუხაბორები მეტად გამრჯელი მეურნე, შრომის მოყვარე და ბეჯითი ხალხია. სადაც კი გაეიარეთ დუხაბორების სოფელი, ყველგან წავაწყდით ყანაში, ბოსტანში, თუ საკუთარ კარმიდამოში დასაქმებულ კაცს, ქალს, ბავშვსა და მოხუცს. ისიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ კარგი თვისებით დაჯილდოვებული დუხაბორი ყოფა-ცხოვრებაში კონსერვატორი და ცრუმორწმუნეა. საინტერესოა, მოახდინა თუ არა რევოლუციამ ქართებმა გავლენა მათ ფსიქიკაზე? უეჭველია მათ სოფლებშიაც გაჩაღდებოდა ბრძოლა ძველი ყოფა-ცხოვრების დამცველ მამებსა და ახალი თაობის შორის, რომელიც, არ შეიძლება, ჩაზბული არ იყოს განახლებულ ცხოვრების ფერხულში, სოფლის გარდასაქმნელად წარმოებულ მუშაობაში. ისიც აშკარაა, რომ არსად ჩვენში ამ ბრძოლას ისეთი მწვავე ხასიათი არ ექნება, როგორც აქ, დუხაბორებში, რომელთა კონსერვატიზმი (ფანატიზმამდე მისული) ეგრე ადვილად ვერ ურიგდება უმნიშვნელო ცვლილებასაც კი. მაგონდება გაზეთში გამოქვეყნებული რამოდენიმე ცნობა კომკავშირელების მოკვლის შესახებ, ერთმანეთის მკვლელობაში მონაწილეობას იღებდნენ მოკლულის მშობლები და ახლო ნათესავები.

დუხაბორებით დასახლებულ დაბლობებს სცილდის მთის მდინარეებისაგან გაპობილი ხეობა; ვალმა-გამოვლმით აყუდებული მთები ფოთლოვანი ტყეებით შემოსილნი. წიფელა, კოპიტი, ცაცხვი, ურთხმელა, წაბლა, არიან ამ ტყეების მუდმივი მობინადრენი. მთებს ეს სარტყელი ისეთივე წარმტაცია, როგორც ჩვენი ბევრი ხეობათაგანი. ლორ-ბამბაკის ტყიან მთებს იმდენი მსგავსება აქვს მათთან, რომ, მაგ. აჭარის წყლის ხეობაში დაძინებულს რომ აქ გამოგეღვიძოს, ვერ მიხვდები, თუ მდებარეობა გამოგიცვლია. იგივე მოხაზულობა მთებისა, იგივე მცენარეულობა, იგივე—ხან გაშლილი, ხან შევიწროვებული ლანდშაფტები, ხან ამავალ-ჩამავალი ბილიკები და გზატკეცილი. გეოლოგიურად ეს მიდამოები აჭარა-ახალციხის და თრიალეთის მთის ქანების გაგრძელებას წარმოადგენენ, ზემოხსენებული მთაგრეხილი ამ ქედებთან გადაჯაჭული თითქმის პარალელურად მისდევს კავკასიონის ქედს, რომელსაც მსგავსათ ეს მთაგრეხილიც ბარიერათ არის გადაჭიმული შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. ამიტომ გეოგრაფები ამ მთაგრეხილს მცირე კავკასიონს უწოდებენ. არის განსხვავება ამ ორ კავკასიონს შორის. დიდი კავკასიონის მთების კიდეები თანაბარია: რა დონითაც იწყება ქედი ჩრდილო-დასავლეთით, იმავე დონით ეშვება სამხრეთ აღმოსავლეთით. მცირე კავკასიონი კი დალაგებულია თანდათანობით ამაღალ საფეხურებათ.—კონფორმებათ, რომლებსაც ემყარება მთელი სომხეთის ზეგანი. ამ საფეხურებს კიბესავით აყვავართ მაღლა კარაკლისიდან სომხეთის უმაღლეს პლატოზე. გზატკეცილი შეუმჩნევლად მიიწევს ზევით. სიმაღლის მომატებას ჩვენ ვგებულობთ მაჯის ცემის კავშირებით და დაკვირვებით მცენარეულობაზე. თანდათანობით მიიპარებიან დაბლობისა და სითბოს მოყვარული მცენარეთა ჯიშები, ან სიმაღლის მომატებისთანავე მათ ცვლილება ემჩნევათ. მაგ. კარაკლისში ჩვენ ვნახეთ აკაციის გაშლილი ყვავილები, აქ კი მხოლოდ ეხლა იფურჩქნებიან. დილიჟანის ზევით კი აკაციებს ჰკიდია ოდნავ გაშლილი კუკურები. იცვლება ტყის ფლორობიაც სამკაულიც. ტყამბიკილობა გამოჩნდება გზადგზა ტყეებიდან მონაბერ სურნელების სხვადასხვაობას. თითქოს თანდათანობით გადავდივართ ზაფხულიდან ახალ გაზაფხულში. თბილისიდან ივნისის დამდეგს წამოვედით, კარაკლისში აპრილის დამლევს მოუსწარით, ხოლო დილიჟანის ახლო გაზაფხულის შუა აპრილია. ასეთ მცირე მანძილით დაშორებულ კუთხეებში წელიწადის ერთ და იმავე დროს სხვადასხვანაირია ტემპერატურა, ყვავილობა, ტყეების შემოსილობა. არ იცვლება მხოლოდ ცა, რომელიც მთელ ამ მანძილზე ლურჯად ახურავს კლდეებით აჭედილ მთებს და ეს ლაჟვარდი სახურავი ხან ვიწროვდება, ხან განიერდება იმის მიხედვით, შეზღუდულია, თუ გაშლილი ხეობის ჰორიზონტი.

მალე მთის ორწოხები ვაიწ-გამოიწიეთ, [illegible] მთები, და ჩვენი მანქანები თავზე დადგნენ ფერდობზე გაშენებულ, ფიჭვ-ნაძვნარით გახვეულ კოხტა ქალაქს,—კლიმატიურ აგარაკს, ისეთ მოულოდნელ სიურპრიზს ამ გარემოში, როგორიც არიან საქართველოს ტყეებში წარმოშობილი აგარაკები—ბორჯომი, წავკისი, ცემი, აბასთუმანი. რა კონტრასტია, რა შეუსაბამობა ამ მოწყობილ აგარაკებსა და მათ მახლობლად აწეულ უდაბურ ტყეებსა და ველებს შორის? პირველყოფილი, თითქმის შეუბღალავი ბუნება და მის გვერდით დასასვენებელ სახლების კომფორტი, მტკიცე სანატორიული რეჟიმი.

❋ ❋

ჩვენზე წინ მიმავალ მანქანებმა შემოურბინეს რკალივით შემორტყმულ გზატკეცილს და შეჩერდნენ. ჰაერი შეარხია მუსიკამ და ჩვენ უკან მეავალთ, ჯერ კიდევ აგარაკის ფარგალში შეუსვლელთ, — შემოგვესმა ტაშის ცემა და მხიარული ყიჟინა. სასწავლებლის წინ ჩამწკრივებული მოწაფეები ესალმებოდნენ იშვიათ სტუმრებს ა.-კ. მწერლებს, რომელთაც შეაგებეს ყვავილები, ახალგაზრდული აღტაცება და თავიანთი მასწავლებელი ქალის აღფრთოვანებული სიტყვები, რომ ამიერ-კავკასიის საბჭოთა მწერლები მოზარდ თაობას მისცემენ საზრდოს ინტერნაციონალისტური აღზრდისათვის. აღტაცებული თვალებით და ბავშური ცნობისმოყვარეობით უსმენდნენ პიონერები არისტო ჭუმბაძეს და თურქ მწერალ ხანლის, რომლებმაც ახლად შეძენილ პატარა მეგობრებს გააცნეს მწერალთა მოგზაურობის მიზანი და თავიანთი გულწრფელი სურვილი —აღზარდონ ახალი თაობა ინტერნაციონალისტური იდეებით გამსჭვალული. ეს სიტყვები ბავშვებისათვის არ იქნებოდა უცხო, გაუგებარი. ამის თავდები იყო მათ კისერზე კოხტათ გაკრული წითელი ჰალსტუკი,—პირველი ნიშანი იმისა, რომ მათ გულში უკვე გაბნეულია თესლი ახალი იდეებისა.

❋ ❋

20 წუთით შეჩერება დილიჟანში გამოვიყენეთ ქალაქის დასათვალიერებლად. დილიჟანი ომამდე ბაქოელ ბურჟუების კურორტი იყო. მათ აუგიათ აქ რამოდენიმე საგარაკო სახლი და ერთი სანატორიუმი. რასაკვირველია, ყველაფერი ეს მემკვიდრეობით დარჩა, სომხ. ჯანმრთელობის სახკომისარიატს. მაგრამ ის, რაც საკმაო იყო ერთეული ბურჟუებისთვის, ვერ დააკმაყოფილებდა ათასეულ მუშებს. დილიჟანი უახლოესი აგარაკია, როგორც ერევნისა და ლენინაკანისათვის, ისე ბაქოსათვის. იგი გზაჯვარედინზე მდებარეობს. აქ ერთდებიან აქსტაფიდან, ერევნიდან და ლენინაკანიდან მომავალი გზატკეცილები. მშვენიერი მდებარეობა, ოზონით გაჟღენთილი ჰაერი, ფიჭვ-ნაძვნარიანი ფერდობები დილიჟანისა ანდამატივით იზიდავს სომხეთისა და აზერბეიჯანის ავადმყოფებს. აუცილებელი გახდა დილიჟანის გარდაქმნა დიდ საკურორტო ქალაქად. უკვე დამტკიცებულია პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქის გაშენებას ახლად შემუშავებული გეგმის მიხედვით. ახლო მომავალში დამთავრდება აგრეთვე რკინის გზის შტოს გამოყვანა აქსტაფიდან ერევნამდე. შტო გაივლის დილიჟანზე, სადაც აშენდება რკინის გზის სადგური. ახლა აქ კეთდება გზატკეცილი იმ მომთაბარე მეჯოგეებისათვის, რომლებიც ეხლა ჯოგს შუაგულ აგარაკზე დაატარებენ და ამით დიდ ზიანს აყენებენ მას. გზატკეცილი შორი მანძილით უვლის აგარაკს. დილიჟანის მთავარი მშენებელნი არიან ადგილობრივი აღმასკომი, ჯანსახკომი და ამიერ-კავკასიის სოცდაზღვევის კომიტეტი. ჯანსახკომი აგებს ტუბერკულოზის დისპანსერს, რომელიც 26 წელს არის დაწყებული და მალე დამთავრდება. ა.-კ. სოც დაზღვევის კომიტეტი კი აშენებს საუკეთესო სანატორიუმს განმარტოებულ ფიჭვ-ნაძვნარიან უბანში. ჯდება იგი 750.000 მანეთი. ამ თანხით, შენობის გარდა, მოეწყობა წყალსადენი, კანალიზაცია, ბაღი, ხეივანი. სანატორიუმი დამთავრდება 1930 წლის შემოდგომისათვის.

— მარტო ამით არ განისაზღვრება ჩვენი აგარაკების რიცხვი,—მითხრა სანატორიუმის ერთმა თანამშრომელმა. ჩვენ გვაქვს კიდევ ბალნეოლოგიური კურორტი არზნი, მდ. ზანგის პირათ, ერევნიდან 30 კილომეტრით დაშორებული. გარდა სასმელი ტუტოვანი ნახშირმჟავა წყლისა, რომელიც სომხეთში ბორჯომივით არის გავრცელებული, არზნში უხვად გადმოქუხს აგრეთვე საბანაო წყლები, რომლითაც მკურნალობენ რევმატიზმს, კანის ავადმყოფობას, ფილენჯს და ქალის სნეულებას. მთავრობა არზნში ეხლა აშენებს წყლის ჩამოსასხმელ ქარხანას ბოთლების დამამზადებელი განყოფილებით. ჯდება სულ— 220.000 მანეთი. ქარხანა ექვსი თვის განმავლობაში გამოუშვებს მილიონ ნახევარ ბოთლ წყალს. გარდა ამისა, იქვე შენდება მეორე სანატორიუმი, (ერთი უკვე არსებობს) 90 საწოლით და სოლარიუმით.

კარაკლისი, დილიჟანი და არზნი სომხეთის მშრომელთა ჯანმრთელობის სამი მთავარი კერაა საუცხოო მდებარეობით და მაღალი სამკურნალო თვისებებით.

როგორც ვხედავთ, ბუნებას თავისი უხვი კალთა მარტო საქართველოში არ დაუბერტყია. ეს ადგილები, მართალია ჩემს აზრით არ სჯობიან, მაგრამ დიდათ არ ჩამოუვარდებიან ჩვენს აგარაკებს.

❋ ❋

დილიჟანიდან დაძრულ მანქანებს უკან გამოეკიდა ბავშვების მხიარული ყიჟინა. ჩვენ შევუდექით აღმართს უღელტეხილისაკენ, მოწაფეებმა კი მიაშურეს სასწავლებლის კარებს.

ჯერ კიდევ გრძელდება ტყიანი ზონა, რომელიც თანდათან თხელდება.

კარაკლისიდან ვიდრე სოფელ ელენოვკამდე გვხვდება მომთაბარეთა ნახირი. მანქანის გუგუნისა და სტვენის გაგონებაზე ნახირი ფრთხება. იალაღებზე დაბადებულნი და აღზრდილნი დღემდე ვერ შეეგუებიან ისეთ ურბანისტულ გამოგონებას, როგორიც არის სირენების სტვენა. მართლაც, ხარ-კამეჩისა და თხა-ცხვარის ყურთასმენას რომ შეაჩვიო „ზაკავტომპრომტორგის" ავტოს „სიმღერა", თითქმის იგივე იქნება, რომ ამ ქურთ მწყემსებს მოასმენინო კშენეკის ოპერა. (ასეთია სამწუხაროთ ჯერ კიდევ მათი კულტურული დონე). დამფრთხალ ნახირს უკან მიჰყვებიან ჭრელი ფარდაგით გადახურული ურმები. შიგ სხედან და წვანან ქალები ძუძუმწოვრებით, ბავშვები, მოხუცნი. ზოგს ურმებში უწევანია ჩვილი ახალდაბადებული ხბოები. თითო ჩლიქები ვერ უძლებენ ჯერ კიდევ ქვიან გზაზე სიარულს. ურმებში ალაგია ჰურჯლეულობა, ქვაბები, კარდლები, ჯამები. ურმებს უკან მოჰყვებიან ენაგადაგდებული ძოფაქაბი. ბევრ მენახირეს კამეჩის ზურგზე გადაუკიდია ქეჩები, ნაბდები, ხურჯინები. მოდიან ერევნის, ახტის და კარაკლისის მხრიდან. თუ გზაზე ცუდმა ამინდმა მოუსწრო, დაბანაკდებიან უახლოესი სოფლის მეზობლათ და ვაი მაშინ იმ სოფელს, ნახირი არ ზოგავს ნათესებს, სჭამს და ფეხით სთელავს ჯეჯილს და მრავალწლოვან მცენარეულობას. მომთაბარეების არა თუ დაბანაკება, არამედ ყოველი ვაგლა რომელიმე სოფელზე პირდაპირ რისახვაა მიწადმოქმედი მოსახლეობისათვის. არის მუდმივი მტრობა და ხშირათ სისხლის ღვრა მათ შორის. მეორე მხრით, მეურნეობის ეს პირველყოფილი ფორმა აბრკოლებს მომთაბარეების წინსვლას, არ ხერხდება მესაქონლეობის გაუმჯობესება და კულტურული მუშაობის გაჩაღება ამ ძალზე ჩამორჩენილ მასებს შორის. პატრიარქალური წესწყობილება, ადათი თითქმის ხელუხლებელი. ჩვეულებრივ მომთაბარეებს თან დაჰყვებიან სოფლის საბჭოს რწმუნებულები, მაგრამ, უკულტურობის გამო, ისინი უძლურნი არიან გაუმკლავდნენ მამაპაპურ ტრადიციების შემოტევას. ამ რწმუნებულებს ადვილად იმორჩილებენ მდიდარი მეჯოგეები. კულაკები, რომელთა უფლება შეუკვეცელია. ისინი ანაწილებენ გადასახადს, ემხარებიან რწმუნებულებს გადასახადის აკრეფის დროს იმ მიზნით, რომ განუკითხავათ ტყავი გააძრონ დაზიჩავებულ ღარიბ მეჯოგეებს. აბა რა რევოლუციონურ კანონებზე შეიძლება აქ ლაპარაკი? იტაცებენ ცოლათ მცირეწლოვან გოგონებს. ამ ნიადაგზე ხშირია ჩხუბი, აყალ-მაყალი, ცემატყეპა, სისხლის ღვრა. კაცი არ არის,—მსჯავრი დასდოს მტყუანს და დაიცვას უდანაშაულო. მომთაბარეობა ძირს უთხრის თვით მესაქონლეობასაც საძოვრები იფიტებიან, მწირდებიან იმის გამო, რომ მეჯოგეები არ იცავენ საბალახოების რაციონალური სარგებლობის წესებს. პროფესორ დიმიტრიევის გამოკვლევით, სომხეთის საძოვრების ფართობი უკვე საგრძნობლად არის შემცირებული და იალაღების დიდ ნაწილს განადგურება მოელის, თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები. ერთი სიტყვით მომთაბარეობა სრული ანარქიზმია, შეუთავსებელი და მავნებელი მოვლენაა რესპუბლიკისათვის, რომელიც სოციალისტურ მეურნეობას აშენებს. ამიტომ არის, რომ სომხეთის მთავრობას მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი, რომ მესაქონლეობის ასეთი ჩამორჩენილი ფორმის გაუქმებით ერთი მხრით გადაარჩინოს მეურნეობის ეს დარგი განადგურებას და მეორე მხრით ცრუმორწმუნეობას, ბუნების ძალების ბატონობას და უკულტურობას გამოგლიჯოს მრავალი ათასი მშრომელი, და მესამე, დაიცვას მუდმივი მავნებლობისაგან მიწის მშრომელი მოსახლეობის ყანები და ბაღვენახები. ამ მიზნების მიღწევას მთავრობა ორი საშუალებით ფიქრობს. წესიერი საძოვრო მეურნეობის შემოღებით და მომთაბარეობის გადაყვანით მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე. ლენინაკანში განზრახულია მოეწყოს ცენტრალური სამი საბჭოთა ზოოტექნიკური სადგური, რომლის ხელმძღვანელობით იმუშავებს პირველი საცდელი საძოვრები, რომლებზედაც მესაქონლეებს შეასწავლიან საძოვრების წესიერ გამოყენებას. მეორე უფრო რადიკალური ღონისძიება—მომთაბარეების დასახლება—უკვე ორი წელიწადია ტარდება. მომთაბარეებით უკვე დასახლებულია ახალი სოფლები (ქურთიდა, აიარალუ, ზორამბეკე), სახლების ასაგებათ ახლად დასახლებულნი ღებულობენ ფულად დახმარებას და გრძელვადიან უპროცენტო სესხს. როგორც პირველი, ისე მეორე ღონისძიება მუშაობის ერთად-ერთი ფორმათაგანია სომხეთის ეროვნულ უმცირესობათა ეკონომიურად და კულტურულად დასაწინაურებლად, რადგან სწორეთ ქურთები, ეზიდები და თურქები შეადგენენ ეროვნულ უმცირესობის მთავარ მასას სომხეთში.

❋ ❋

ალპიური ველებით იწყება სომხეთის თავისებური ბუნება. მივაღწიეთ ზეგანს. ჩვენ წინ დაფენილია ზურმუხტი მინდვრები. ნორჩი, ახლად ამბიბნებული ბალახი მოსავს მათ. მინდვრების სიმწვანე აფერადებულია ნაირნაირი ალპიური ყვავილებით. ალაგ-ალაგ ამოზნექილ ბორცვებზე დევს გაუმდნარი თოვლი. მთელი მიდამო თეთრი ნაჭრით დაკრებულ მწვანე ჩითსა ჰგავს. წყლით ამოვსებული ჩაღრმავებული ორმოები ბროლის ფინჯანებივით აწყვია მინდვრებზე. გრილი, ვამსუბუქებელი ჰაერი, მცხუნვარე მზე, გობივით გადმობრუნებული ფირუზი ცა. მინდორზე ცხოველი არა სჩანს, სივრცეში ფრინველი. მწვანე მინდვრები, ცის ლაჟვარდი და დუმილი (რომელსაც არღვევს მოტორის გუგუნი).

შეუჩერებლად მიმდინარეობს ჩვენი ორგანიზმში, ჩვენი განწყობილების ფილტრაცია. სისხლის მოძრაობა, მაჯის ცემა მატულობს. გული ახშირებს ცემას. ველების ნიავს მიაქვს, თუ გულს რაიმე დარდი გამოჰყოლია. უნებურათ მაგონდება ერთი პოეტის დავიწყებული ლექსი, (რომელიც, ალბათ, ჩემს გარდა, არავის ახსოვს ამ ქვეყანაზე)

ისევ ამღერდა ჩემში ოცნება,
კვლავ აღტაცებამ შემისვა ფრთებზე,—
და გულზე ხვდა ისე მადნება
როგორც ის თოვლი აი იმ მთებზე.

❋ ❋

ვიწევით რამოდენიმე მეტრით მაღლა და ჩვენ უკვე ვხედავთ შორიულ იალაღებს. ფერდობზე შეფენილი ცხვარი ისე სჩანს, როგორც მუხის მტოზე მღილები. მივგრიგალებთ სულ ზევით და ზევით. აგერ უმაღლესი წერტილიც—გიუნის უღელტეხილი. ავტო ისეთი სისწრაფით ეშვება ქვევით დაბლობისაკენ, რომ ჩვენ მზერასაც კი უსწრებს წინ. გაშლილი ჰორიზონტი ისევ ვიწროვდება. სამხრეთის ხედს ფარავენ გორაკები. თვალის დახამხამებაში ისინიც უკან რჩებიან.

ერთბაშად, გაუფრთხილებლად თავს დავადექით გადასარევ პანორამას: სარკესავით ბრტყელი გაშლილი ლაჟვარდი. აღმოსავლეთით არ სჩანს კიდე ამ ლაჟვარდოვანი სიბრტყისა. წაშლილია საზღვარი ცის კიდურსა და მის შორის. მიუწვდომელი უსაზღვროება და დაუსრულებლობა. ლაჟვარდი ქვევით, ლაჟვარდი ზევით. ერთი წუთი კიდევ და მანქანა გადაგვისვრის ცისფერ სივრცეში. ლამის გული გასკდეს ამ მოწოლილი ცისფერი უსაზღვროებით.

— რა არის ეს ასეთი ვრცელი, უძრავი, დამშვიდებული, ასეთი ცისფერი?

— ეს არის ტბა, გოქჩის ტბა!—თვით მე მივეცი პასუხი ჩემს უხმო განცვიფრებას, როცა ჩავცილდით სოფელ სემიონოვკას, დავინახეთ ტბის ნაპირი და კუნძული მაღლებული მონასტრით. მიუახლოვდით ტბას. გზა მის ნაპირს შემორკალულია. ტბა ოდნავადაც არ ირხევა. თვალს ვერ აშორებ მის ზედაპირს და მასზე ამონზენქილ მწვანე კუნძულს. თითქოს სადღაც მინახავს ასეთი მხატვრობა, მაგრამ რა მხატვრობა შეიძლება შედარდეს ამ სინამდვილეს? მიტაცებს უსაზღვრო სურვილი—შევცურდე ტბაში, შევაბიჯო კუნძულზე, გავირჯიგალო ნამიან მოლზე, წამოვწვე ტაძრის ჩრდილში. ეს ნატვრა ამჯერად ყველა ჩვენგანს. მისი შესრულება გაუთვალისწინებით ჩვენს მასპინძლებს, რომლებმაც ჩვენი მგზავრობა შეაჩერეს პატარა ნავთსადგურში, სოფელ ელენოვკასთან.

❋ ❋

კატერი უკვე მზათ დაგვხვდა. ჩავსხდით და გეზი ავიღეთ პირდაპირ კუნძულისაკენ. ტბის ჰაელი ნელა ირხევა. ოდნავ აბორცვილ მის ტალღებს მზე ალაპლაპებს ისე, რომ მათგან გამოტყორცნილ სხივებს თვალი ვერ უძლებს. პატარა გემი მიაპობს ტბის სიღრმეს, სუფთა ანკარა წყალს. სჩანან უამრავი თევზის გუნდები, რომლებიც კატერს მისდევენ. შემოვუარეთ გარშემო კუნძულს. ტბაზე დასცურავენ გარეული იხვები და დაფრენენ თეთრი თოლიები. სამხრეთიდან მივადექით კუნძულს. ნაპირთან ახლოს 10—12 მეტრის სიღრმეზე შევამჩნიეთ დიდი, სწორკუთხოვანი ლოდები, თითქოს საგანგებოთ გათლილნი.—იქნება, ოდესღაც დანგრეული სასახლის ქვებია,—გავიფიქრე გუნებაში.

ჩვენი ნატვრა შესრულებულია. ჩვენ კუნძულზე ვართ, მის მაღლობზე, ერთ-ერთ უძველეს ნანგრევების ჩრდილქვეშ წამოწოლილი უხმოდ გავყურებთ გოქჩის ტბას და რუხ გარეჯულ კლდოვან მთებს, რომლებიც დავებით შემორტყმიან ტბას სამი მხრიდან. პირდაპირ წყლიდან აზიდულან მოშავო რუხი ქედები გაშიშვლებულნი, ხევებით გულდაღარულნი, თანდათანობით ამაღლებულან და გადაკარგულან სამხრეთის და ჩრდილოეთის მიმართულებით. თითქოს ბუმბერაზი ცხოველები წამოდგომიან ამ ტბას, თათები მის კიდეზე დაულაგებიათ, და ხახა დაუჩჩენიათ, რომ მოლიანად ამოხვრიპონ მისი ლაჟვარდოვანი სითხე. ამ უზარმაზარ მოშავო კლდეებს შუა, როგორც ჩაჟეხილი ზურმუხტი, ლივლივებს ტბის გაშლილი ველი. ტბის ზედაპირი არ არის მუდმივ ერთფეროვანი. იგი ხან ფირუზია, ხან ზურმუხტი, ხან საფირონი, ხან მარგალიტი, ხან კიდევ ამ ფერების შეზავება—ცისარტყელასავით მომხიბლავი კომბინაცია. როცა ზედაპირი აზვირთდება, წყლის დაუდგომელი ტალღებით ერთ და იმავე დროს თვალს ანცვიფრებს ზურმუხტოვანი სიმწვანით და ინტენსიური ფირუზოვნებით. ამ ეფექტს აძლიერებს მთელი ბუნების დიდებულება: მოწყენილი და მდუმარე მთები, მყუდროება და ძოგონება იმისა, რომ ოდესღაც ამ ტბის ნაპირებზე ჰყვაოდა ძველი ურართუ თავისი კულტურით და ლურსმული წარწერებით.

მთები ზეცაში გადაკიდულან,
დადუმებულან ზეცის კრებულნი
მაგრამ ლურსმული ვერ გადუკითხავთ
და დარჩენილან დადუმებულნი.

კაცი ვერ წარმოიდგენს, რომ ეს ტბა ეხლა ასე მშვიდი, ნაშუადღევს ისე გადაირევა, რომ აგორებული ტალღებით დაანგრევს აჭაურობას. ტბა ყოველ დღე გადაუხვევლად იცავს ამ ზნეს. 4 საათამდე იგი თვინიერი, დაწყნარებულია, ხოლო შემდეგ გაგიჟებული. გოქჩა უნიკუმია იმ მხრითაც, რომ ასეთი დიდი ტბა, (სიგრძით 80 კილომეტრი, სიგანით 30 კილ.) ასეთ სიმაღლეზე (2 ათასი მეტრი) მეორე არ მოიძებნება დედა-მიწაზე. გოქჩას მეორე ზნე სჭირს: წყლის დონე კალაპოტში ორი მეტრით ხან მაღლდება, ხან დაბლდება. გეოლოგები ამას ხსნიან მიწის ძვრით, რომელიც ტბის ნაპირების შევიწროვებით, ან გაგანიერებით ამაღლებს და ადაბლებს წყლის დონეს. მეტეოროლოგებს კი ამ გარემოების მიზეზად მიაჩნია კლიმატიური პირობების ცვალებადობა.

ტბის ტემპერატურა შესაბამება მის გარემოს. ზამთარში, როცა ყინვა 20—30 გრადუსს აღწევს იყინება მთელი ტბის ზედა-პირი. წელს (არ ვიცი, შარშან) ხანგრძლივი ყინვების გამო ტბა დიდ ხანს ყოფილა ყინულ-გადაკრული. ჟანგბადის ნაკლებობით ტბაში მრავალი ათასი თევზი დალუპულა. ყინულის გალღობის შემდეგ ტბას ამოუტივტივებია დიდი ძალი მკვდარი თევზი.

❋ ❋

გოქჩა თევზების ზღვაა. მის სიღრმეში დასცურავს ოთხი ჯიშის ორაგული (სომხურად იშხანი). ეხლა მათ მიმატა ლადოგის ტბის ბინადარი—სიგა, რომელიც ტბაში ხელოვნურად არის გაშენებული. ამ ტბის ახალი „კოლონიზატორები" ახალ პირობებში თავს მშვენიერად გრძნობენ და გამრავლების დიდ უნარს იჩენენ. მიღებული ღონისძიებების წყალობით მეთევზეობა ტბაზე ფართო სამრეწველო ხასიათს ღებულობს. სადგურს უკვე ჰყავს 4 პატარა გემი, რამოდენიმე თევზის საჭერი მატორიანი ნავი, მოწყობილი აქვს ბადეების სახელოსნო, ლაბორატორია, მუზეუმი, ჰყავს გამოცდილ სპეციალისტთა შტატი და სხვა. გოქჩის იშხანი, ერთ მიმზიდველ და საინტერესო მეხლად არის შეტანილი არა მარტო საბჭოთა კავშირის არამედ ევროპიული ქალაქების სასადილოთა პრეისკურანტებში.

ვ. წულუკიძე.

# ქრონიკა

### მოქალაქეთა საყურადღებოთ

ქალაქის კომენდანტი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ღამით 30 და 31 ივლისს და 2 და 3 აგვისტოს ვაკეში იწარმოებს სასწავლო სროლა. 30 ივლისს და 2 აგვისტოს სროლა იწარმოებს აგრეთვე მლაშე ტბის რაიონში.

### იაპონელ სამეცნიერო მუშაკის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ტოკიოს უნივერსიტეტის მიერ საბჭოთა კავშირში სხვადასხვა სამეცნიერო ხასიათის დავალებებით გამოგზავნილი მოქ. მაცუმურა სირო, რომელიც გუშინ ესტუმრა საქართველოს მუზეუმს და დაათვალიერა მუზეუმის განყოფილებები.

მაცუმურა სირო თბილისში გაეცნობა საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაობას და ყველა დანარჩენ სამეცნიერო დაწესებულებებს. თბილისიდან იგი მიემგზავრება ლენინგრადში, სადაც ერთი წლის განმავლობაში იმუშავებს აკადემიკოს ნ. მართან.

### ნატახტარის წყალსადენი

თბილისის ალმასკომმა ნატახტარის საამშენებლო კომიტეტიდან გამოყო საქმიანი პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ვ. ბოლქვაძე (თავმჯდ.), ვ. ავაქოვი, ქ. ოდილავაძე, დოლიძე, ინჟ. დიასამიძე და ფარნხევი.

### ლატარიის გადადება

უპატრონო ბავშთა დამხმარე კომისიის სასარგებლოდ ნებადართული ლატარია, რომელიც დანიშნული იყო 18 ივლისისათვის, გადადებულია 1 ოქტომბრისათვის.

### თბილისის ტელეფონის ქსელის გადაკეთება

ამიერ-კავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველო შეუდგა თბილისის ტელეფონის სადგურის და ქსელის გადაკეთებას ავტომატურ გამოძახების სისტემაზე, რისთვისაც აგებს შესაფერ შენობას რუსთაველის პრ. და გიმნაზიის ქუჩის კუთხეში. სახლში გარდა ხსენებული სადგურისა მოთავსებული იქნება ამიერკავკ. კავშირგაბმულობის სამმართველო, საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგური და ქალაქის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. ამჟამად შენობის ასაგებად დათმობილ მოედანზე აგებულია მასალების საწყობის შენობა და სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა საძირკვლის ასაგებად.

### სულით ავადმყოფთათვის საექიმო დახმარების გასაძლიერებლად

სულით ავადმყოფთათვის საექიმო დახმარების გაფართოებისა და გაძლიერების მიზნით ჯანმრთელობის კომისარიატმა დაადგინა გააფართოოს ფსიქონევროლოგიური ინსტიტუტი და ფსიქიატრიული საავადმყოფო. ფსიქონევროლოგიურ ინსტიტუტთან ეწყობა 10 ახალი საწოლი, ხოლო სურამის საავადმყოფოსთან—26 საწოლი.

### თბილისის ალმასკომში

◆ **1-ლ საავადმყოფოსთან უროლოგიურ** განყოფილების მოსაწყობათ თბ. ალმასკომმა კომუნალურ ბანკიდან სესხად გამოითხოვა 30.000 მანეთი.

◆ **მუშათა თეატრის** საჭიროებისათვის გადადებულია 34.355 მან.

◆ **თურქული.** მაზრაში გავრცელებულ ოთხფეხ საქონლის ავადმყოფობის — თურქულის წინააღმდეგ საბრძოლველად ალმასკომმა გადადო 2.000 მან.

### ჯანმრთ. კომისარიატში

◆ **ტროპიკულ ინსტიტუტთან** 1 სექტემბერს გაიხსნება 50 საწოლიანი სტაციონალური განყოფილება. განყოფილების მოწყობა ჯდება 198.000 მან.

◆ **ქუთაისის ტუბდისპანსერთან** გაიხსნა ლაბორატორია და ობსერვატიული განყოფილება.

◆ **ლიუქსემბურგის საავადმყოფოსათვის** ახალი საექიმო ხელსაწყოების შესაძენად გადადებულია 500 მან.

—:—

## ხელოვნების ქრონიკა

### ხალხურ სიმღერების შეკრება

სახელმწიფო კონსერვატორია ამ დღეებში სამეცნიერო - სამუსიკო ექსპედიციებს აგზავნის თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და სამეგრელოში ხალხურ სიმღერების და საკრავების შესაკრებად და ჩასაწერად.

თუშ-ფშავ-ხევსურეთში იგზავნება შალვა მშველიძე, სამეგრელოში ალე ფარცხალაძე.

### სიმფონიური კონცერტები საზაფხულო ბაღში

დღეს, 28 ივლისს, საზაფხულო ბაღში (ყოფ. „არტო“) გაიმართება სიმფონიური კონცერტი სახ. არტ. ი. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით. პროგრამაში — რიმსკი-კორსაკოვის „შეხერეზადა“ და ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები.

ორშაბათს და სამშაბათს გაიმართება ორი სიმფონიური კონცერტი ი. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით და მოსკოვის დიდი თეატრის არტისტის ალ. ბატურინის, სკრიპკაზე დამკვრელ როზა უმანსკაიას და ე. დობროვოლსკაიას მონაწილეობით.

—:—

**— ამერიკელი მხატვარი თბილისში.** გუშინ თბილისში ჩამოვიდა ამერიკელი მხატვარი ელიო ოხარა, რომელსაც განზრახული აქვს გაეცნოს ახალ მიმდინარეობებს საბჭოთა მხატვრობაში. თბილისში ოხარა დაათვალიერებს საქართველოს სამხატვრო გალერეას, სამხატვრო აკადემიას და გაეცნობა ადგილობრივი მხატვრების შემოქმედებას.

**— დები თარხნიშვილებს** ქართლ-კახურ მომღერალთა გუნდი მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით გაემგზავრა კახეთში კონცერტების გასამართავად. პირველი კონცერტი შესდგა 26 ივლისს გურჯაანში, შემდეგ სიღნაღში, თელავში და ველისციხეში.

# კინო

## საქ. სახკინმრეწვში

◆ **კინო-ფაკულტეტი საქ. სამხატვრო აკადემიასთან.** კომისია ამხ. ამირაღოვის, დუდუჩავას და მეგრელიძის შემადგენლობით ამუშავებს საკითხს საქ. სამხატვრო აკადემიასთან კინო-ფაკულტეტის გახსნის შესახებ. ლექციების საკითხავად მოწვეულნი იქნებიან ს. ტრეტიაკოვი, ილინი, ვ. შკლოვსკი და ტურკინი. წელს განზრახულია ორი განყოფილების გახსნა: სასცენარო და საქტიორო, მომავალი წლიდან გაიხსნება სარეჟისორო და საოპერატორო განყოფილება.

◆ **ახალი კინო-ლაბორატორიის აგება.** ფაბრიკის ტერიტორიაზე შენდება ახალი სამსართულიანი შენობა კინო-ლაბორატორიისათვის. ლაბორატორიის აგება დამთავრდება მომავალი წლის აპრილისათვის და დაჯდება 150.000 მანეთი.

მთავრდება ახალი ატელიეს აგება. გერმანიიდან მიღებულია მძლავრი მოძრავი სადგური (1.000 ამპერი), რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება ნატურალურ გადაღებათა გაფართოება.

# საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

### პროფსაბჭოს წარმომადგენლები უმაღლეს სასწავლებლებში

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გამოყო პროფკავშირების წარმომადგენლები შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობაში გამოყოფილია ამხ. არუთინოვი, პედაგოგიურ ფაკულტეტზე—ამხ. გეგენავა, ეკონომიურ ფაკულტეტზე—ს. ორჯონიკიძე, საექიმო ფაკულტეტზე—ჯიჯაძე, აგრონომიულ ფაკულტეტზე—ბიქტორ სიხარულიძე; პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის გამგეობაში გამოყოფილია ამხ. ფანცულაია, ინსტიტუტის საამშენებლო ფაკულტეტზე—ამხ. კრძლამაზაშვილი, სამთო ფაკულტეტზე — ფურცელაძე, სატრანსპორტო ფაკულტეტზე — მეტრეველი, მექანიკურ ფაკულტეტზე — გოზალოვი; სახელმწიფო კონსერვატორიაში გამოყოფილია ამხ. დიასამიძე, სამხატვრო აკადემიაში—ამხ. ქეოხძერი, ქართულ მუშფაკზე—ამხ. ჭელიძე და რუსულ მუშფაკზე—ამხ. თალაქვაძე.

### საალრიცხვო განყოფილების დაარსება

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება, რომლის დანიშნულებას შეადგენს კავშირების, პასუხისმგებელ მუშაკების აღრიცხვა და განაწილება სხვადასხვა პროფორგანიზაციებს შორის.

განყოფილების გამგედ დანიშნულია ამხ. მირიან ლუნგიაძე.

### სოფლად მუშაობის კომისია

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა სოფლად მუშაობის ხელმძღვანელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ანთიძე, (თავმჯდომარე), ზ. სიხარულიძე, გეგენავა, არუთინოვი, (ცეკა), ს. აკოფოვი, ფურცელაძე, ჩარკვიანი, ქორიძე, და თალაკვაძე.

### ხუთწლიანი გეგმის პოპულარიზაცია

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა კავშირებს ჩატარონ აგვისტოს და სექტემბრის განმავლობაში სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმის პოპულარიზაციის კამპანია. სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებას წინადადება მიეცა გამოჰყოს მომხსენებლების კადრი და დაამზადოს მოხსენების კონსპექტები. გამომცემლობა „შრომას“ დაევალა სასწრაფოდ გამოსცეს აღნიშნული კონსპექტები ქართულ და რუსულ ენებზე.

### საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმის გადადება

საქართველოს პროფსაბჭოს მორიგი პლენუმი, რომელიც უნდა შემდგარიყო 29 ივლისს, გადადებულია 5 აგვისტოსათვის.

პლენუმის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1) სახალხო განათლების ხუთწლიანი გეგმა, 2) მუშების ახალი კადრების შესახებ, 3) პროფკავშირების მუშაობა სოფლად, 4) სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობის შესახებ, 5) მიმდინარე საკითხები.

# მზადება შემოდგომის თესვისათვის

შემოდგომის თესვის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიის ცნობით, საქართველოში ანეულების მოხვნა უკვე დაიწყო.

ამჟამად დახნულია შემოდგომაზე დასათეს ფართობის 67 პროცენტი. თესვის წარმატებით ჩატარების მიზნით გამოწვეულია და ახლო ხანში მიღებული იქნება 12.000 გუთანი, 80 ტრაქტორი, 1.200 ფარცხი, 200 სათესი მანქანა და 200 ტრიერი.

გარდა ამისა, უკრაინიდან გამოწერილია საქონლის საკვებ ბალახეულობის თესლი 120 ტონას რაოდენობით.

ამჟამად მოსავლის აკრეფასთან ერთად სწარმოებს სათესლე ხორბლეულის დამზადება.

სათესლე მასალა ამასთანავე შემოზიდული იქნება მეზობელ რესპუბლიკებიდან.

აღსანიშნავია, რომ თესვას ჩვენში აბრკოლებს მუშა-საქონლის სიმცირე. ამის გამო თესვის ჩამტარებელ რესპუბლიკანურმა კომისიამ მთავრობიდან გამოითხოვა 900.000 მანეთი. ამ ფულით სულ შეძენილი იქნება 300.000 უღელი მუშა-საქონელი.

მუშა-საქონლის შესაძენად პირველ რიგში ფული მიეცემათ უღარიბეს გლეხებს და კოლექტიურ მეურნეობებს.

ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სათესი მასალის გაწმენდა-მოწამვლას.

შემოდგომის თესვისათვის სულ მოწამლული იქნება საჭირო მასალის 40 პროცენტი, დახლოებით 1 მილიონი ფუთი.

სათესი მასალის მოსაწამლავად და გასარკვევად უკვე შეძენილია საჭირო იარაღები და წამლეულობა.

# სოც. უზრუნველყოფის კომისარიატში

**— ინვალიდები ამხ. ვ. ცინცაძესთან.** სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. ვ. ცინცაძესთან გუშინ გამოცხადნენ სამოქალაქო და იმპერიალისტური ომის პენსიონერი ინვალიდები და განუცხადეს მას, რომ სოციალისტურ მშენებლობის ტემპის დაჩქარებაში მათაც უნდათ თავისი წვლილი შეიტანონ, რისთვისაც გადაწყვეტილი აქვთ ერთი თვის პენსიის რაოდენობით ხელი მოაწერონ ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხზე.

**— დახმარება უსინათლოთა საზოგადოებას.** სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა დაადგინა მოახდინოს მაზრებში ყველა უსინათლოების აღრიცხვა, უსინათლოთა საზოგადოების განყოფილების ჩამოყალიბება და უსინათლოთა ნაწარმოების გასასაღებელი წერტების მოწყობა. ამ საქმის მოსაგვარებლად კომისარიატმა დახმარებათ მისცა უსინათლოთა საზოგადოებას 300 მანეთი.

# აბრეშუმის პარკის დამზადება

ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, 15 ივლისამდე მთელ ამიერ-კავკასიაში დამზადებული იყო 237.000 ფუთი აბრეშუმის პარკი. აქედან საქართველოში დამზადებული იყო—120.000 ფუთი, აზერბეიჯანში—11.000 და სომხეთში—6.000 ფუთი პარკი. საქართველოში აბრეშუმის მოსავალი ნავარაუდევი იყო 160.165 ათასი ფუთის რაოდენობით, მაგრამ გაზაფხულის არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობების გამო მოსავალი საგრძნობლად შემცირდა.

ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა საჭიროდ სცნო, რომ ამიერ-კავკასიაში მოეწყოს აბრეშუმის საკონდიციო ბიურო, რომელსაც დაევალება აბრეშუმის სავაჭრო და ტეხნიკური ღირსების და მეაბრეშუმეობის დეფექტების გამოკვლევა. ამავე ბიუროს საშუალებით იწარმოებს პარკის ყიდვა-გაყიდვა.

# სასამართლო

### კოოპერატიული ფულის გაფლანგვისათვის

თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლომ ამხ. ა. თენეიშვილის თავმჯდომარეობით გაასამართლა ივტიხი (იგივე ნიკოლოზ) მიხეილის ძე ცეცხლაძე.

ცეცხლაძე გასული წლის ოქტომბრიდან ამა წლის აპრილამდე მსახურობდა ცეკავშირში ინკასატორის თანამდებობაზე. მისი მოვალეობა იყო სხვადასხვა დაწესებულებებიდან ფულის მიღება და ცეკავშირის სალაროში შეტანა.

ამ ხნის განმავლობაში ცეცხლაძემ მიიღო სხვადასხვა დაწესებულებებიდან 5.339 მანეთი. დანიშნულებისამებრ ჩააბარა მხოლოდ 3.332 მანეთი, დანარჩენი „მასზე დარჩა“. 2.837 მანეთი ცეცხლაძემ მოახმარა თავის „კეთილმოწყობის საქმეს“.

როგორც თვითონ ამბობს, ამ ფულით გაუსტუმრებია ძველი ვალები, უყიდია ბინა, შეულამაზებია და მოურთავს. ხუთასი მანეთის მარტო ტანისამოსი შეუძენია, როგორც თავისთვის, ისე მეუღლისათვის.

ერთი სიტყვით, ცეცხლაძემ „სული მოითქვა“ კოოპერატივის ფულით, მაგრამ როგორც საერთოდ ხდება, გამფლანგველს დაატოვებიეს „კეთილმოწყობილი“ ბინა და გამსახლში მიაბრძანეს.

მე ხომ არა ვარ გამფლანგველი? ფული მე არ გამიფლანგავს ქეიფში და დროს ტარებაში. შევიძინე ის, რაც აუცილებელ საჭიროებას (!) წარმოადგენდა ჩემთვის,—ასეთი აზრის არის თავის თავზე ცეცხლაძე.

ცეცხლაძემ სასამართლოსაგან მიიღო ის, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა მისთვის — **8 წლის სასტიკი იზოლიაცია გამასწორებელ სახლში.**

# შემთხვევები

### ვეღარ მოასწრეს

გუშინ, დილით, გაქურდვის მიზნით ორი ბოროტმოქმედი შევიდა კამოს ქ № 72 სახლის დერეფანში, მაგრამ მათ მიუსწრო მეეზოვემ, რომელმაც მოინდომა ქურდების დაპატიმრება. ერთი, მათგანი, რომლის ვინაობა გამოურკვეველია, გადახტა მტკვარში და მიიმალა, ხოლო მეორე ქურდი — ალექსი ალექსანდრეს ძე როგოუნიევი დააპატიმრეს.

### მკვლელობა

მამედ ასან-ოღლიმ (საბჭოთა ქ. № 97) დანით მოკლა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რევაზოვი. ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

### მოწამვლა თევზით

გუშინ, თევზით მოიწამლენ: არუთინ პეტროსის ძე გრიგორიანცი და ზინა მიკირტუმოვი (მცხ. კახეთის ქ. № 29), რომლებიც გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში. გამოძიება სწარმოებს.

### დაჭრა

26 ივლისს, შაქრო და იაგორ არტემის ძე გრიქუროვებმა დანით მძიმედ დასჭრეს არტემ ბაგრატის ძე გალუსტოვი და სირანა ბაგრატის ასული კაზაროვი (ასპინძის ქ. № 1). შაქრო გრიქუროვი დაპატიმრებულია, მეორე კი მიიმალა.

### დაჯახება

ავტომანქანა № 167, რუსის ქუჩაზე დაეჯახა მიხეილ მიხეილის ძე ხარკოვს და მძიმედ დააშავა.

### შეპყრობა

დაპატიმრებულია ვლადიმერ ჯანიაშვილი, რომელსაც ბრალდება ქურდობა.

### ქურდობა

გაქურდეს მარიამ კუჩეიშვილის ბინა (კუბის ქ. № 48), წაიღეს 120 მანეთის ნივთები. —ბორის ბარხანოვს ცენტრალურ ბაზარში ჯიბიდან ამოაცალეს 60 მანეთი.—სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის შენობიდან მოიპარეს კედლის საათი.

# ხანძარი წაღვერში

(საქ. კორესპონდენტისაგან)

24 ივლისს, საღამოს ექვს საათზე, წაღვერში ცეცხლი გაუჩნდა ალექსი დროზიშევის ორ სართულიან სახლს, რომელიც 20 წუთის განმავლობაში მთლიანად გადიწვა. სახლი ფიცრული იყო და შესდგებოდა 6 ოთახისაგან. პირველი სართულის ერთ ოთახში სცხოვრობდა თითონ სახლის პატრონი, მხოლოდ დანარჩენ ოთახებში კი—მოაგარაკენი.

ცეცხლი გაუფრთხილებლობის გამო გაჩნდა ქვემო სართულში, საიდანაც ორ წუთში მოედო მთელ სახლს. ცეცხლი პირველად შეამჩნიეს დასასვენებელ სახლების დამსვენებელ ახალგაზრდებმა, რომლებიც დანახვისთანავე სწრაფად გაჩნდნენ ხანძრის ადგილას. მოაგარაკენი, რომლებიც ზემო სართულში საუზრობდნენ, ვერ ამჩნევდნენ ცეცხლს, სანამ დამსვენებელ ახალგაზრდობამ არ შეატყობინა, რომ მათ საფრთხე მოელის. ყველამ თავს უშველა, მხოლოდ ერთი მოაგარაკე ქალი იძულებული იყო მეორე სართულიდან გადამხტარიყო, ვინაიდან კიბეებს უკვე ცეცხლი ქონდა გაჩენილი. ქალი სიკვდილს გადაარჩინეს.

წაღვერში შეიქნა განგაში. უამრავმა ხალხმა მოიყარა თავის ცეცხლის ალში გახვეული სახლის წინ, მაგრამ მისი ჩაქრობა ვერავინ ვერ შესძლო, სახლი 20 წუთში დაიწვა. დაიწვა მრავალი ავეჯი და ნივთეულობა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

დამსვენებლების ენერგიული მუშაობით გადარჩენილი იქნა ცეცხლისაგან ახლო მდებარე სახლები. წაღვერის სადგურის წყლის საქაჩავმა დიდი დახმარება გაუწია ამ საქმეს.

უნდა ითქვას, რომ ადგილობრივ ალმასკომს, ხანძრის არც ერთი საწინააღმდეგო მანქანა არ მოეპოვება.

**მთვრალაშვილი.**

# ბიბლიოგრაფია

### აქ. ჟუონია.

### „ნიკოლოზ ბარათაშვილი—პოეტი და მოქალაქე“

გამომცემლობა „შრომა“

აღნიშნული წიგნაკი წარმოადგენს მარქსისტული მიდგომით ნიკ. ბარათაშვილის შემოქმედების მთავარი მომენტების განხილვის ცდას. ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ ავტორის თავისი ამოცანა დამაკმაყოფილებლად შეუსრულებია. როგორც ცნობილია, ძველ ქართულ მწერლობას მარქსისტული აზრი ჯერ კიდევ არ შეხებია საკმაო სიმძლავრით. იგი კი ფრიად ნაყოფიერ ასპარეზს წარმოადგენს მომავალ მარქსისტ მკვლევართათვის. ამიტომ ყოველგვარი მუშაობა, წარმართული იმ გზით, რათა მხილებული იქნას განვლილ ლიტერატურულ მიმართულებათა სოციალური შინაარსი, უეჭველად მიზანშეწონილი და სასარგებლოა.

შესავალშივე ავტორი არკვევს იმ სოციალურ ძირებს, რომლებმაც აღზარდეს არა მარტო პოეტი, არამედ მაშინდელი საქართველოს მთელი ის საზოგადოებრივი ფენა, რომლის სულისკვეთება ასე მკაფიოდ ასახა ბარათაშვილმა თავის შემოქმედებაში. როგორც სწორადაა ხაზგასმული ავტორის მიერ, ქართულმა რომანტიზმმა ნ. ბარათაშვილის პოეზიის სახით მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს. ამ რომანტიზმის საფუძვლები გარკვეულია იმ ისტორიულ პირობებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიქმნენ ფეოდალურ საქართველოში თვითმპყრობელურ რუსეთის დამკვიდრების შედეგად.

მაშინდელი ქართული საზოგადოების უმაღლესი წრეები კარგად ხედავდნენ, თუ რა სოციალური დიფერენციაცია მოყვა ამ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის აქტს. ეს დიფერენციაცია უმთავრესად იმაში გამოიხატა, რომ დიდი ნაწილი ქართველ თავად—აზნაურობისა მეფის რუსეთის სამსახურში ატარებდა თავის ცხოვრებას. მეორე ნაწილი კი ამ ფაქტში ქართველთა გადაგვარებას ხედავდა და ცრემლებით იგონებდა და დასტიროდა ძველ გარდასულ დროებათა ისტორიას. ამ დაუბრუნებელმა წარსულმა მრავალი ცრემლი აღვრევინა თავადების იმ ნაწილს, რომელიც სენტიმენტალურ რომანტიზმში გამოხატეს ალ. ჭავჭავაძემ, გრ. ორბელიანმა და სხვ. ეს მოტივი კი განსაკუთრებული სიძლიერით ნ. ბარათაშვილის პოეზიაში გაიშალა.

ავტორის სანიმუშო მაგალითები მოყავს იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ გამოხატა პოეტმა ამ კლასის განწირული სულისკვეთება. აქვეა გამოაშკარავებული პოეტის პესიმიზმის სოციალური საფუძვლები.

სასოწარკვეთაში ჩავარდნილი პოეტი მივიდა „წმინდა პოეზიის აღიარებამდე“, რადგან იგი ყველაზედ უფრო შეეფარდებოდა მის სულიერ განწყობილებას. „ყოველი ხორციელი და ხელშესახები მის მწარე სინამდვილეს აგონებს. ამიტომ ის გარბის „ცრუ სოფლიდან და ზიზღს უცხადებს მას“. დამახასიათებელია, რომ პოეტის ასეთი სულისკვეთება თავისი წრიდან განდგომის შედეგია, ავტორის მტკიცებით, ზეციურ ძალებისადმი მისწრაფებაში გამოხატა მან თავისი დაშორება ამ ქვეყნიური მოვლენებისაგან.

შემდეგ აღსანიშნავია თავი „მისტიციზმის“ შესახებ. სამართლიანადაა აღნიშნული, რომ პოეტი თავის დამოკიდებულებას გარეშე სინამდვილესთან მისტიურ სამოსელში ხვევდა. და მართლაც, „ბედის მონა იყო მაშინ არა მხოლოდ ბარათაშვილი, არამედ მთელი მისი წოდება“ ქართველ თავად - აზნაურობის სახით. დასასრულ ავტორი ჩერდება თანამედროვობის დამოკიდებულებაზე ბარათაშვილის პოეზიისადმი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ავტორი ცოტათი აჭარბებს, როცა ლაპარაკობს ბარათაშვილის შემოქმედების მხატვრული ფორმების აქტუალობაზე დღევანდელი ჩვენი ლიტერატურული პრაქტიკისათვის. ცხადია, თანამედროვობის მაჯისცემას ეს ფორმები ვერ შეეგუებიან და ამიტომ მას მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. მაგრამ სავსებით მართალია ავტორის მეორე დებულება, რომ „ისტორიისაგან განწირული ქართული ფეოდალური არისტოკრატიის გადაგვარების მხატვრული სურათი“ მან მართლაც დიდის ხელოვნებით დაგვიხატა. ამაშია ბარათაშვილის სიძლიერე, როგორც შემოქმედის.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს წიგნაკი უეჭველად დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენ შრომის სკოლებს, სადაც ხშირად მოსწავლეთ არ აწვდიან სწორ ცნობებს ქართველ კლასიკოსთა შესახებ. ამიტომ მისი ფართოდ გამოყენება სკოლებში უეჭველად სასარგებლო და მიზანშეწონილი იქნება.

ა. ლ.

# რკინის გზაზე

### ხარჯთ-აღრიცხვის დასაცავად

გზათა სახალხო კომისარიატში ამიერ-კავკ. რკინის გზის ხარჯთ-აღრიცხვის დასაცავად, გუშინ მოსკოვში გაემგზავრა სპეციალური კომისია ინჟ. ბერიძის, ტერ-მიქაელიანის, აქსიონოვის, კოსირევის და ნუროვის შემადგენლობით.

### ამხ. პოზდეევის გამგზავრება

სამსახურის საქმეების გამო ამიერ-კავკ. რკ. გზის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. პოზდეევი დღეს მიემგზავრება მოსკოვში.

### ტვირთების თავმოყრა

ამჟამად განჯაში თავმოყრილია ასი ვაგონი ტვირთი, რომელთაც პატრონები არ ისყიდიან. ეს გარემოება ძალზე აძნელებს სადგურის მუშაობას.

### მატარებლების დაგვიანებასთან ბრძოლა

უკანასკნელ ოთხი დღის განმავლობაში გზაში მატარებლების დაგვიანებისათვის დაისაჯა ბევრი რკინისგზელი. 33 მემანქანეს, 3 სადგურის უფროსის თანაშემწეს, ერთ სადგურის უფროსს და ერთ მოძრაობის განწესრიგებელს გამოეცხადა საყვედური.

ბაქოს დეპოს მემანქანე ყაზარიანცი და განჯის მემანქანე კურიშევი მოხსნილ იქნენ სამსახურიდან მატარებლების სისტემატიურად დაგვიანებისათვის.

### ძლიერი ქარი

ფოთი-ზესტაფონის უბანზე ქრის ძლიერი ქარი, რის გამოც მატარებლები ამ უბანზე დაგვიანებით მოძრაობენ.

# ნარევი

### ბრიტანეთის ენციკლოპედიის ახალი გამოცემა

ამჟამად მთავრდება მუშაობა ბრიტანეთის ცნობილი ენციკლოპედიის გადასასინჯავად და შესამოწმებლად. ეს ენციკლოპედია ყველაზე უძველესი და დაწვრილებითია მთელ მსოფლიოში. მისი გადასინჯვა მეთოთხმეტედ ხდება. ახალი გამოცემა მზად იქნება 1930 წელს. მთელი მასალის 85 პროც. ხელახლა არის გადამუშავებული. ახალი გამოცემისათვის დაწერილი ტექსტი შესდგება 30.000.000 მეტი სიტყვიდან. ამ მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 2.500 გამოჩენილმა მეცნიერმა, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა. ენციკლოპედიის რედაქციას უკეთებენ (პირველად მისი გამოცემის ისტორიაში) ერთდროულად ლონდონსა და ნიუ-იორკში. დღემდე ბრიტანეთის ენციკლოპედია წმინდა ინგლისური გამოცემა იყო. ახალი გამოცემა ჩიკაგოში (ამერიკა) დაიბეჭდება. უმაღლესი სარედაქციო კოლეგია, რომელიც ამტკიცებს წერილების ტექსტს, შესდგება სამი კაციდან, რომელთაგან ერთია მოწაფე, ე.-წ. „ხიისკულ“ (დაახლოებით უახლოვდება ჩვენი შვიდწლედის უკანასკნელი ჯგუფის მოწაფეს). თუ წერილი გაუგებარია სარედაქციო კოლეგიის ამ წევრისათვის, იგი დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ხელახლა დასამუშავებლად.

### გათხრები თურქეთში

ინგლისელმა არქეოლოგებმა სტამბოლში გათხრების დროს იპოვეს რომელიღაც ქრისტიან „წმინდანის“ ოქროს ფიგურა და თავი დიდი ქანდაკების, რომელიც მეხუთე საუკუნეს ეკუთვნის. გარდა ამისა, სულთან-ბაიაზიდეში იპოვეს ტრიუმფალების თაღი, აგებული 750 წელს, რომელიც შემდეგში მიწისძვრამ დაანგრია.

### პომპეის სამისამართო წიგნი

პომპეის გათხრის დროს იტალიელმა პროფ. გორტემ შეადგინა ამ უძველესი ქალაქის სამისამართო წიგნი. წიგნში ნაჩვენებია პომპეის 550 მცხოვრების გვარი, საცხოვრებელი ადგილი და გვარი პომპეა ფერფლმა დაფარა ვეზუვის ამოხეთქის დროს 79 წელში.

### ავტომობილების რიცხვი 1928 წ.

ავტომობილების რიცხვი შეერთებულ შტატებში 1928 წელს წინა წელთან შედარებით 6 პროცენტით გაიზარდა. 1928 წ. შეერთ. შტატებში აღრიცხულია 24.493.124 სამგზავრო და საბარგო ავტომობილი. ამრიგად თითოეულ 4,5 სულზე მოდის ერთი ავტომობილი. შეერთებული შტატების შემოსავალი ავტომობილებიდან 1928 წ. უდრიდა 640.000.000 მანეთს.

### მსოფლიო საავიაციო მრეწველობა

პირველი ადგილი საავიაციო მრეწველობის დარგში უჭირავს შეერთებულ შტატებს, სადაც 1928 წელს აგებული იქნა—4.600 აეროპლანი; მეორე ადგილზეა—ინგლისი 2.500 აეროპლანით; შემდეგ: საფრანგეთი—1.440 აეროპლ., იტალია—475, გერმანია—300. საავიაციო მრეწველობის პროდუქციის ექსპორტის მხრივ პირველ ადგილზეა ინგლისი, რომელმაც 1928 წელს გაიტანა უცხოეთში — 15.000.000 მან. აეროპლანები და საავიაციო ნაწილები, მეორე ადგილი ეკუთვნის შეერთებულ შტატებს, რომლის ექსპორტის ღირებულება ამ დარგში უდრის 7.500.000 მანეთს.

### მოლაპარაკე და „მუნჯი“ კინო

ნიუ-იორკის ორი დიდი კინო-თეატრი, რომლებმაც შემოიღეს მოლაპარაკე კინო, ისევ „მუნჯი“ კინოს დაუბრუნდა, რადგან მოლაპარაკე კინო ჩქარა მობეზრდა მაყურებლებს.

# წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო ამხ. რედაქტორო!

დავბრუნდი რა სასამსახურო მივლინებიდან, გავეცანი „კომუნისტი“-ს ა.-წ. 7 ივლისის №-ში მოყვანილ ცნობას წყალტუბოს ელექტრო-რკინის გზის პროექტის შესახებ, რომელიც მოთავსებულია გაზეთის თანამშრომელთან საუბრის სახით. ვინაიდან იქ სავსებით სწორად არ არის კორესპონდენტის მიერ გადმოცემული საუბრის შინაარსი, გთხოვთ დაუთმოთ ადგილი შემდეგს:

წყალტუბოს ელ. რკ. გზის გამოკვლევა და პროექტის შედგენა დაიწყო 1928 წ. ქუთაისის, სამაზრო ალმასკომის ინიციატივით, რომელსაც მხარი დაუჭირა ს.მ.უ.ს.-მა, რადგან რკინის გზა, თუ უკანასკნელი განხორციელდა, რადიკალურად სწყვეტს ფლორიდინის ტრანსპორტის საკითხს სოფ. გუმბრიდან ფლორიდინის დიდ ქარხანამდე, რომლის აშენება განზრახულია ახლო მომავალში ქ. ქუთაისში.

სათანადო გამოკვლევები ჩატარებული იქნა 1928 წლის ბოლოში და, თბილისში გადმოგზავნილი მასალების მიხედვით, სმუს ელექტრო-განყოფილების ხელმძღვანელობით დამთავრებული [illegible] ზებში რკინის გზის [illegible] ამშენებლო, [illegible] ბის დამუშავება—სათანადო ხარჯთაღრიცხვებით და განმარტებითი ბარათებით.

პროექტი ამ დღეებში გადაეცემა განსახილველად ამიერ-კავკ. უმაღლეს ტეხნიკურ ინსტანციებს და მათი დასკვნით წარდგენილი იქნება სადაც ჯერ არს, როგორც ნაწილი ფლორიდინის წარმოების აღმშენებლობის პროექტისა.

ამჟამად შეუძლებელია ითქვას, როდის დაიწყება გზის აღმშენებლობა და როგორ გადაწყვეტილებას გამოიტანენ ამ გზის შესახებ უმაღლესი ორგანოები.

ს.მ.უ.ს. ფიქრობს, რომ ფლორიდინის წარმოების ინტერესები მოითხოვენ წყალტუბოს ელ. რკ. გზის აშენებას და დარწმუნებულია, რომ ამ გზას ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა აგრეთვე თვით კურორტ წყალტუბოს განვითარებისათვის.

ინჟ. ბეს. ჟიჟინაძე.

# ჩვენი ფოსტა

**ამხ. ა. ლალაშვილს** — წერილი მივიღეთ. საჭირო ნაბიჯი გადადგმულია სადაც ჯერ არს.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

**28 და 29 ივლისს, პარტიის წმენდა იწარმოებს შემდეგ უჯრედებში:**

ტრამვაის მოძრაობა — ტრამვაის მუშათა კლუბში, საღამოს 6 საათიდან. შემმოწმებელი კომისია: ამხ. ჩოჩიევი, კოჩეტკოვი და ტივეტაშვილი.

ორთქლმავლების დეპო — ორჯონიკიძის სახელობის კლუბში. საღამოს 5 საათიდან. შემმოწმებელი კომისია. ამხ. ზაქრაძე, გაძეკორნი და კასნოვი.

ფეიქრები — კომუნალური ქუჩა № 119, საღამოს 5 საათიდან. შემმოწმებელი კომისია: ამხ. იტრიევი, შავერდოვი და დემეტრაშვილი.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი — პროფსაბჭოს დიდ დარბაზში. შემმოწმებელი კომისია: ამხ. კვანტალიანი, ნაფეტვარიძე და ჩესანიკი.

სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი და გლეხთა სახლი — გლეხთა სახლში, საღამოს 6 საათიდან. შემმოწმებელი კომისია: ამხ. ფურცვანიძე, სტეპანოვი და ლავრენტიევი.

დეპო — პლეხანოვის სახელობის კლუბში, საღამოს 5 საათზე. შემმოწმებელი კომისია: ამხ. ყურულაშვილი, კალაძე და მიდკო.

—:—

**საქ. კ.პ. (ბ) ც.კ. აგიტპროპგანყოფილება** იწვევს თათბირს მუშათა და გლეხთა რადიო-უნივერსიტეტის ორგანიზაციის საკითხების გადასაწყვეტად. თათბირს აუცილებლივ უნდა დაესწრონ დილის 10 საათისათვის შემდეგი ორგანიზაციის წარმომადგენლები: ცეკავშირი, „სოფლის კავშირი“, მუშკოოპი, მიწსახკომი, განსახკომი, პოლიტგანი, საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი, „ზაკტპ“, „საქართველოს ჩაი“, ტრესტი „აბრეშუმი“, კომკავშირის ცეკა, საქ. პროფსაბჭო, „ზაკდორპროფსოჟი“, რადიო ცენტრიდან: სტურუა და ჰკუსელი, სარეწაო კოოპერაცია, საქართველოს მებამბეობის კომიტეტი.

—:—

**ქალაქის რაიონის იმ უჯრედების** ყველა მდივნები და აღმრიცხველები სადაც პარტწმენდა უკვე დამთავრდა, რომლებიც არ გამოცხადებულან 27 ივლისს მუშათა და გლეხთა ინსპექციის საორგანიზაციო განყოფილებაში, აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ ზემო ხსენებულ ადგილზე კვირას 28 ივლისს, დილის 11 საათიდან დღის 4 საათამდე.

—:—

**ორშაბათს, 29 ივლისს, საქ. კ.პ. (ბ) ც.კ.** აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება თათბირი პიონერთა შეკრების შესახებ. თათბირზე უნდა დაესწრონ საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, „საქართველოს ჩაი“-ს, სარეწაო კოოპერაციის, „ცეკავშირი“-ს, „სოფლის კავშირი“-ს, მუშკოოპის, საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების, კ.პ. (ბ) თბ. კომიტეტის აგიტპროპ განყოფილების, განათლების სახ. კომისარიატის, შრომის სახ. კომისარიატის, იუსტიციის სახ. კომისარიატის, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის, შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის, ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს, ფინანსთა სახ. კომისარიატის, ვაჭრობის სახ. კომისარიატის და სოციალ. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის პასუხისმგებელი წარმომადგენლები.

—:—

**საქ. სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის** კ.პ. (ბ) ბიუროკოლექტივი ორშაბათს, საღამოს 6 საათზე, იწვევს პარტკოლექტივის ღია კრებას კომკავშირის უჯრედთან ერთად. პარტიისა და კომკავშირის წევრების დასწრება სავალდებულოა (სხდომა შესდგება 13 აუდიტ.).

---

თავზარდაცემული დედა ნატალია, დები: კატო და ანიჩკა, ძმები: ილია, ვარლამი, კირილე და აკაკი კაკაბაძენი ცოლ-შვილით მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-ნათესავთ, რომ მათი უძვირფასესი

**ქსენია კაკაბაძის**

გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას, 28 ივლისს, 4 საათზე, სოფ. კუხში 2698

---

ღრმად დამწუხრებული მეუღლე პასიკო, შვილები: პროკოფი, ანტონი, დარიკო და ქსენია, რძალი ოლია და შვილიშვილები სამში და ელგუჯა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ დაუვიწყარ

**იასონ ანტონის-ძე ძაგნიძეს**

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა მოხდება კვირას, 28 ივლისს, საღ. 4 საათზე, სოფ. სალხინოში (ქუთაისის მაზრა, ვანის თემი). 2697

---

დამწუხრებული იმზოლები ქრისტინე და ჯაშულეთი; და ნადია ქმარ-შვილით; ძმები კოლია, სანდრო და აფინოგენე; რძალი ბაბილინა, ძმისშვილები: ელგუჯა, მუზა და ნათელა იუწყებიან

**პატუშა (გოგუცა) მენაღარიშვილი-ბიბინეიშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 27 ივლისს ს. ჯურუყვეთში. 2706

---

პელაგია და დათა მამინაიშვილები აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ, რომ

**კაკი მამინაიშვილის**

ხსოვნის აღსანიშნავად კვირას, 28 ივლისს, 6 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ვერის ძველ სასაფლაოზე. 2705

საზაფხულო ბაღი (ყ. არტო). ორშაბათს, 29 ივლისს და სამშაბათს, 30 ივლისს,
შესდგება
ორი სიმფონიური კონცერტი
რესპუბლიკის სახალხო არტისტის ი. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით
მოსკოვის დიდი თეატრის არტისტის ალექსანდრე ბატურინის,
ოპერის არტისტის ე. დობროვოლსკაიას, და სკრიპკაზე დამკვრელის როზა უმანსკაიას
მონაწილეობით.
ბილეთების წინასწარი გაყიდვა კვირიდან, 28 ივლისიდან. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ნ. 3044

საზაფხულო ბაღი (ყოფ. არტო)
სახ. ოპერის საზაფხულო სიმფონიურ კონცერტების ციკლი
კვირას, 28 ივლისს, პირველი კონცერტი სახალხო არტისტ
ივ. პ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით
პროგრამა:
I განყ. რიმსკი-კორსაკოვი-შეხერეზადა სიმფ. სიუიტა (1001 ღამე)
II განყ. 1. ვაგნერ — ლოენგრინ“-შესავ. I მოქ. 2. კილაძე—სიუიტა № 1, 3. სინდინგ—პარიზის კარნავალი, 4. ტუსკია-Andaute 5. ივ. ფალიაშვილი—აფხაზური (ხალხური) ცეკვა.
დასაწ. 8 ნახ. საათზე.
ესტრადაზე მოსკოვის დრამატიული ბალეტი 30 GIRLS 30

სახკინმრეწვის კინოები

| | |
|---|---|
| საზაფხულო აპოლო | სეზონის ახალი სურათი ჯალმა |
| საზაფხულო თეთრი | ტარ ელ მელავაძის საქმე<br>ნატა ვაჩნაძის და კ. მიქაბერიძის მონაწილეობით |
| საზ ფხულო პალასი | მეგადურის შვილი<br>29 ივლისიდან კლოუნ ჟორჟის ბენეფისი |
| მინიონი | მხატვრული კომედია ნახტომი<br>29 ივლისიდან კლოუნ ჟორჟის ბენეფისი |

მალე—თეთრი მხედარი

ორშაბათიდან, 29 ივლისიდან
კინო თეატრებში
საზაფხულო პალასი და მინიონი
ზ. კურდიუმოვა, რეპნინი, ნადემსკი, კუჩინსკი
მხატვრულ სურათში
კლოუნ ჟორჟის ბენეფისი
რეჟისორი ა. სოლოვიევი.
ნ. 3043

ქირავდება
ერთი ოთახი
(ზომით 43 კ. არშინ.) ანტონოვის ქ. ლაბინის შესახ. № 5 პირობების გაგება საბჭოთა ქუჩაზე № 38 რობაქიძესთან.
4230

საქართველოს სახკინმრეწვი
საერთაშორისო ანტიმილიტარისტული დღისათვის (1 აგვისტო)
უშვებს სურათს
„თეთრი მხედარი“
სცენარი გოლდენვეიზერისა და ძიგანის
დადგმა რეჟისორ ე. ძიგანის
ოპერატორი ს. ზაბოზლაევი
მთავარ როლებში:
რაისა ესიპოვა, ა. სკალდოვი, ა. გუგუშვილი, მ კოშევნიკოვი, ა. მარტინოვი. ნ. 3042

საჭიროა
გაზეთ „კომუნისტი“-ს ცალობით
გამყიდველები
რუსთაველის პრ. № 34
„კომუნისტი“-ს გამომცემლობა

შეშა
მუშკოოპი ყიდის თავის მეპაიეებზე შეშას მხოლოდ
ნაღდ ფულზე
ნისიად გაცემა შეწყვეტილია
ცნობებისათვის უნდა მიმართოთ მუშკოოპის სათბობი მასალის ქვე-განყოფილებას მაზუთის შესახვევი № 5, ტელ. № 11—99. ნ 3040

## საშემოსავლო გადასახადი

საქართველოს ფინსახკომი აცხადებს საშემოსავლო გადასახადის მესამე განრიგების გადამხდელთა (კერძო სექტორის სავაჭრო-სამრეწველო საწარმოოთა მეპატრონეების და სხვ.) საყურადღებოთ, რომ მათ არა უგვიანეს ა. წ. აგვისტოს პირველისა პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორების მიერ დაეგზავნებათ უწყებები 1929/30 საბიუჯეტო წლის განაკვეთის ანგარიშში სამი ავანსის რაოდენობის შესახებ.

თანახმად საკავშირო სახკომსაბჭოს 1928 წლის 13 სექტემბრის დადგენილების პირველი პუნქტისა, მესამე განრიგების მიხედვით დასაბეგრი ფიზიკური პირები მოვალენი არიან შეიტანონ სახელმწიფო ბანკის სალაროებში:

1) პირველი ავანსი—არა უგვიანეს 1929 წლ. აგვისტოს 15-სა **მიმდინარე საბიუჯეტო წელში.**

2) მეორე—1929 წ. ოქტომბრის 15-სა.

3) მესამე—1930 წ. თებერვლის 15-სა

მოქალაქეებმა, რომელთაც ზემოაღნიშნულ დროისათვის არ ჩაბარებიათ უწყებები, უნდა მიმართონ გადასახადების ამკრეფ სექციებს: თბილისში—ხაზინის ქ. № 3; მაზრებში—ალმასკომების საფინანსო განყოფილებებთან და ავტონომიურ რესპუბლიკებში—ფინრწმუნებულთა საგადასახადო განყოფილებებთან.

გამოანგარიშებულ ავანსებზე გადამხდელთ შეუძლიათ შეიტანონ ორი კვირის განმავლობაში განცხადებანი სათანადო საუბნო საგადასახადო კომისიებში, რომელთა დადგენილებანი საბოლოოა.

საჩივრის შეტანა არ აჩერებს ავანსების გადახდას და აგრეთვე უწყებების მიუღებლობაც არ შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც საფუძველი გასაჩივრების ვადის აღსადგენად.

ურჩ გადამხდელების წინააღმდეგ მიღებული იქნება იძულებითი ზომები, ვიდრე ქონების აღწერა და გაყიდვამდე.

საქ. ს.ს.რ. ფინ. სახ. კომისარი **ვაშაძე.**

ნ. 3038 გადასახადთა სამმარ. უფროსი **ბეჟირგანიშვილი**

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები სახის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19
იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან.
25—1 2561

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და მავშვების მიღება: 5—6 საათამდე.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი. 1—90. 25—11

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26-01.
2468 13—1

ქუთაისში
ექიმი ვ. დ. კუჭაიძე
ლენინგრადის სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის შ. გ. ასისტენტი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით საღ. 5—7 ს.
იღებს სპეციალურათ მეანობაში, ქალთა სნეულებათა ავადმყოფთ და ქალთა უროლოგიაში (შარდის ბუშტის, მილის და თირკმელების ავადებანი). პუშკინის ქ. № 7
2463 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს.
ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

ექიმი
მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914“ შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალებს 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

პ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—10

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

ბავშვის
აღმზრდელი ქალი
სოფიო ბიგანაშვილი
ეძებს ადგილს
მსურველს შეუძლია ინახულოს შემდეგი მისამართით: ფეოდოსიევის მეორე ჩიხი № 5, მელაძის ბინაზე. 2700

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი („914“ შეშხაპ.) ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და კანის სნეულება.
მიღება { დილ. 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 8—9 საათ.
მისამართი კამოს ქ. № 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა), ქალ. მეორე საავადმყოფოს პირდაპირ.
2578 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. 25—1

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ
ნ. გ. კონტოროვიჩისა
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა
ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება
მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
წასულია. განაახლებს ავადმყოფების მიღებას 1 სექტემბერს.
253325—1

პროფესორი
გ. მ. მუხაძე
წასულია კისლოვოდსკში და დაბრუნდება ენკენისთვეში.
2579 25—1

**დავკარგე** 4 სულის პურის წიგნაკი პელაგია ჯიბოს ასული მოდებაძის სახელზე, ჩ. გ. 2695

**დავკარგე** მოწმობა № 1170 1929 წლ. 5 მაისს გაცემული ბანძის თემალმასკომის მიერ მელაშე შათოს-ძე აჯიაშვილის სახელზე, ლაფშა ცხენის საკუთრებაზე, ჩ. გ. 2699

**დავკარგე:** დაზღვ. უმუშ. წიგნაკი № 16141 თადეოზ გეგელიას სახელზე. ჩ. გ. 2699

**დავკარგე** პირადობის მოწმობა 342 გაცემული ბანძის თემალმასკომის მიერ სიმონ ფილხაზის-ძე აჯიაშვილის სახელზე, ჩ. გ 2699

**დავკარგე:** პურის წიგნაკი № 884 გაბუნიას სახელზე, ჩ. გ. 2702

**დავკარგე** სამხ. კოოპ. „მეომარი“-ს საწევრო წიგნაკი № 40446 სანდრო ღერკენაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2707

**დავკარგე** პირადი წიგნაკი ნოქალაქევის სამხედრო მაზრიდან გაცემული სანდრო საბას-ძე გოგიას სახელზე, ჩ. გ. 2704

**დავკარგე:** საბჭ და სავ ქ მუშ. კავშირის წიგნაკი № 20028 აქსენტი კვაჭის-ძე სამუშიას სახელზე, ჩ. გ 2704

**დავკარგე** დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 5 იოსებ კოწიას ძე მალაშხიას სახელზე, ჩ. გ 2704

**დავკარგე** კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 7167 ზესტ. ფონის მუშკოოპის მიერ გაცემული ციხელ გრიგოლის-ძე ნებიერიძის სახელზე, ჩ. გ 2704

**დავკარგე** „ზაკტპო“-ს წიგნაკი № 3647 გაცემული სენაკში გიორგი დვალიშვილის სახელზე ჩ. გ 2704

ტირაჟი—44,904
პოლიგრაფტრესტის მე-1 სტ-მბა, კამოს ქუჩა № 68
მთავლიტი № 904.